

ნათელა მაღლაკელიძე, ნანა კუცია

# ქართული ენა და ლიტერატურა

# 11

მასწავლებლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს სსიპ – განათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2012

# ქართული ენა და ლიტერატურა

XI კლასი

მასწავლებლის წიგნი



ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ნანა კუცია

რედაქტორი ნინო თოდუა

დიზაინერი დავით კუტუბიძე

ISBN 978-9941-10-540-1

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47. ☎ 239-15-22, 214 77 11  
E-mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com)

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012  
©, ნ. მაღლაკელიძე, ნ. კუცია

N. Maglakelidze, N. Kutsia

„Georgian Language and Literature“, the Book of the Teacher 11, in Georgian  
„Meridiani“ Publishing, Tbilisi – 2012

## შინაარსი

სახელმძღვანელოს სტრუქტურა .....	4
მასწავლებლის ნიგნის სტრუქტურა .....	5
პროგრამა-სილაბუსის ნიმუში .....	6
ლიტერატურული კომენტარები .....	11
1.ალ. ჭავჭავაძე – „გოგჩა“ .....	11
2. გრიგოლ ორბელიანი – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ .....	12
3. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „მერანი“ .....	13
4. ალ. ყაზბეგი – „ხევისბერი გოჩა“ .....	15
5. ვაჟა-ფშაველას პოემები.....	17
ა)„ბახტრიონი“ .....	17
ბ)„ალუდა ქეთელაური“ .....	29
გ)„სტუმარ-მასპინძელი“ .....	41
„გადარებთ მზესთანა“ – ქალთა სახეები ვაჟა-ფშაველას პოემებში.....	49

## მეთოდური მითითებანი მასწავლებელთათვის:

სასწავლო კომპლექტი შედგება ორი კომპონენტისაგან: 1) „მოსწავლის წიგნი“ – ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი, და 2) „მასწავლებლის წიგნი“ – ლიტერატურული და მეთოდური კომენტარები.

### სახელმძღვანელოს სტრუქტურა

„მოსწავლის წიგნი“ – ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი, შედგენილია განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და შეესაბამება მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. აქ წარმოდგენილია საკითხავი (ქრესტომათიული) მასალა სათანადო მეთოდური აპარატით.

**ა) საკითხავი მასალა** – ძირითად ნაწილს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ჭავჭავაძე – „გოგჩა“;
2. გრიგოლ ორბელიანი – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“;
3. გრ. ორბელიანი – „საღამო გამოსალმებისა“;
4. ნ. ბარათაშვილი – „ხმა იდუმალი“;
5. ნ. ბარათაშვილი – „სულო ბოროტო“;
6. ნ. ბარათაშვილი – „ვპოვე ტაძარი“;
7. ნ. ბარათაშვილი – „შემოღამება მთანმინდაზედ“;
8. ნ. ბარათაშვილი – „მერანი“;
9. ილია ჭავჭავაძე – „მგზავრის წერილები“;
10. ილია ჭავჭავაძე – „ზოგიერთი რამ“;
11. ილია ჭავჭავაძე – „ბედნიერი ერი“;
12. ილია ჭავჭავაძე – „კაცია ადამიანი?!“;
13. ილია ჭავჭავაძე – „ოთარანთ ქვრივი“;
14. ილია ჭავჭავაძე – „განდეგილი“;
15. „თაობათა ბრძოლა“ (ილია ჭავჭავაძე „ორიოდე სიტყვა...“, გრ. ორბელიანი „პასუხი შვილთა“, ილია ჭავჭავაძე „პასუხის პასუხი“);
16. აკაკი წერეთელი – „აღმართ-აღმართ“;
17. აკაკი წერეთელი – „ქებათა ქება“;
18. აკაკი წერეთელი – „გამზრდელი“;
19. ალ. ყაზბეგი – „ხვეისბერი გოჩა“;
20. ვაჟა-ფშაველა – „ალუდა ქეთელაური“;
21. ვაჟა-ფშაველა – „სტუმარ-მასპინძელი“;
22. ვაჟა-ფშაველა – „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“;
23. ვაჟა-ფშაველა – „კრიტიკა იპოლიტე ვართაგავასი“;
24. ვაჟა-ფშაველა – „ბახტრიონი“;

საკითხავი მასალის ნაწილი (40%) შერჩეულია ჩვენ მიერ. ვეცადეთ, რომ იგი თემატურად და ჟანრობრივად დაგვეკავშირებინა სავალდებულო ტექსტებთან. ეს არის:

1. თენგიზ ვერულავა – „გოგჩა“ (მხატვრული ესე)
2. ჯორჯ გორდონ ბაირონი – „ჰგოდებდეთ“;
3. პერსი ბიში შელი – „ოდა დასავლეთის ქარისადმი“;
3. ჯიბრან ხალილ ჯიბრანი – „იესო ძე კაცისა“ (ნაწყვეტი: „პეტრე – მეზობლის შესახებ“);
4. სოლომონ ბრძენი – „ქებათა ქება“;
5. პროსპერ მერიმე – „მატეო ფალკონე“;
6. ნიკოლოზ გოგოლი – „ტარას ბულბა“;

7. აკაკი ბაქრაძე – „მარადისობის რღვევა“ (კრიტიკული წერილი);
8. ჯიბრან ხალილ ჯიბრანი – „დედა და შვილი“;

როგორც ამ ჩამონათვალთან ჩანს, სასწავლო მასალად შერჩეულია სხვადასხვა ტიპის ტექსტები, რომლებიც დავალაგეთ ქრონოლოგიის პრინციპით (თუმცა ზოგჯერ ეს პრინციპი დარღვეულია ლიტერატურული პარალელების გასავლებად). ძირითადად წარმოდგენილია მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური ლიტერატურა, მხატვრული პარალელებისათვის კი გამოყენებულია როგორც საზღვარგარეთის მწერლობის, ისე – თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები, რაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს შესასწავლი მასალის სათანადო კონტექსტში გააზრებას.

**ბ) მეთოდური აპარატი** – საკითხავი მასალის დამუშავება გათვალისწინებულია ინტერაქტიური მეთოდების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრით, კითხვის სტრატეგიების დაუფლებას, მეორე მხრით კი – მოსწავლეთა შემოქმედებით აქტივიზაციას. ამ მიზნით მეთოდურ აპარატში ტექსტის კითხვა-დამუშავებასთან დაკავშირებული კითხვები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: **გავიგოთ** (ექსპლიციტური – ფაქტობრივ მასალაზე ორიენტირებული), **გავიაზროთ**, **შევაფასოთ** (იმპლიციტური – ანალიზზე, შეფასებასა და სინთეზზე ორიენტირებული).

ლიტერატურულ ტექსტებთან მჭიდრო კავშირშია წარმოდგენილი მხატვრული სტილის საკითხებიც, რაც გულისხმობს როგორც მწერლის ენობრივ თავისებურებებში გარკვევას (ეს ტექსტის მართებულად აღქმის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია), ასევე – სათანადო სამეცხველო უნარ-ჩვევების დაუფლებას. სახელმძღვანელოში ამ მიზნით ცალკე გახლავთ გამოყოფილი კითხვები ტექსტის მხატვრული ანალიზისათვის, აქვეა მოცემული დავალებები და გარკვეული რეკომენდაციები.

საგანგებო ყურადღება ექცევა ასევე ფუნქციონალური სტილის საკითხების გაცნობასა და ამ კუთხით სხვადასხვა სახის ტექსტების ძირითად თავისებურებებში გარკვევას. იგულისხმება, რომ ამ ეტაპზე მოსწავლე ძირითადად უკვე დაუფლებულია ენის კომუნიკაციურ ასპექტებსა და ფუნქციონალური გრამატიკის საკითხებს, ამიტომაც განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მე-11 კლასში წინა პლანზე გახლავთ წამოწეული ზეპირი და წერილი მეცხველების ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საჯარო მოხსენების (ზეპირი გამოსვლის) წარმოდგენა კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით, საჯარო გამოსვლების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება, საჯარო გამოსვლის ეფექტიანობის გასაძლიერებელი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება, ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება საჯარო გამოსვლის მომზადების დროს... მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება, სხვადასხვა სახის ესეს დაწერა, რეცენზიის დაწერა წაკითხულ ნიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე, სხვადასხვა ხასიათის არამხატვრული ტექსტების შეთხზვა, სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ადეკვატურად გამოყენება... ამ უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება სახელმძღვანელოში წარმოდგენილი რუბრიკა: „მეცხველების კულტურა“, რომლის მიზანია დისკუსიის ხელოვნების დაუფლება („სადისკუსიო კლუბი“) და სხვადასხვა სახის წერილობითი ტექსტების აგება (მხატვრული ესე, დარგობრივი ტექსტები, გამომხაურება, რეცენზია, რეზიუმე, თეზისები...)

ნიგნში ასევე რუბრიკების სახით არის მოცემული „თვალსაზრისი“ – ამონარიდები ცნობილი კრიტიკოსების ნაზრევიდან – და „ეს საინტერესოა“ – შესასწავლ მასალასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. ეს, ჩვენი აზრით, გაუადვილებს მკითხველს ამა თუ იმ ტექსტის გააზრებას, განუვითარებს კრიტიკულ აზროვნებას და დაეხმარება საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

### **მასწავლებლის ნიგნის სტრუქტურა**

„მასწავლებლის ნიგნი“ წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს მასწავლებლისათვის. „მასწავლებლის ნიგნში“ წარმოდგენილი მასალა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: ა) „ლიტერატურული კომენტარები“ – დამხმარე საინფორმაციო და კრიტიკული მასალა პედაგოგისათვის, ბ) „მეთოდური კომენტარები“, რომელიც წარმოდგენილია პროგრამა-სილაბუსის სახით. სილაბუსში მოცემული საათების განაწილება საორიენტაციოა და არა – სავალდებულო. მასწავლებელს შეუძლია მისი შეცვლა კლასის საერთო დონისა და თავისი შეხედულების გათვალისწინებით.

## **პროგრამა-სილაბუსი (ნიმუში)**

საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი – მე-11

პედაგოგი –

კურსის მოცულობა – 170 აკადემიური საათი (34 სამუშაო კვირა, 5 კვირეული საათი).

ა) სასწავლო კურსის მიზნები:

**ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:**

- სხვადასხვა სახის ზეპირი ტექსტის ანალიზი ტონალობის, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურისა და ეფექტურობის თვალსაზრისით;
- ადეკვატურად, გამართულად და დამარწმუნებლად მეტყველება;
- ნაკითხული ტექსტის კონსტრუირება (ენობრივი ანალიზი და სინთეზი);
- ტექსტების სახეების ამოცნობა და განმარტება სტრუქტურულ-გრამატიკულ თუ სტილისტურ თავისებურებებზე დაყრდნობით;
- ტექსტებში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- სხვადასხვა ტიპისა და სტილის ტექსტების გამართულად წერა; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის წესების მართებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

**ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:**

- განვითარება იმ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიებისა, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატურ თვითგამოხატვას; საუბრის, დისკუსიის, დებატების, სხვადასხვა თემაზე კამათის წარმართვას;
- სხვადასხვა სახის ზეპირი და წერილობითი ტექსტის შეფასება მათი საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით;
- ნაკითხულის გადამოწმება და შეფასება სანდოობის, აქტუალურობის, პოპულარობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით;
- კონკრეტული საკითხის შესასწავლად ინფორმაციის მოძიება, კრიტიკულად გადამოწმება და მონაცემთა ბანკის შედგენა;
- სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის ნებისმიერი ტიპის წერილობითი ტექსტის შეთხზვა.

**მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:**

- არგუმენტირებული მსჯელობა სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ტექსტებში გამოვლენილი მსოფლმხედველობრივი საკითხებისა და ლიტერატურული თავისებურებების შესახებ;
- ლიტერატურულ ნაწარმოებზე სუბიექტური მოსაზრების ჩამოყალიბება და წარმოჩენა;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში მხატვრული აზროვნების ფორმების იდენტიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, დაკავშირება და ანალიზი;
- სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ კულტურულ ფასეულობათა გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტის შექმნის პროცესში ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების რეალიზება;

- წერილობით ტექსტებში საკუთარი პოზიციისა და ღირებულებითი დამოკიდებულებების სხვადასხვა ლიტერატურული ფორმით წარმოჩენა;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის აღქმა-გააზრება.

**ბ) სასწავლო კურსის შინაარსი (თემებისა და საკითხების ჩამონათვალი მათი დამუშავებისათვის განკუთვნილი სავარაუდო საათების მითითებით):**

თემა „რომანტიზმი“

**1. შესავალი** – მსოფლიო რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა; **ქართული რომანტიზმი – 1 სთ.**

**2. ტექსტი:** ალ. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ცნობები, „გოგჩა“.

**ენა:** ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები.

**ლიტ. თეორია:** რომანტიზმი, მისი ძირითადი ნიშნები, ქართული რომანტიზმის სპეციფიკა; პეიზაჟი; ტროპის სახეები; ლირიკული გმირი – 3 სთ.

**3. ტექსტი:** თენგიზ ვერულავა – „გოგჩა“ (ალექსანდრე ჭავჭავაძეს).

**ენა:** სიტყვა, როგორც ლექსიკური ერთეული; ლექსიკონები, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მისი გამოყენება; ფუნქციონალური სტილი – პუბლიცისტური სტილი და მისი მახასიათებლები.

**ლიტერატურის თეორია:** ტროპი და მისი სახეები – 2 სთ.

**4. ტექსტი:** გრ. ორბელიანი, ბიოგრაფიული ცნობები, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

**ენა:** – არქაიზმები.

**ლიტერატურის თეორია:** სიმბოლო, როგორც მხატვრული გამოსახვის ხერხი – 3 სთ.

**5. ტექსტები:** გრ. ორბელიანი, „სალამო გამოსალმებისა“/დამატებით „მგზავრობა ჩემი ტფილისილამ პეტერბურგამდის“ (ნაწყვეტი).

**ენა:** ფუნქციონალური სტილი – დღიური.

**მეტყველების კულტურა:** საჯარო გამოსვლა – მონოლოგი და მისი სახეები: ლექცია, მოხსენება, სიტყვა, პრეზენტაცია – საჯარო გამოსვლა; დიალოგი.

**ლიტ. თეორია** – პეიზაჟი, ტროპული მეტყველება – 5 სთ.

**შემაჯამებელი მეცადინეობა – 1 სთ.**

**6. ნ. ბარათაშვილი, ბიოგრაფიული ცნობები – 1 სთ.**

**7. ტექსტი:** ნ. ბარათაშვილი, „ხმა იდუმალი“.

**ენა:** არქაიზმები.

**ლიტ. თეორია:** ტროპული მეტყველება – 2 სთ.

**8. ტექსტები:** ნ. ბარათაშვილი, „სულო ბოროტო“, წერილი გრიგოლ ორბელიანს.

**ენა:** არქაიზმები, ფუნქციონალური სტილი – პირადი წერილი; სასაუბრო და წიგნური სტილი, მათი მახასიათებლები.

**ლიტ. თეორია:** ტროპული მეტყველება, ეპისტოლური ჟანრი – 2 სთ.

**9. ტექსტი:** ნ. ბარათაშვილი, „ვპოვე ტაძარი“.

**ენა:** არქაიზმები.

**ლიტ. თეორია:** ტროპული მეტყველება; რითმა, მისი სახეები; სიმბოლიკა, ბიბლიური სახესიმბოლოები – 2 სთ.

**10. ტექსტი:** ნ. ბარათაშვილი, „შემოღამება მთანმინდაზე“.

**ენა:** არქაიზმები.

**ლიტ. თეორია:** პეიზაჟი, ტროპული მეტყველება, სახესიმბოლოები – 3 სთ.

**11. ტექსტები:** ნ. ბარათაშვილი, „მერანი“, წერილი გრიგოლ ორბელიანს.

**მეტყველების კულტურა:** ფუნქციონალური სტილის სახეები, პირადი წერილი.

**ლიტ. თეორია :** ტროპული მეტყველება, სიმბოლიკა, გრადაცია – 4 სთ.



**შემაჯამებელი მეცადინეობა:** ქართული რომანტიზმი – 1 სთ.

**12. ტექსტი:** ჯორჯ გორდონ ბაირონი, ბიოგრაფიული ცნობები, „ჰგოდებდეთ“ – 2 სთ.

**13. ტექსტი:** ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, ბიოგრაფიული ცნობები, „პეტრე – მეზობლის შესახებ“ (ნანყვეტი რომანიდან „იესო – ძე კაცისა“) – 3 სთ.

**შემაჯამებელი მეცადინეობა:** რომანტიზმი, როგორც მსოფლიო ლიტერატურული მიმდინარეობა – 1 სთ.

თემა „რეალიზმი“

**1. შესავალი მეცადინეობა,** რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, ქართული რეალიზმის წარმოშობა, მისი თავისებურებანი, ქართველი სამოცნიერელები, ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ცნობები – 2 სთ.

**2. ტექსტი:** ილია ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“.

**ენა:** ფუნქციონალური სტილი, პუბლიცისტური ტექსტები და მათი ენობრივი მახასიათებლები. მეტყველების კულტურა: ციტირება, პერიფრაზი.

**ლიტ. თეორია:** ტროპული მეტყველება, ალეგორია, მხატვრული სახე-სიმბოლოები, ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათების ხერხები, მთავარი და მეორეხარისხოვანი ლიტერატურული გმირები – 8 სთ.

**3. ტექსტი:** ილია ჭავჭავაძე, „ზოგიერთი რამ“ (ნანყვეტები).

**ენა:** პუბლიცისტური სტილი.

**მეტყველების კულტურა:** ლიტერატურულ-კრიტიკული ესეს აგება – 3 სთ.

**4. ტექსტი:** ილია ჭავჭავაძე, „ბედნიერი ერი“.

**ლიტერატურის თეორია:** სატირა, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი ხერხი – 3 სთ.

**5. ტექსტი:** ილია ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“.

**ენა:** ფუნქციონალური სტილი – პუბლიცისტური და მხატვრული.

**მეტყველების კულტურა:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

**ლიტ. თეორია:** ეპიგრაფი, მისი დანიშნულება; კონტრასტი; გმირის პორტრეტი – 9 სთ.

**6. ტექსტი:** ილია ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“.

**მეტყველების კულტურა:** შედარება-შეპირისპირებითი ესე, ტექსტის ორგანიზება, მსჯელობა, არგუმენტაცია, არგუმენტი.

**ლიტ. თეორია:** ლიტერატურული პერსონაჟი და მისი ფუნქცია; მწერლის სტილი და მისი მახასიათებლები – 9 სთ.

**7. ტექსტი:** ილია ჭავჭავაძე, „განდეგილი“.

**ლიტ. თეორია:** კონტრასტი, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი ხერხი; ალეგორია, სიმბოლო; გმირის პორტრეტი – 4 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი:** „ენა, მამული, სარწმუნოება“ – 1 სთ.

**8. თაობათა ბრძოლა მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში:**

**ა) ტექსტი:** ილია ჭავჭავაძე, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა“ (ნანყვეტი).

**ენა:** ფუნქციონალური სტილი – პუბლიცისტული და მისი ენობრივი მახასიათებლები – 3 სთ.

**ბ) ტექსტი:** გრ. ორბელიანი „პასუხი შვილთა“.

**ლიტ. თეორია:** მეტონიმია – 3 სთ.

**ც) ტექსტი:** ილია ჭავჭავაძე „პასუხის პასუხი“.

**მეტყველების კულტურა:** როგორ მოვემზადოთ პრეზენტაციისათვის (საპრეზენტაციო ტექსტი – შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნითი ნაწილი).

**ლიტ. თეორია:** პამფლეტი, ლიტოტესი – 4 სთ.



**შემაჯამებელი გაკვეთილი:** „მამები და შვილები“ – 1 სთ.

**9. აკაკი წერეთელი, ბიოგრაფიული ცნობები** – 1 სთ.

**10. ტექსტი:** აკაკი წერეთელი, „ქებათა ქება“.

**ლიტ. თეორია:** მხატვრული სახე-სიმბოლოები, ტროპული მეტყველება, პოეტური სტილისტიკა – 3 სთ.

**11. ტექსტი:** „ქებათა-ქება სოლომონისა“.

**ლიტ. თეორია:** პოეტური სახე-სიმბოლოები, ბიბლიური და ლიტერატურული პარალელები – 3 სთ.

**12. ტექსტი:** აკაკი წერეთელი, „აღმართ-აღმართ“.

**ლიტ. თეორია:** რითმა, რითმის სახეები, ომონიმური (მაჯამური) რითმა; პოეტური სახე-სიმბოლო – 2 სთ.

**13. ტექსტი:** აკაკი წერეთელი, „გამზრდელი“.

**მეტყველების კულტურა:** მიზეზ-შედეგობითი ესე, მისი ორგანიზება.

**ლიტ. თეორია:** ლიტ. გმირის დახასიათების ხერხები – 5 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი** – 1 სთ.

**14. ალ. ყაზბეგი, ბიოგრაფიული ცნობები** — 1 სთ.

**15. ტექსტი:** ალ. ყაზბეგი, „ხვეისბერი გოჩა“.

**ენა:** მწერლის ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი.

**ლიტ. თეორია:** ტრაგიკული გმირის ცნება – 7 სთ.

**16. ტექსტი:** ნ. გოგოლი, ბიოგრაფიული ცნობები, „ტარას ბულბა“.

**ლიტ. თეორია:** პერსონაჟის სულიერი და ზნეობრივი პორტრეტის შექმნა – 4 სთ .

**17. ტექსტი:** პროსპერ მერიმე, ბიოგრაფიული ცნობები, „მატეო ფალკონე“, ლიტერატურული პარალელები – 4 სთ.

**18. ტექსტი:** აკაკი ბაქრაძე, „არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა“.

**ენა:** ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები, სამეცნიერო-პოპულარული სტილი; ტექსტის აგება.

**მეტყველების კულტურა:** ოპონირება – 4 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი** – 1 სთ. (სულ 20 სთ, 4 სასწ. კვირა).

**19. ვაჟა-ფშაველა, ბიოგრაფიული ცნობები** – 1 სთ.

**20. ტექსტები:** ვაჟა-ფშაველა, „აღუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“.

**ენა:** მწერლის ენა.

**ლიტ. თეორია:** პოეტური სახე-სიმბოლოები.

**მეტყველების კულტურა:** რეცენზია – 11 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი** – 1 სთ.

**21. ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (ნაწყვეტი).

**ენა:** ფუნქციონალური სტილი.

**მეტყველების კულტურა:** თეზისები – 3 სთ.

**22. ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“.

**ენა:** მწერლის ენის სტილური მახასიათებლები.

**ლიტ. თეორია:** ტროპული მეტყველება, პეიზაჟი, პოეტური სახე-სიმბოლოები – 6 სთ.

**23. ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ.იპ. ვართაგავასი“.

**ენა:** ფუნქციონალური სტილი.

**მეტყველების კულტურა:** რეზიუმე – 4 სთ.

**24. ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „რამ შემქმნა ადამიანად“.

**ენა:** პოეტური სტილისტიკა.

**ლიტ. თეორია:** ტროპული მეტყველება – 1 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი - 1 სთ.**

**შენიშვნა:**

სილაბუსში მოცემული მასალა განანილებულია 30 სამუშაო კვირაზე (150 სთ.). 4 სამუშაო კვირას – 20 საათს – მასწავლებელს ვუტოვებთ გეგმიური წერიტი სამუშაოებისათვის, აგრეთვე – დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

გ) წლის ბოლოს მოსალოდნელი შედეგები – ამ მასალის გავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

*XI.1. საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.*

*XI.2. საჯარო გამოსვლების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება.*

*XI.3. საჯარო გამოსვლის ეფექტიანობის გასაძლიერებელი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება.*

*XI.4. საჯარო გამოსვლის მომზადების დროს ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება.*

*XI.5. სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.*

*XI.6. მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ელემენტების გაანალიზება და ინტერპრეტირება.*

*XI.7. მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების გაანალიზება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.*

*XI.8. კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.*

*XI.9. მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.*

*XI.10. სხვადასხვა სახის ესეს დანერა.*

*XI.11. რეცენზიის დანერა წაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.*

*XI.12. სხვადასხვა ხასიათის არამხატვრული ტექსტების შეთხზვა.*

*XI.13. სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტის შესაქმნელად.*

*XI.14. წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.*

## ლიტერატურული კომენტარები

### ალ. ჭავჭავაძე, „გოგჩა“

იმპერიის მსახურებისაგან თავისუფალ დროს თუ სტუმრობდა პოეტი გოგჩის (სევანის) ნაპირებს – „ფიქრთ გასართველად“, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იტყობდა.

გოგჩა თურქულად ლურჯ ნყალს ნიშნავს. ქართულ წყაროებში სევანი გელაქუნის ტბადაც იხსენიება.

სევანის მიმდებარე ტერიტორიას გეგარქუნიკს უწოდებენ. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ხელმწიფე ამასის ვაჟის, მხედართმთავარ გეგამის სახელიდან.

გოგჩა (სევანი) ძვ. წ.-ის მეორე-პირველი ათასწლეულის მიჯნაზე ურარტუს სახელმწიფოს ჩრდილოეთით მდებარეობდა.

იმდროინდელ ნაგებობათა დღემდის შემორჩენილ ნაშთებზე ურარტუს მეფეთა – რუსე პირველის, არგიშთი პირველის (ძვ. წ. VII საუკუნე) წარწერებია.

ახ. წ.-ის მერვე საუკუნეში სევანის ტბაში არსებულ კუნძულზე მონასტრები აიგო. აქვეა ხაჩკარები (ქვა-ფურები). აქ დამკვიდრებული ბერები ებრძოდნენ არაბებს, თემურ-ლენგს, სპარსელებს.

უკანასკნელ ბერებს 1930-იან წლებში დაატოვებინეს მონასტრები.

ამავე წლებში ტბა კინალამ დაშრა, მიკროკლიმატი შეიცვალა, როცა სევანის სარწყავად გამოყენება სცადეს (Армения, 1990).

\*\*\*

„ვენიტას“ (წუთისოფლის წარმავლობით გამონვეული სევდის) მოტივის სათავე ეკლესიასტემდე აღწევს“ (ალ. კალანდაძე).

ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“ 1841 წელს დაინერა, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ – 1837წელს.

პავლე ინგოროყვა წერს: „ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ უახლოესად განსაზღვრავს „გოგჩის ტბის“ პოეტურ ტონუსს. აქ ჩვენ გვაქვს ნაჩრდილი თვით პოეტური მიზანსცენებისა“ (პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, თბ., 1983, გვ. 122).

წყლის სიმბოლიკა ძველთუძველესია. ჰერაკლიტეს მიანერენ ცნობილ გამოთქმას: „ყველაფერი მდინარებს“ (ყველაფერი მდინარესავით მედინია) (Словарь античности, М., 1989, 410).

„...დროსა მსრველის ცელით, ყოვლთა წარმწყმედით,

ციურთა მჯობნი მშვენებლობაც სხვთაებრ მოსთვლილა!“ – ამბობს პოეტი.

აი, ბედი და ჭეშმარიტი დასასრული ადამიანური არსებობისა, ბრწყინვალეებისა, დიდებისა, ფუფუნებისა, ადამიანის შრომისა და ცდილობისა (მცდელობისა).

ძველებურად აღელვებს ტალღებს მხოლოდ გოგჩა და ძველებურად აწყდება ნაპირს, იმავე მთებში ჩაძირული, იმავე ლაჟვარდი ცის ქვეშ მდებარე. იგი ირეკლავს მარადიული ბუნების სურათს და ეხმიანება დროთა ბრუნვას, როგორც საუკუნეთა წინათ, თვითონ უცვლელი.

„ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქუეყანაი ჰგიეს უკუნისამდე. აღმოხდების მზე და დახდების მზე და ადგილადვე თვისდა მიიზიდვის...“ – ამბობს ეკლესიასტეს ავტორი. მხოლოდ ბუნება არის მარადიული, სხვა ყველაფერი ცვალებადია, წარმავალი, ნგრევა და განადგურება მოელის. ამიტომ არის სევდა მარადიული ამქვეყნად.

შატობრიანი, შეძრწუნებული ვეზუვის ვულკანის ნახვით გამონვეული შთაბეჭდილებებით, ფილოსოფიურად დაფიქრებული ადამიანის დიდების წარმავლობაზე, წერს: „რას ნიშნავს მთელი ეს სამეფოთა გადატრიალებანი ბუნების ამ მოვლენის გვერდით, რომელიც სახეს უცვლის დედამიწასა და ზღვას? რამდენად უფრო ბედნიერნი იქნებოდნენ ადამიანები, რომ ამდენ დროს არ ხარჯავდნენ ერთმანეთის ტანჯვისათვის. ერთხელაც არ გაუხსნია ვეზუვის თავისი საშინელი უფსკრულის ხახა ქალაქების ჩასანთქმელად ისე, რომ ადამიანთა შორის არ წასწყდომოდა სისხლისა და ცრემლის ღვარს – ურთიერთშუღლით გამონვეულს. როგორია ადამიანთა არსებობის პირველი ნიშნები, რაიც იმ ვულკანის ჩამქრალ ფერფლში იხილეს? – სანამებელი იარაღები და ბორკილგაყრილი ჩონჩხები“ (მანანა კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, თბ., 1983, გვ. 102).

ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“ ადამიანსა და ბუნებას შორის კოსმიური კავშირის გააზრების

ცდაა. ლექსში თითქმის აღარაა კლასიციკური ლვლარქნილება. იდება ხიდი უკაცრიელ ბუნებასა და პიროვნების ინტიმურ სამყაროს შორის.

ბუნების ფონი გამოყენებულია ისტორიის, ადამიანთა მწუხარე თავგადასავლის აკომპანიმენტად (ალ. კალანდაძე).

სანუთოროულ ზღვაში (ზღვა და ტბა, არსებითად, ერთი და იგივე პარადიგმა – წუთისოფლის წარმავლობა-მედინობის წარმომჩენი) ეკლესიაა მსხნელი ხომალდი. „მართლმადიდებლური ტაძარი სიმბოლურად ხომალდს გამოხატავს, რომელმაც სანუთროს მშფოთვარე ზღვაში ადამიანი ნავსაყუდელთან უნდა მიიყვანოს. ბერძნულად ტაძარს ეწოდება „ნაოს“, რაც ხომალდს ნიშნავს“ (გაზეთი „მადლი“ №3, 1990).

წუთისოფელი მღვლევარე ზღვად მრავალ შემოქმედს წარმოუჩენია:

1. ჯ.ბ. ტაბი, „ტბა“;
2. ლამარტინი, „ტბა“;
3. ლოტრეამონი, „მალდორორის სიმღერები“;
4. ბოდლერი, „ადამიანი და ზღვა“;
5. ჰემინგუეი, „მოხუცი და ზღვა“;
6. გალაკტიონი, „სანთლები“...

## **გრიგოლ ორბელიანი**

### **„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“**

ეს ლექსი მოხუცი გრიგოლ ორბელიანის ლოცვაა, საქართველოს უმშვენიერესი მეფისადმი აღვლენილი.

„ღვთისმშობლის შობის სახელობის ბეთანიის მამათა მონასტერი მდინარე ვერეს ტყიან ხეობაში მდებარეობს.

როგორც ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი გადმოგვცემს, მონასტერი ჯერ კიდევ XI საუკუნეში არსებობდა, როგორც დიდგვაროვან ფეოდალთა საძვალე.

მივიწყებული და გავერანებული ბეთანიის მონასტერი ნადირობისას შემთხვევით აღმოაჩინა გრიგოლ ორბელიანმა... XX საუკუნის მიწურულს მონასტრის წინამძღვრის, მღვდელ-მონაზონ სპირიდონისა და სავანის ძმობის ღვაწლით მონასტერი კვლავ ამოქმედდა“ (თ. ცაგურიშვილი, ერთმა ბერმა თავისი ლოცვით შეიძლება მრავალი ადამიანი აცხოვნოს, „კარიბჭე“ № 14(25), 12-25 აგვისტო, 2005, გვ. 30).

„ბეთანია“ „პურის სახლად“, „მორჩილების სახლად“ ითარგმნება. იერუსალიმის მახლობლად მდებარე ეს სოფელი ბიბლიაშია მოხსენიებული. სწორედ ბეთანიიდან მოუყვანეს უფალს კიცვი; აქაური იყო ლაზარე. აქ განმარტოვდებოდა მაცხოვარი სალოცავად, აქედანვე ამაღლდა ზეცად (ბეთანიის ალაგას ახლა მუსლიმთა სოფელი ელ-აზარიეხია) (ბიბლიის ენციკლოპედია, მ., 1990 (რუს. ენაზე)).

ბეთანიის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (თბილისის სამხრეთ-დასავლეთით 16 კმ-ზე) აგებულია თამარის სიცოცხლეში, ლაშას თანამოსაყდრედ გამოცხადების ხანაში. აქ არის ფრესკები გიორგი III, თამარისა, ლაშა-გიორგისა..

შემორჩენილია თამარის 4 ფრესკა: ვარძიის, ყინწვის, ბერთუბნის, ბეთანიის.

ფრესკა ყოფილა დავით-გარეჯშიც, რასაც ადასტურებს თეიმურაზ პირველის ლექსი „თამარის სახე დავით-გარეჯას“.

...ფრესკის ოსტატი უთუოდ დიდოსტატი უნდა ყოფილიყო, რადგან ფრესკა იხატება სველ ბათქაშზე (სველი ბათქაში სწრაფად ისრუტავს ფერს). „ფრესკო“ იტალიურად „სველს“ ნიშნავს. განსხვავებული ტექნიკაა „სეკო“ – მშრალ ბათქაშზე ხატვა. სეკოს ტექნიკითაა შესრულებული ატენის სიონის კედლის მხატვრობა.

ფრესკის მხატვართა პროფესიული დაავადება ხელის რევმატიზმია.

ფრესკის საღებავს სხვადასხვა ადგილას მოიპოვებდნენ: თეთრს – კუნძულ მელოსზე, ყვითელს (ატიკურ ოქრას) – სინოპში, წითელს – ნეაპოლში.

ბადახშანის (ავლანეთი) ლაჟვარდოვანი (ლურჯი) საღებავი საბადოდან ჩამოუტანიათ.

ბიზანტიელები მარმარილოს ფხვნილს არ უმატებდნენ ფრესკის საღებავს, ამიტომ მათი ფრესკა არ ბრწყინავს (იტალიურისგან განსხვავებით).

„ტრაქტატში ფერნერის შესახებ“ ჩენინო ჩენინი უთითებს, რომ „ქალაქში გაზრდილი ქათმის კვერცხის ცილა თეთრგვრემანი, სოფლისა – შავგვრემანი სახის დასახატად გამოიყენება (ავთ. ვართაგავა, როგორ ცხოვრობენ ფრესკები, თბ., 1991).

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

### „მერანი“

ლექსის დაწერის საბაბსა და ადრესატზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ტრადიციული შეხედულებით, რაც გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში (1842 წლის 2 მაისი) გამოთქმულ მოსაზრებებს ეყრდნობა, ლექსი ილიკო ორბელიანის დატყვევების შემდეგაა შექმნილი.

ნიკოლოზი სწერს ბიძას ილიკო ორბელიანის შესახებ (ილიკო იყო ძმა გრიგოლისა, ბიძა ნიკოლოზისა), რომელიც ტყვედ ჰყოლია შამილს.

ჩრდილოკავკასიელთა ბელადი მოხიბლულა ილიას ვაჟკაცობით. ამ უკანასკნელს უთქვამს შამილისათვის, რომელსაც სხვა ტყვეებისათვის თავები დაუყრევინებია:

„შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა, მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნას!“

ნიკოლოზ ბარათაშვილი აუწყებს გრიგოლ ორბელიანს: „შამილს სდომებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარის-შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება, რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო... ახლა დარღობია, სადაც შამილის ცოლ-შვილია და სიმაგრე და კარგადაც თურმე ინახავს... ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში.

...ВОТ ЧТО ПОЭТ ДУМАЕТ ЗА ИЛИКО („აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოზე“ თუ „ილიკოს ნაცვლად“, „ილიკოს მაგივრად“, „ილიკოსავით“?! – „აა“ აქ, ცოტა არ იყოს, ხელოვნური, არაბუნებრივი ფორმაა...“ როსტომ ჩხეიძე).

ნიკოლოზ ბარათაშვილს მოჰყავს მთელი ლექსი „მირბის, მიმაფრენს...“ შემდეგ დასძენს: „არ ვიცი, ეს ლექსი როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, ჰსწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრით და სურვილით, და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიციოდი, რა მინდოდა. ბოლოს, მესამე დღეს, ეს ლექსები დავენერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივანოდო. ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა... ყოველივე სოფელში ღ(ვ)თის ნებაა და მწუხარებით... ვერას (ვ)უშველით ილიკოს.

ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოსწისათვის... ფეფოს მწუხარება გვანუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ. მეტადრე, ლექსი ტყვეობა...“ (ფეფო – ეფემია ორბელიანი, და გრიგოლისა და ილიკოსი, დედა ნიკოლოზისა).

როგორც წერილიდან ჩანს, ლექსის ლირიკული გმირის მონოლოგი ვითომც ილია ორბელიანის ტკივილიანი და მაღალი ფიქრია: „ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე“.

კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ ტატომ, უბრალოდ, შენიღბა ლექსის ნამდვილი „წარმომთქმელ-ადრესატი“ – ალექსანდრე ბაგრატიონი – კავკასიის რუსეთისაგან გათავისუფლების მოწადინე, შვილიშვილი ერეკლესი და ...მამა შამილისა (არსებობს ასეთი ვერსიაც).

ალექსანდრე ბატონიშვილს არა მხოლოდ ქართველები, ჩრდილო-კავკასიელებიც უდიდეს პატივს სცემდნენ და თეთრ ცხენზე ამხედრებულს „მფრინავს იკანდარად“ („მფრინავს ალექსანდრედ“) იხსენიებდნენ.

ვისაც არ უნდა ეძღვნებოდეს „მერანი“, ეს ნაწარმოები თავისუფლების საგალობელია.



\*\*\*

**იონა მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, თბ., 1968**

„ბარათაშვილი მაინც ბარათაშვილია, რაც უნდა ძონძი ჩაიცვას ამ კაცმა, ის არის „მერანის“ ავტორი.

სხვა რომ არა დაენერა რა, მაინც მეფე ეთქმის მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისა.

„მერანი“ არ არის სრულად ორიგინალური ლექსი ბარათაშვილისა, როგორც „სადღეგრძელო“ არ არის ორიგინალური პოემა ორბელიანისა. თავი და პირველი აზრი ლექსისა ეკუთვნის პოლონეთის დიდებულ პოეტს მიცკევიჩს. ბარათაშვილის ცხოვრების აღწერის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ იმ დროს, როცა ის გიმნაზიაში სწავლობდა, იქ ასწავლიდნენ მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“, „ჩემს მერანს“ („მერანი“) ამ ლექსის მიბაძვაა.

ფარისი ნიშნავს მხედარს, რაინდს.

მიცკევიჩმა დაწერა თავისი პოემა პოლონელი ორიენტალისტის, ვ. რუვეუსკის სახსოვრად, რომელსაც ის ბედი ენია, რაც პოემის მხედარს. ვენეცესლავ რუვეუსკი სამეცნიერო გამოკვლევით, სათვის არაბეთს იყო წასული, სადაც 15 წელი დაჰყო. მცირე ხნით ევროპაში ჩამოსვლის შემდეგ ხელახლა განშორდა სამშობლოს, თვისთა და მეგობართა. და ნავიდა არაბეთს, საცა დაიღუპა ისე, რომ ცოლ-შვილმა ამბავიც ვერ შეიტყო მისი.

ფარისში გამოხატულია არაბი (რუვეუსკის ეძახდნენ „ემირ თაჯულ-ფეხრს“), დაუღვეველ უდაბნოში გავარდნილი, სადაც არც წყალია, არც მცენარე, არც კაცის სული მოიძებნება, საცა მარტო ქვიშა და მზეა, მარტო მზე და ქვიშაა. არაბი სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც იმას ხვდება გზაზე და განაგრძობს წინ-ქროლვას.

შუაგულ უდაბნოში საშინელი ჩხავილით აედევნება ძელქორი, რომელსაც მხედრისა და ცხენის ლეშის მადა აშლია, მაგრამ არაბი იმასაც დააღწევს თავს.

მფრინავის შემდეგ დაენევა ცის ღრუბელი. ეს აფრთხილებს მხედარს, რომ წინ არ ნავიდეს, რადგანაც წინ არც ერთი ცვარი წყალი არ არის, მაგრამ ვერც ეს მუქარა შეაშინებს თავგანწირულ მხედარს.

გზა-გზა ის შეეყრება უდაბნოში დაღუპულ ქარავანს, მაგრამ ვერც ეს ძვლები მოიყვანს გონზე არაბს.

ბოლოს ატყდება საშინელი ქარიშხალი, რომლის მძვინვარებასაც გადაურჩება მხედარი. შემდეგ ის განერთხება დედამიწაზე და მოისვენებს. დაუნყებს ცქერას ვარსკვლავებს. მისი ფიქრები იკარგებიან ზეცას და ფიქრებთან ერთად, მისი სულიც.

„ДУШУ В ВЫСЬ Я УСТРЕМИЛ И В НЕБЕ С МЫСЛЬЮ СХОРОНИЛ“, – ათქმევინებს პოეტი უდაბნოში დაღუპულ მხედარს.

ჩვენმა პოეტმა გადმოიტანა თავის ლექსში მხოლოდ დედააზრი ლექსისა: მხედარი, მერანი და ჩაურთო შიგა და შიგ ელემენტები „ფარისისა“: „თვალბედითი შავი ყორანი“, „გასწი, მერანო“, „კლდენი“ და „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა“ და სხვ. (ეს ელემენტები მიცკევიჩსაც არაბული ლექსებიდან აქვს გადმოღებული, როგორც ლაგრანჟის ანთოლოგიიდან ჩანს). მაგრამ შინაარსი მისი ლექსისა სულ სხვაა, ვიდრე შინაარსი „ფარისისა“.

ბარათაშვილმა ჩინებულად გამოიყენა მიცკევიჩის ლექსის საერთო ფონი. „ფარისში“ არავინ იცის, რატომ გადმოჭრილა არაბი, სად მიისწრაფვის იგი! ბარათაშვილის ლექსში კი მხედრის განზრახვა ცხადია. ის მიფრინავს, რომ გაექცეს კაცს, სწორთა და მეგობარსა, მამულს, რომელთანაც ყოფნა მოსწყენია, რომ ან ნიავს მისცეს შავად მღელვარე ფიქრი, ან თან გაატანოს მერნის გიჟურ ლტოლვას. არაბულ მერანზე ბარათაშვილმა სულით ობოლი კაცი შესვა, რომელსაც, როგორც ვიცით, კაცთა შორის ყოფნა ეზარება. ეს მერანი უგზო-უკვლოდ მიაფრენს მხედარს, რომელიც ბედს არ ეურჩება.

ბარათაშვილის „მერანი“ დაწერილია იმგვარსავე შემთხვევის გამო, რომლის გამოც დაწერილია მიცკევიჩის პოემა. როგორც ამ უკანასკნელმა დაწერა „ფარისი“ რუვეუსკის დაკარგვის გამო, ბარათაშვილმაც, როგორც ის თვითონ აღნიშნავს გრ. ორბელიანთან მიწერილ ერთს ბარათში, „ჩემს მერანს“ დაწერა მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ მისი საყვარელი ბიძა ილია ორბელიანი დაკარგულიყო, – შამილის მიუჩინებლად მოეტაცნათ და ტყვედ წაეყვანათ...“ (გვ. 78-80).

## ალ. ყაზბეგი

### „ხევისბერი გოჩა“

(მწერლისეული მინაწერი: „ეს მოთხრობა სიტყვიტ-სიტყვამდე მიაბზო ფრიად მოხუცმა მოხევემ, ღინჯა ხულელმა“).

სოლომონ ყუბანეიშვილის აზრით, „ხულელი ხულელიდიდან არის წარმოებული, ხულელიძეები ცხოვრობენ ხევის ორ სოფელში გაიბოტენსა და თოთში. გაიბოტენი (ლელთ ღუნისა მშობლიური სოფელი – ნ. კ.) მდებარეობს თერგის კიდეზე მარცხენა მხარეს, ხოლო თოთი – ცოტა ზემოთ გაიბოტენიდან. ამ ღინჯას სოფლად, ირაკლი ჩქარეულის ცნობით, სოფელ გაიბოტენს ასახელებენ, მაგრამ, ზოგი ცნობით, ღინჯა სოფელ თოთიდან ყოფილა, ეს უკანასკნელი ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს. ალ. ყაზბეგი თოთში აძოვებდა ცხვარს და ალბათ ამ დროს გაიცნო და დაუახლოვდა ღინჯას. ხევეში ღინჯას „ღინჯას“ უწოდებენ, მაგრამ ალ. ყაზბეგს „ელგუჯასა“ და ხელნაწერებშიც ის ღინჯად ჰყავს მოხსენებული. ეს სახელი არც ერთი ფორმით დღეს არ ცოცხლობს“ (ალ. ყაზბეგი, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, ვარიანტები და შენიშვნები სოლ. ყუბანეიშვილისა, გვ. 519).

„ხევისბერი გოჩა“ პირველად დაიბეჭდა „დროებაში“ 1884 წელს (№ 171-238), მეორედ – ალ. ყაზბეგის თხზულებათა IV ტომში 1892 წელს. არსებობს „ხევისბერი გოჩას“ ხალხური ვარიანტები. ალ. ყაზბეგის ცნობით, ფოლკლორული წყარო მას ღინჯა ხულელისაგან ჰქონია მოსმენილი (ქართული პროზა, ტ. XI, თბ., 1986, გვ. 767).

\*\*\*

### ოთარ ჩხეიძე, ბარნოვი, თბ., 1989

**ხევისბერი გოჩა:** „(ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟი) აბდია ჯალაბაური არის გონება ხალხისა, სინდისი ხალხისა, სინმინდე და მოუდრეკლობა ხალხისა, ეს იგივე ხევისბერია, ხალხის რჩეული, რომელიც განაგებდა ყოველივეს თემისა – სასულიეროს, სასამართლოს, სამხედრო საქმეთა.

ის რჩეული იყო და ძალოვანი, აღსავსე ჭკუა-გონებითა, ზნეობრივი სინმინდითა, პირდაპირობითა, ყოველგვარი სიკეთითა. ის იყო რჩეული სწორედ ამ ღირსებათა გამო, იყო სულით მაღალი და ამამაღლებული თემისა... ეს ისტორიული სახე პირველად „ელგუჯაში“ ამოტივტივდა, თავისთავად წამოვიდა, ხალხი ამღელვარდება და წინამძღოლი, ცხადია, წინ მოექცევა, რომანის სიუჟეტში სხვა რამ ადგილი არ მოეპოვება, ხალხი დაიშლება, ისიც გადის ხალხთან ერთად, – როგორც შემოდის, ისევე გადის. სახე მხატვრულად მოთავებული ვერ არის. მაგრამ მაინც საგულისხმოა, ეტყობა, აბდია ჯალაბაურმა სხვა რამ მოაგონა ალექსანდრე ყაზბეგსა, სხვა ამოზიდა, ხევისბერობის დიდი ტრადიცია ამოიტანა, ეს წმინდა სახალხო სახე ამოატივტივა და დაუპირისპირა უკუღმართ მმართველებსა, არა არჩეულ, არამედ დანიშნულ მოხელეებსა, რომლებიც კიდეც უფრო აუკუღმართებდნენ ისედაც უკუღმართ კანონებსა. ასე უნდა გაზრდილიყო სახე აბდია ჯალაბაურისა, ასე უნდა შობილიყო სახე ხევისბერ გოჩასი; ასე უნდა შეპირისპირებულიყო ანმყო და წარსული, ისტორია და თანადროულობა.

გრიგოლ ორბელიანმა ყაზბეგს ჰომეროსი შეარქვა, დიადი სახელი მეტსახელად შეარქვა და ბებერი ძვლები დაუამდა, ოცდათორმეტი წელი გაახსენდა და დაუამდა ბებერი ძვლები..

თურმე ისევ ცოცხალი ყოფილიყო გული ერისა, ისევე ფეთქავდა და გოჩასავით ხელაპყრობილი იმავე სიტყვებს იმეორებდა: „არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟღენთავს... ახლა თქვენ იცით, რასაც იქ“...

ყველაფერს თავისი დრო უნდოდა, ხოლო დრომდისინ გოჩასნაირი ბრძენი უნდოდა, გოჩასნაირი მრისხანე და წმინდა, გოჩასნაირი ფოლადი უნდა ჰქონოდა ხმაში, რო უთავბოლოდ შერხეული ხალხისათვის, უდროოდა და ვნებიანად შექანებულთათვის შეეძახნა და შეეჩერებინა, – გახსოვდეთ, ვისი გორისანი ხართო!...

ამკარაა, ალექსანდრე ყაზბეგმა დრამებით რო დაიწყო მხატვრული შემოქმედება, იოლად ვეღარ დააღწია თავი დრამატურგიულ კომპოზიციას, რომანშიც ვეღარ დააღწია თავი. ეს არც თუ



ცუდი რამ გამოვიდა, კომპოზიციური სიმკვრივე თუ სიმკვეთრე მის რომანებს თავისებურ ემოციებს მატებს და შთაბეჭდილებას აძლიერებს. მაგრამ რომანი მაინც რომანია, გაშლილი დინება უყვარს, ამბავთა სიუხვე სჩვევია. თუმცა წყალუხვია მთის მდინარეცა, ოღონდ ჩქარია, კალაპოტი აქვს დაქანებული, ვინრო, და ლამაზი, მომხიბლავი ყოველ კუთხიდანა. ყაზბეგიც მთის მდინარეებს დასდარებია, მთის ბუნებას დამსგავსებია, ხასიათითა, შემოქმედებითა, თავისი გმირებითა, არაგვივით დაქანებულა და მტკვარს რო დასჯახებია, გაუპია, აქეთ-იქით მიუყრია იმისი მღვრიე ჩქერები“ (გვ. 123-127).

**ნუგზარ ერისთავი:** (გარდ. დაახლ. 1618წ.) – მისი ასული რუსუდანი ცოლად ჰყავდა გიორგი სააკაძეს. 1603 წ. აუჯანყდა კახეთის მეფეს და ქართლის მეფის, გიორგი X-ის ქვეშევრდომი გახდა. 1612 წ. გ. სააკაძესთან ერთად ირანში გაიქცა, მაგრამ მალევე დაბრუნდა უკან (იგივე წყაროები, ასევე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973); ნუგზარ ერისთავია მამა ზურაბ ერისთავისა.

„ისტორიიდან „ხევისბერ გოჩაში“ ნუგზარ ერისთავი შემოდის. ამ სახელს კარგად იცნობს „ქართლის ცხოვრება“, იხსენიებს ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი; იცნობენ და იხსენიებენ კახეთს მეფე ალექსანდრესთან მიმავალი რუსი ელჩები.

ბერი ეგნატაშვილი ნუგზარიანთ წარსულსაც იგონებს მოკლედ, მოკვეთილად, როგორც ჰფერობს ისტორიკოსსა: „ნუგზარ არაგვის ერისთავის მამა-პაპათა ამოსწყვიტეს პატრონი ხევისა თექთურმანისძე და დაიჭირეს ხევი და მიერთგან მისცა მეფემან... რომელთამე მთიულეთი, რომელთამე დუშეთი და ანანური და იქმნეს ხევის მის ერისთავად“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 390)...

სისხლით დაინყეს არაგვის ერისთავებმა, სისხლი თქრიალებდა არაგვის საერისთაოში...

ნუგზარ ერისთავი, საბუთთა მიხედვით, ხევსა ბატონობს, იმისი სამფლობელო ჩერქეზთა ბატონის სამფლობელოს ებჯინება, დარიალი შემოკალთავებული აქვს, დარიალს იმისი კაცები იცავენ, უიმისოდ დარიალს ვერავინ გამოაღწევს, ვერც რუსთა ელჩები, მეფე ალექსანდრესთან მომავალნი; დამოუკიდებელია მთის აქეთა და გადამთიელ მეფეთაგან, ძლიერია და შეუვალი, ხოლო რომანის მიხედვით სხვა რამ გამოდის – თითქოს ხევი უბატონო ყოფილიყოს, თითქოს ნუგზარ ერისთავს მოენდომებინოს ხევის დამორჩილება, გაელაშქროს, დამარცხებულიყოს, უკუქცეულიყოს. მწერალს თითქოს აბუჩად აუგდია მემათიანენი, მიურევ-მოურევია იმათი მონათხრობი, ... მხოლოდ სახელი შეუნარჩუნებია, მრისხანე სახელი – ნუგზარ და იმის გარშემო სხვა რამ ამბავი გამოუხლართავს – ხევისბერის უმტკიცეს სახეს რაც გამოჰკვეთდა... ნუგზარი შაჰ-აბაზის დროის მოღვაწეა, არაგვის მრისხანე ერისთავი, რომელიც თამაშობს ქართლისა და კახეთის მეფეებით, რუსთა ხელმწიფეს თავს აცნობს, შაჰ-აბასთან ახლო ურთიერთობა აქვს... მისი ცხოვრება სახელმწიფოებრივ საერთაშორისო მოვლენებს გადასჯაჭვია, მაგრამ მწერალს არ უნდა ამხელა ასპარეზი, ესოდენ დიდი და რთული მოვლენები. მისი ნაწარმოები მოკვეთილია, დრამატულია და არა ეპიკური, ამიტომ მხოლოდ ერთი მკვეთრი, თუ უმკვეთრესი ეპიზოდი უნდოდა იმის ცხოვრებიდან... ეპიზოდი ბევრი იყო ამ მღელვარე ცხოვრებაში, ოღონდ არ იყო ლაშქრობა ხევის წინააღმდეგ...

არაგვის ერისთავთა სისხლიან მატთანში, მოყოლებული ვანათელი აზნაურიდან, სიდამონიდან, რომელმან მოსრნა ადრინდელი განმგებელნი ხევისა და მათს მაგიერ თავისი შთამომავალნი დაამკვიდრა... XVIII საუკუნის 40-იან წლებამდის – არაგვის საერისთაოს გაუქმებამდის ერთადერთი ნუგზარ ერისთავი იცის ისტორიამ...

არაგვის ერისთავები ერთიმეორეზე უფრო საშიშარნი იყვნენ,... აქეთ ქსნის საერისთაოს ეპოტინებოდნენ, იქით – კახთა მამულებსა...

ნუგზარს ხევის წინააღმდეგ არ ულაშქრია, სამაგიეროდ, ჩერქეზთა წინააღმდეგ ილაშქრა, ლაშქარმა ხევზე გადაიარა თუ გადმოიარა, თავაურელნიც ჩერქეზთა წინააღმდეგ ახლდნენ ნუგზარსა, ავტორმა ნუგზარი თავაურელებიანად აქეთ, ხევისკენ შემოაბრუნა და ბრძოლის ასპარეზი ჩერქეზეთიდან ხევს გადმოიტანა...

შესაძლოა, არც ჩერქეზეთს გულისხმობდა, არც ხევსურეთს, არც რომელიმე სხვა კუთხეს საქართველოსი – ყველას აერთებდა, ერთსახედ წარმოიდგენდა... ხევი იქცეოდა სიმბოლოდ მარადიული ბრძოლისა ერთიანობის, სიმტკიცის, თვითმყოფელობისა და დამოუკიდებლობისათვის...

მხატვრული კონფლიქტი ზოგადდებოდა, შორდებოდა ფარგლებს ფეოდალური თუ კუთხური ომებისა, შორდებოდა საზღვრებს ისტორიისა და თანადროულობას უნივთდებოდა“ (გვ. 128).

**არაგვის საერისთავო:** ფეოდალური საქართველოს სამხარეო ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც მართავდა მეფის მიერ დანიშნული ერისთავი არაგვის ხეობასა და თერგის სათავეებში...

წყაროებით ცნობილი პირველი ერისთავები არიან შაბურისძეები (XIII ს-დან), რომლებიც მემკვიდრეობით ფლობდნენ ამ სახელს. XV ს-ის შუა ხანებიდან არაგვის საერისთავო ერისთავების მამულად, ანუ სათავადოდ იქცა. XVI ს-ში ვანათელმა (პატარა ლიახვის ხეობა) აზნაურმა ქსნის ერისთავების დახმარებით ამონყვიტა არაგვის ერისთავები და თვითონ დაეპატრონა საერისთავოს. ამიერიდან არაგვის ერისთავებად მისი მემკვიდრენი ინიშნებოდნენ.

არაგვის ერისთავთა რეზიდენცია იყო დუშეთი და სიონი, მთავარი ციხე – ანანური, საძვალე და საგვარეულო მონასტერი – ბოდორნა.

არაგვის საერისთავო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. განსაკუთრებით გაძლიერდა XVII ს-ში, როდესაც ნუგ ზარ, ზურაბ და ზაალ ერისთავები თავგამოდებით იბრძოდნენ, ერთი მხრით, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და, მეორე მხრით, ფშავ-ხევსურეთისა და ერწო-თიანეთის დასაპყრობად და დასაბეგრავად. ჯერ ზურაბმა (XVII ს-ის 20-იან წწ-ში) და შემდეგ ზაალმა (50-იან წწ-ში) დროებით დაიპყრო ერწო-თიანეთი. დიდძალი მსხვერპლის მიუხედავად, ერისთავები მაინც ვერ ეწივნენ სანადელს – 1743 წ. აჯანყებულმა არაგველებმა მოკლეს ბეჟან არაგვის ერისთავი და არაგვის საერისთავო კახეთის მეფეს, თეიმურაზ II-ს გადასცეს. მან არაგვის საერისთავო სამეფო მამულად გამოაცხადა და ერეკლე II-ის ვაჟს, ვახტანგ ბატონიშვილს საუფლისწულოდ მისცა. 1803 წ., აღმასხან ბატონიშვილის გადასახლების შემდეგ, არაგვის საერისთავო ანანურის მაზრის უფროსს დაუქვემდებარეს (წყარო: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955;

ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ; 1973).

## ჰაჟა-ფშაველას პოემაჰი

### „ბახტრიონი“

ბახტრიონის ბრძოლა კახეთის 1659 წლის აჯანყების გამიზნული ეპიზოდია, რომელსაც ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონი“ (1892), აკაკი წერეთელმა კი მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ (1895) მიუძღვნა.

ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში ამ ბრძოლის შესახებ მწირი ცნობებია შემონახული, ზეპირსიტყვიერებაში კი მდიდარი მასალაა დაცული.

ციხე ბახტრიონისა მდ. ალაზნისა და ილტოს შესართავის მახლობლად ირანელებმა XVII საუკუნის 50-იან წლებში ააგეს, შაჰ-აბას II ბრძანებით. ციხესიმაგრე უმთავრესი დასაყრდენი იყო კახეთში სპარსელთა ბატონობის განსამტკიცებლად და ჩამოსახლებულ მომთაბარე თურქმანთა უშიშროების უზრუნველსაყოფად.

1616 წ. შაჰ-აბას პირველის მიერ 300 000 კახელის აყრისა და ფერეიდანში გადასახლების შემდეგ ჩამოსახლებულ იქნა 80 000 ელი (მომთაბარე თურქმანი), როგორც სპარსელთა დასაყრდენი კახეთში. ხალხურ ლექსში კონსტატირებულია:

„ახმეტას სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო,  
ახმეტას ჩაფჭრით ვენახსა, შიგ ჩავასახლებთ ელსაო“.

კახეთის აჯანყების დროს მთავარი ბრძოლა ბახტრიონის ციხესთან მომხდარა. სპარსელებს ალავერდის მონასტერიც კი ციხესიმაგრედ ექციათ. კახეთი ორად გაეყოთ – ნაწილი ყარაბაღის ბეგლარბეგის, ნაწილიც ნახიჭევანის მმართველისათვის გადაეცათ.

ჩამოსახლებულმა თურქმან-ელებმა კახეთი გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენეს. დაიწყო დიდი სახალხო მოძრაობა, რომელსაც სათავეში ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ზაალ არაგვის ერისთავი ჩაუდგნენ. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თუმ-ფშაველ-ხევსურებმა ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის, გოგოლაურის მეთაურობით. ქართველები ღამით, მტრისთვის მოულოდნელად, დასხმიან თავს ბახტრიონისა და ალავერდის

ციხეებს. თათრები ამოწყვიტეს. კახეთი ფიზიკურ განადგურებასა და სულიერ გადაგვარებას გადაურჩა.

ზაალ არაგვის ერისთავი, მტრის დავალებით, საკუთარმა ძმისწულეებმა მოკლეს, ბიძინა, შალვა და ელიზბარი სპარსელებმა წამებით დახოცეს, (ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა). მთაში აჯანყების მოთავეთ ხალხმა ლექსები, სიმღერები გამოუთქვა.

ვაჟა-ფშაველას პოემა ბახტრიონის ბრძოლის გმირულ ეპიზოდს აცოცხლებს, განადიდებს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ მთიელ გმირებს:

თუმ ზეზვა გაფრინდაულს, ხევსურ ნადირა ხოშარაულს, ფშაველ გოგოლაურს, გამოგონილ პერსონაჟებს: სანათას, ლელას, კვირიას, ხევისბერ ლუხუმს...

ვაჟა, ქვეყნის ქემმარიტი ჭირისუფალი, გზნებს, რომ კახეთის ჭირი სრულიად საქართველოს ჭირია. სხვა კუთხენი დალხინებით ვერ იცხოვრებენ, თუკი თუნდ ერთს გადაგვარების, იავარქმნის საფრთხე ემუქრება.

განსაკუთრებულ სიყვარულს კახეთისადმი ვაჟა სხვაგანაც გამოხატავს, „სამშობლოს შვენებად“ ნათლავს:

*„თვალს ვერ ვაცილებ ბახტრიონს, აყვანილი მყავ შვილადა,  
ნატბევარია სისხლისა... ლუხუმ-ზეზვასებრ ერთგული მას ეყოლება ძვირადა!...  
ავაყენებ კი ტირილით გარდასულ ქართველის გმირებსა?  
ხმალს ვინც იქნევდა, კვდებოდა მკლავზე სისხლგადამდინარი,  
ვინც ვერა სთმობდა მამულსა, მტრის რაზმში ელვად მფრინავი,  
„არ მოგცემთ ჩემსა სამშობლოს!“ ამირანის ხმით მგრგვინავი“ („კახეთს“).  
პოემაში ვაჟა წარმოაჩენს მტრისაგან იავარქმნილ კახეთს:  
„საქმე გაჭირდა ... ურჯულო თათრებისგანა,  
დათარეშობენ, კახეთი მისცეს ქარსა და ნიავსა...  
ანოკებენ ქალ-რძალსა, ნამუსსა ჰხდნიან ძალადა,  
კრეფავენ ურჯულოები სილამაზესა ღალადა...  
მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილა-მოხდილ ქალადა...  
არვინ გადურჩათ რჯულდალ(ლ)თა, ყველას ბეგარას ადებენ,  
ვისაც ჰკლვენ გზა-გზისპირებზე, თავებს მარგილზე აგებენ,  
შადიან სხვისა სახლშია, კარს უკრძალავად ადებენ“.*

არც ფშავ-ხევსურეთს ადგას უკეთესი დღე. ხოშარელნიც (ფშაველნი) თათრის ჯარს აუწიოკებიან, „გასუქდა ხოშარისგორი სამარეებით ხშირითა“; თითქოს „დროება დამდგარა იმ მეორმოსვლის წამისა“. ჩქამი არსით ისმის, ხალხი თითქოს აყრილა, მიდამო გაუდაბურებულა.

*ამგვარია ფონი „ბახტრიონისა“ – იავარქმნილია ქვეყანა.  
სულისშემძვრელია, დამთრგუნველია შეგრძნება იმისა, რომ*

*„არა სჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამომყრელი ჯავრისა,  
კაცი არ ჩნდება შამყრელი და წინ გამძლოლი ჯარისა“.*

ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება; ქართველნი აცნობიერებენ, რომ ბედს შერიგება დამლუპველია, მტრის აღლაღება – დამამცირებელი.

კახელნი შეუთვლიან თუმ-ფშაველ-ხევსურთ:

*„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ სისხლით, ხორციით და რჯულითა.  
მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ, გაუტეხელნო გულითა.  
უბაროდ, განა არ იცით, მთანიც რო ვერა გვარობენ?  
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო, ბარზე თათრები ხარობენ;  
ჩვენის საყრდების ტრაპეზთან ეხლა მოღლები გალობენ“.*

ალავერდის მონასტერში, ბახტრიონის ციხეში თათართა გარნიზონი დგას, მართლმადიდებელი მღვდლის ქადაგების ნაცვლად, მოლას „გალობა“ გაისმის.

ჩიქილამობდლია ქვეყანა... ვაჟა ხაზგასმით წარმოაჩენს უმთავრესს:

*„უბაროდ... მთანიც ვერა გვარობენ“.*

სწორედ ეს ცოდნა, ეს მრწამსი აძლიერებს თუშ-ფშაველ-ხევსურთა სახმობად მთას წარგზავნილ კვირია მათურელს, ფშაველთა ხევისბერ ლუხუმს, თუშთა ბელადს, ზეზვას, ხევსურ ნადირა ხომარაულს...

თითოეულს გულში ღრმად ჩაუბეჭდავს მთავარი:

*„მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ, ბევრად სჯობს, ვიყვნეთ ცდაზედა, როცა დრო მოვა... დე, გაქრეს ბედის ვარსკლავი ცაზედა! ცოცხალს კი უნდა ეხუროს ვაჟკაცსა ქუდი თავზედა. სიცოცხლეს აუგვიანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა. როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება, ჩემი ცოლი და შვილები, თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს, მე თვითონ გავიგმირები“.*

„ბახტრიონის“ პერსონაჟთათვის განუყოფელია მამულის უნაპირო სიყვარული ღვთის უსაზღვრო რწმენისაგან. ისინი გზნებენ, რომ კახეთის გამოსახსნელად შემართულთ თავად წმინდა გიორგი უწინამძღვრებთ. ბრძოლის წინ თამარის ნაჩუქარ ლაშარის ჯვარს განადიდებენ, სწამთ, რომ უფლის წმინდა მხედარს „უყვარან ფშაველ-ხევსურნი, დამდგარნი ერთსა პირზედა“.

(წერილში „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ ვაჟა საგანგებოდ აღნიშნავდა: „ჩემთვის მარტო ის ფაქტი კმაროდა, რომ მთის ხალხი, სხვადასხვა თემები, რომელნიც ხანდახან ერთმანეთსაც კი ჰლაშქრავდენ, არ ინდობდენ, ამ ჟამად შაერთდენ, ერთსულოვანობა გამოიჩინეს და ძმურად მიემგებლენ ბარს გაჭირვების დღეს“).

ლაშქარი სასოებით შესცქერის წმინდა გიორგის, ცის ტატნობზე მტრედისფრად გაბრწყინებულს, გაზაფხულის ყვავილივით მშვენიერს, სპის წინამძღოლს, და ბედნიერი, იმედიანი ღალადებს:

*„ადიდე ლაშარის ჯვარი, ცისა და ქვეყნის იერო!  
ნეტავ, რა მტერი იქნება, ეხლა გაგვიძლოს, ბიჭებო“.*

წმინდა გიორგის კვალში ჩამდგართ, რჩეულნი სარდლობენ მთიელთ. ხევისბერი ლუხუმი გულჩვილია, მტრის სიკვდილის მზერისასაც კი თვალები უწყლიანდება, კვირიას წინასწარმეტყველური სიზმარი გულსა სტკენს, ცრემლს დაადენს, „კეთილად ახდესო, გულაჩუყებით“ ნატრობს; გაუჩინარებული კვირიას სახელსა და ღირსებას იცავს, აპილპილებული ლაშქრის „კოჭლი და ლუგუმი სიტყვის“ დამწუნებელი.

ეს გულჩვილი, თვალმონყლიანებული მამულიშვილი ბრძოლის ველზე ისეთივე შეუპოვარი, შეუდრეკელი მებრძოლია, როგორც მისი ძმადნაფიცი, თუში ზეზვა გაფრინდაული, რომლის მრწამსია:

*„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შავიბრალთ რისადა?  
სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა!“*

(და მაინც – „ერთი ცრემლით მეტი“ (ბ. ხარანაული) ზეზვაზე).

ასევე სწამთ „სამოთხის ყვავილივით მშვენიერ“ ლელა ბაჩლელსა და ყუნჭივით თავმდაბალ კვირია მათურელს, რომელნიც, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ბახტრიონის ციხის კარს გაუღებენ ლაშქარს.

„სულის მხუთავ დროში“ (ლუხუმისეული სიტყვათშეთანხმებაა) რწმენასა და სასოებას არ ჰკარგავს უნათლესი ქალი, აფხუშოური სანათა, ბერიძის ქვრივი, შვიდი ვაჟკაცისა და ქმრის ერთ დღეს დამკარგავი, საჯარეს რომ „მარტოს აუნთავ სანთლები და ხატიც უდიდება“. „თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა, შვილთ არც კი მოვიგონებდიო“, აღუთქვამს კვირიას.

ქართველთა ერთიანი ძალისხმევით, „ბახტრიონს თათრის შვილებსა დღე გაუთენდათ შავია“.

მადლიერმა მეფემ მთიულთ სახნავ-სათესნი უბოძა, მთავარი ჯილდო სახელი იყო, „ძვირფასი საპოვარია“. უდიდესი პატივით დაკრძალეს ბრძოლაში სახელიანნი; დედის მეტმა, არვინ დაიტირა



„სიცოცხლით სიკვდილიანი“ წინოლა, „ომშით გამოქცეული..“

გადარჩა ულამაზესი ქართული კუთხე, გადარჩა „ნისლი, ფიქრი მთებისა“, დეკა-ლვიანი, გადარჩა ქართული სული;

ხევსბერი ლუხუმის შესახებ ლამაზი ლეგენდა შექმნა ხალხმა, „მაღალი, მაღლამხედი“ მამულიშვილის სიკვდილისათვის ვერგამმეტებელმა:

მაღალი კლდის ქვაბულში, პირქუმ, ხავსიან მღვიმეში მცხოვრებ, „ბევრის ავისა მოქმედს“ უხსენებელს შეებრა ზერი ლუხუმი, დაჭრილი, მკერდ-ნატყვიარი.

თამაზ ჩხენკელის შეფასებით, „ფერისცვალება-გარდაქმნის პათოსი ვაჟას პოემებში არა მარტო ადამიანებს, არამედ განპიროვნებულ ბოროტულ არსთაც მოიცავს. ამ ფერისცვალების სქემა მითოსური ხასიათის მოდელს გულისხმობს – ზესკნელ-ქვესკნელის სფეროთა ბრუნვას და, შესაბამისად, ქვესკნელის საუფლოში არსთა გარდაცვალება-განახლებას... ის, რომ ქვესკნელის გამოქვაბულთან მწოლიარე დაჭრილ ლუხუმს წყლულებს ულოკავს გველი, მითოსურ პლანში ამავე მნიშვნელობის ფაქტია და ქვესკნელისაგან მის შთანთქმას, ანუ მის ღვთაებრივ გარდაცვლა-ფერისცვალებას და, მაშასადამე, მის განახლება-განკურნებას აღნიშნავს. ქვესკნელში ძალმოცემული ლუხუმი მკვდრეთით უნდა აღდგეს, რომ შეიძლოს „ლაშარის გორზე“ (ზესკნელს) შედგომა“.

ვაჟას ლუხუმი და ილიას აჩრდილი (მყინვარზე მდგარი მოხუცი) საქართველოს „თანამდევ, უკვდავ სულს“ განასახიერებენ, ვერც ერთი დამპყრობელი რომ ვერასოდეს დათრგუნავს, უხსენებელსაც კი გველურ ბუნებას დაავინყებს, ბოროტების გზას გააშვებინებს და კეთილს დააჭერინებს.

### **ზეზვა და ლუხუმი**

„სამშობლოს შვენებად“ მონათლული კახეთისადმი მიძღვნილ ლექსში ვაჟა-ფშაველა წერს:

„თვალს ვერ ვაცილებ ბახტრიონს, აყვანილი მყავ შვილადა, –  
ნატბევარია სისხლისა, დღეს განისვენებს ტკბილადა;  
ლუხუმ-ზეზვასებრ ერთგული მას ეყოლება ძვირადა!“ („კახეთს“).

ლუხუმი და ზეზვა „ბახტრიონის“ მთავარ პერსონაჟებად წარმოაჩინა ვაჟამ, გმირებად, რომელთა წინამძღოლობა ეოცნებებოდა ირანელ დამპყრობელთაგან დაბეჩავებულ ქართველს, მკვნესარს:

„არა სჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამომყრელი ჯავრისა,  
კაცი არ ჩნდება შამყრელი და წინ გამძღოლი ჯარისა“.

ლუხუმისა და ზეზვას პიროვნული სიდიადის გასაცნობიერებლად, უპირველესად, გააზრება სჭირდება იმას, რა საზარ ძალას დაუპირისპირდნენ მამულიშვილნი.

ზაალ არაგვის ერისთავთან, ბიძინა ჩოლოყაშვილთან, ელიზბარ და შალვა ერისთავებთან ერთად, ზეზვა გაფრინდაული კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო (თუმცა ზეზვას მხარში ედგნენ ხევსური ნადირა ხოშარაული, ფშაველი გოგოლაური). ლუხუმი გამოგონილი პერსონაჟია.

შაჰ-აბას II ბრძანებით, XVII ს-ის 50-იან წლებში კახეთში მომთაბარე თურქმანული ტომების ჩასახლება დაიწყო. ელები (თურქმანები) ირანელთა დასაყრდენს წარმოადგენდნენ. მათი (და თავისი) ინტერესების დასაცავად სპარსელებმა ბახტრიონის ციხე ააგეს, ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადააკეთეს.

სწორედ ბახტრიონსა და ალავერდში გამაგრებული ირანული გარნიზონები ამოწყვიტეს აჯანყებულებმა და კახეთი სულიერი გადაგვარებისა და ფიზიკური განადგურებისაგან იხსნეს.

ვაჟა-ფშაველას ლუხუმი და ზეზვა ჭეშმარიტი მამულიშვილები არიან, აღმქმელნი ქვეყნის ჭირისა და ტანჯულნი სამშობლოს სვეუბედურებით. ხედავენ, რაცა სჭირს კახეთს, „სამშობლოს შვენებას“.

ხოშარისგორიც (ფშავი) სამარეებით გასუქებულა. ქართველთაგან უკეთესნი აცნობიერებენ, რომ მტრის აღლაღება დამრთგუნველია, დამამცირებელი. ბედს შერიგება დამლუპველია. კახელთა სასონარკვეთილ ვედრებას მთიელნი ვერ ნაუყრუებენ.

მტერთაგან გატანჯულ მოძმეთა ვედრება სულს უშფოთებს მამულიშვილებს.

ლუხუმს ლაშარისგორზე ხატავს ვაჟა. ფშაველ-ხევსურნი იკრიბებიან, რათა ხომარელთა და კახელთა სისხლი აზღვევინონ ალღაღებულ სპარსელთ. სუმელჯაურნი, ჭინჭარაულნი, ჭორმიშელი, ჭიელი, ლულელებელი, ხახმატელი... ვაჟები მგლური ნაბიჯით მოდიან, „თითოს ხევს არაგვისასა თან მოსდევს ლაშქრის ღვარია“.

ფშაველთ მოუძღვის ლუხუმი. ლურჯაც „პატრონის გულის მცოდნე“ ჰყავს. ქადაგი აიძულებს „ლომისფერ ვაჟებს“, რომ მთიელთა ლაშქარს თავად წმინდა გიორგი უწინამძღვრებს, რადგან „უყვარან ფშაველ-ხევსურნი, დამდგარნი ერთსა პირზედა“.

კახეთისაკენ დაძვრამდის თამარის ნაჩუქარი ლაშარის ჯვარი, დიდი თამარი და ბრძოლებში დაღუპული გმირები მოიხსენია სპამ.

*„ხვეისბრობს ბერი ლუხუმი, ხმატკბილად მოუბარია,  
გმირთა ქებით და დიდებით გული ვერ მოუფხანია“.*

ლუხუმის ლბილი ბუნება „ხმატკბილად მოუბრობაშიც“ სჭვივის. თანამღმობელია, სხვისი ჭირის გულთან მიმტანი. დამნუხრებულ, შეფიქრიანებულ კვირიას თანაგრძნობით ეკითხება, ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს, თუ აგრეა, წერას მოგხსნიო.

მათურელის უარის შემდეგ წყენანარევი საყვედურით ეტყვის კვირიას: „თუ არ გვიამბობ, კვირიავ, ჩამოგყრით დროშის ჭერასა“.

კვირიას წინასწარმეტყველური სიზმარი შეძრავს ლუხუმს.

*„ენყინა ლუხუმს სიზმარი, ცრემლები მოსდის წყვილადა.  
„კეთილად ახდეს!“ – მაინც სთქვა გულაჩუყებით, რბილადა“.*

ვაჟა გამუდმებით უსვამს ხაზს ლუხუმის ბუნების სირბილეს, სიმშვიდეს, თანამღმობლობას.

ბანაკს მისულ ლელას გაკვირვებით ეკითხება, „ამ სულის მხუთავ დროშია“ მამა ომში რად გგზავნისო. როცა შეიტყობს შანშე ბაჩლელის ავადობის ამბავს, დასევდიანებული, ანუგეშებს ქალს, „ეკმარვართ მტრისადა ზიანადო“.

დანარჩენთაგან განსხვავებით, დიდბუნებოვანი ლუხუმი არ იჯერებს უცაბედად გამქრალი კვირიას „ღალატისადა“, ვერ წარმოუდგენია „ეგრე მუხთლად ღალატი, ეგრე უღმერთოდ ტყუება, მტრისა სალხენად ძმებისა შინაით გამოცყუება?!“

საჭიროებისამებრ, მრისხანებს კიდევ – სასტიკად აუკრძალავს სპას კვირიას აუგად მოხსენიებას:

*„არ რადმე მეჭაშნიკება სიტყვა კოჭლი და ლუგუმი.  
კაცს მაგის მეტად ვერ იცნობთ, მაგის მეტ არ გაქვთ შნოება?...  
ღალატს რა უნდა ჩვენშია, როგორი გვადგა დროება?!“  
„წყნარი და რჩეული სიტყვა“ მოითხოვა ლაშქრისაგან ლუხუმმა.*

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა შეხვედრასა ჰგავს ლუხუმისა და ზეზვას შეყრა ნაქერალაში. ქართველთა უპირველესი პოემის გმირთა „სილაღე და უკადრობა“ ცოცხლდებოდეს თითქოს.

როგორც ტარიელი „გაუკადნიერდება“ ფრიდონს, ლუხუმიც იტყვის ზეზვაზე, თუშთა გასაგონად:

*„მე ჯერ თათრებთან რა მინდა, მაგისი სისხლი მწყურია,  
დულს და გადმოდულს გულიდამ მაგის მტრობა და შურია“.*

როგორ მშვიდდება სპა, როცა რწმუნდება, რომ ეს ოდენ ხუმრობაა, რომ „ერთმანეთისა სურვილი ორსვე ჰქონიყო წყლულადა“.

სიამოვნებით უმზერს ლაშქარი, როგორ ეკინკლავებიან ერთურთს ძმობილნი, როგორ „აკოცეს მხურვალედ“.

დაბერებულხარ, ჭალარა გაგხშირებიაო, სინანულით ეტყვის ლუხუმი. ზეზვა მიუგებს:

„ლაშქრობამ ჩამომაბერა, ძალღუმადურად გდებამა,  
სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია ძუძუს მამსხლიტა დედამა“.

მოაგონა ერთად გადახდილი ომები, ისიც, რომ ლუხუმს ებრალებოდა ხოლმე მოკლული მტერი, თვალები უწყლიანდებოდა, განსხვავებით ზეზვასაგან, რომლის მრწამსითაც:

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შავიბრალოთ რისადა?  
სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა!“

როცა თუმ-ფშავ-ხევსურთა ჯარი ფიცით შეიკრა, „მაღლიდამ მაკურთხებელი თავზე დაადგათ ჯვარია“. ზეცით იკურთხა ქართულ ტომთა ერთობა.

„ბახტრიონს თათრის შვილებსა დღე გაუთენდათ მწარია“. თათრებს მიჰკიოდა შეუპოვარი ზეზვა, ხმალამონვდილი მიუძლოდა ლაშქარს ლუხუმი.

„მთელი თუშეთის დარად“ მონათლეს ზეზვა, ტანად მომცრო, სულით მაღალი, ვაჟკაცი, „ღირსი, ნელთ ერცყას ხმალია“. ჰშვენოდა ლომს დაზარნიშული ფარი ელვა-ქარივით სწრაფს. რჯულ-ძალთ დაჭრეს და განირეს ცოცხალ-მკვდარი, მაგრამ ნირი ვერ აცვლევინეს.

„თუ გაჰზდის, ფურმა გაზარდოს აიმისთანა ხარია!“

ცხარე ცრემლით ტიროდნენ თუშები....

...ბერი ლუხუმი, „დამრიგებელი ფშავისა“, ბრძოლაში დაჰკარგოდა სპას. იფიქრეს, თუშეთს ხომ არ გაჰყვავო დაჭრილ ძმობილს, ზეზვას... საგონებლად ექცათ პატრონის დაკარგვა.

ლუხუმი ერის თანამდევნი უკვდავი სულია, ლეგენდას შეფარებული.

„მაღალი და მაღლად მხედი“ მამულიშვილი სიკვდილისათვის ვერ გაიმეცა ხალხმა.

ლუხუმი განსახიერებაა დამპყრობთაგან დაუთრგუნველი, მარადუკვდავი სულისა, უხსენებელსაც რომ „გადაუბრუნებს გუნებას...“

\*\*\*

**გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957**

„ბახტრიონის“ ცნობილი ლუხუმი ხალხურ ლექსში წარმოდგენილია, როგორც მარჯვენ-ამოკვეთილი:

„მესამედ გამობტომაში ლუხუმს მუხლ მასტყდა მგლისაო...  
ხელი მარჯვენა მააჭრეს, ნესიც არ იყო მთლისაო...  
სიმშლით დაღონებულმა ქუჩი მოძოვა მთისაო;  
წყურვილით დაღონებულმა ცვარი ალოკა ცისაო.  
ლუხუმს გველ შამაეჩვია, მუხლს ულოკს, უკურნისაო.  
ორი კვირა რო ნავიდა, ლუხუმს მუხლ ექნა მგლისაო“.

ვაჟამ მარჯვენის მოკვეთის მხრივ არ გამოიყენა ხალხური ლექსი, მაგრამ პოემის ერთი საუკეთესო ადგილი უთუოდ ამ ლექსითაა ნასაზრდოები („იტყვიან: მაღლის მთის ძირსა..“).

„ბახტრიონში“ რომ ვაჟას აქაური (ამ – ნ.კ.) ლუხუმის სახე აქვს გამოყენებული, აღნიშნული აქვს აკადემიკოს აკაკი შანიძეს (გვ. 173).

\*\*\*

**ვახტანგ რაზიკაშვილი, მამაჩემი – ვაჟა-ფშაველა, თბ., 1973**

ვაჟას გმირები სინამდვილიდან არიან აღებული... სუყველა გმირი ქართველი, ნამდვილად ერთგული, სამშობლოს დამცველია.

ლუხუმი ნამდვილი ჩარგლელი იყო, აფხუმოს მცხოვრები. იგი ბახტრიონის გმირი იყო. ლაშქრობაში ის უძლოდა ფშავლებს წინ, როგორც ბელადი.



ზეზვადი თუშების გმირია... ჩაღმა თუში იყო, გვარად გაფრინდაული. დღესაც არის თუშებში გაფრინდაულის მოდგმა.

გოგოთური ფშავში, სოფელ ყოფჩაში, ცხოვრობდა. ასევე, ზვიადაური და მინდია-გველისმჭამელი ხევსურები იყვნენ, არხოტის ახლო სოფელ ახილადან (გვ. 149).

\*\*\*

### **ზურაბ კინაძე, „ბახტრიონის“ დასასრული, ჟურნ. „ბალავერი“, №1-6, 1989**

როცა ბრძოლა დამთავრდა, იძლია ისტორიული მტერი – ყიზილბაში, როცა „გადმოდგა ბორბალაზედა თავისუფლების მთვარეა“, შინმიმავალი გამარჯვებული ფშაველთა რაზმი თავის შორის ვერ ხედავს ბერ ლუხუმს, რომელიც სახელიანთა შორის მესამეა კვირიასა და ლელას შემდეგ. ლუხუმი, ხვეისბერი, უჩინარდება სასწაულებრივად და იწყება ესქატოლოგიური ლეგენდა (ესქატოლოგია – მისტიკური მოძღვრება სამყაროსა და ადამიანის საბოლოო ბედზე) : „იტყვიან: მალღის მთის ძირსა..“ (თ. XIX). ამიერიდან ლუხუმი აღარ ეკუთვნის ბახტრიონის გმირთა, თუნდაც გამარჯვებულთა, წრეს, არც მათ ეპოქას; ის კაცობრიობის მომავალშია გადასროლილი, უკან დარჩა ხანა, როცა ბატონობდა „მთავარი იგი ამის სოფლისაი“ ანუ ძველი მტერი, რომელმაც ისტორიის დასაბამში შეაცთუნა ადამი, მთელი ისტორიის მანძილზე რომ თესავდა მტრობას და გველეშაპის სახით წარმოუდგებოდა კაცობრიობას. კვირიას საბედისწერო სიზმარში ხომ გველეშაპი განიგმირა, კაცის ხელით განადგურდა, მაგრამ კაცი კი იმსხვერპლა, ახლა კი, მარადისობის კარიბჭესთან, ეს „გველი, მორთული ჯაგრითა, ბევრისა ცოდვის მოქმედი“, „ადამის ტომის მტერი“, გარდაიქმნება, ბუნებას იცვლის ადამიანის კვნესის ხმაზე (ასეთი ძალა ენიჭება კაცის კვნესას). უმწოდ დარჩენილი ადამის ძის წინაშე გველმა დაიბრუნა ის ბუნება, რომელიც შეუქმნა მას ღმერთმა, როცა ქმნიდა ყოველ არსებას (და რასაც ქმნიდა, კეთილად ქმნიდა), გაეხსნა ცრემლის სადინარი იმის ნიშნად, რომ სიყვარულის თესლმა გაიხარა კაცობრიობის მტრის გულში. „ვეშაპი იგი დიდი, გველი დასაბამისაი“ (გამოცხ. 12, 9), აღადგენს თავის თავში ღვთის ქმნილებას.

*„ბოროტების გზა გაუშვავ,  
კეთილი დაუჭერია..“*

ბოროტმა მიიღო ის სახელი – „კეთილი გველი“, როგორც ქრისტეს მოიხსენიებდნენ, ტერტულიანეს ცნობით, ადრეული ქრისტიანები. გველმა გამოისყიდა საუკუნეთა უწინარეს ჩადენილი ცოდვა, წამოაყენა ფეხზე უფლის მხედარი და თავადაც ზეალიმართა. განკურნებულ ლუხუმთან ერთად იმ დროში ვართ, როცა „უკანასკნელი მტერი იგი განქარდა სიკუდილი“ (I კორ. 15, 26).

კვლავ დაისმის კითხვა იმ პირველი შემკითხველის კვალზე, თუ რას გულისხმობდა პოეტი, პოემის დასასრულს რომ ამბობდა: „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“

ლაშარის გორი „ბახტრიონის“ დასასრულს ის სამუდამო სიმაღლეა, საიდანაც ჩამოსვლა ლუხუმს – კაცობრიობის უკეთეს ნატამალს – არ უნერია (გვ. 120).

### **კვირია მათურელი**

კვირია მათურელი ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ პერსონაჟია, „კაი ყმა“, უჩინარი, მაღალი, ჩუმი მსახური ღვთისა და მამულისა, ზვარაკი და ტარიგი.

ვაჟა პირველად საჯარეში – ხატის ალაგში – წარმოაჩენს კვირიას:

*„კაცი გამოჩნდა უცხო რამ, ჩამოგლეჯ-ჩამონენილი,  
ერთი ყარიბი, უშნო რამ...“*

საცნაურია მისი „უცხოობა“, „ყარიბობა“ – უცხოა, „ცხოა“ – სხვა, სხვანაირი, განსხვავებული; ყარიბია – მწირი, მსხემი, მეროჭიკე ბერთ მიმსგავსებული.

კვირიას ჩამოგლეჯილ-ჩამონენილი სამოსი, „უშნობა“ წარმოაჩენს მის სიგლახაკეს, მაგრამ მათურელი, უპირველესად, სულითაა გლახაკი – ესე იგი, ნეტარიც („ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ (მათე 5, 3)), რაც პოემაში მოგვიანებით დადასტურდება – კვირიას „სიგლახაკე“ წმინდანის შარავანდით შეიცვლება.

კვირიასნაირნი თუ იტყვიან: „ყოველსა შინა ვიჭირვით, არამედ არა იწროება გვიჩნს, წართუ-წირულ ვართ, არამედ არა განწირულება გვიჩნს“ (II კორ. 4, 8), რადგან მას სამყაროს მშვენიერების ჭვრეტა ობლობა-სიგლახაკეშიც ხელენიფება – ნისლებსა და წეროებთან მოსაუბრეს...

წმინდა მამების განმარტებით, „ჭირი ყველა მართალს პოულობს ცხოვრებაში გაკეთებული არჩევანის გამო, რადგანაც ჭირნი სწორედ იმათი ხვედრია, ვინც განიერსა და ფართო გზას გვერდი აუქცია და ვინროსა და ნაღვლიანს დაადგა“ (წმ. ბასილი დიდი, თხზულებანი, თბ., 2002, გვ. 160)....

ვაჟა კვირიას განსაკუთრებულობას წარმოაჩენს დეტალით: „სანთლისა შუქზე წამოდგა დატანჯულისა ფერითა“.

მათურელი თითქოს თავიდანვე სანთლის, ნათლის შარავანდში, წმინდანის ნიშნით წარმოჩნდება. „დატანჯული (მგლოვიარე) იერიც“ მის განსაკუთრებულობას ამკვეთრებს („ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ ისინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ“ (მათე 5, 4)).

მხარზე თოფი გადაუგდია, წვერი „გაპბუდებია“, წელს წნელით აკრავს დანჯღრეულ ქარქაშში ჩაგებული ხმალი (იოანე ნათლისმცემელსაცა ჰგავს თმაგაბუდებული, წელშემოსარტყლული...).

(წმინდა წერილი გვმოძღვრავს: „მოირტყენით წელნი გონებათა თქუენთანი,... სრულიად ესევდით მოწვეწულსა მას თქუენდა მადლსა გამოცხადებისა იესუ ქრისტესსა, ვითარცა შვილნი მორჩილებისანი“(I პეტრე 1, 13)).

ფშავლობა იერზე ეტყობა. თოფის ტუჩს დაყრდნობილი, დაფიქრებული უმზერს საჯარეში მარტოკა მოფუსფუსე „ბერ დიაცს“, სანათას. კვირია

„ცრემლებს იწმენდა ხელითა,  
იზიარებდა ბებრის დარდს  
სახის შეჭმუხვნით ხმელითა“.

სახის სიხმელეც ადასტურებს, რომ კვირია ხორცს არ ალაღებს. მისი ცრემლიც მაღალი სულიერების წარმომჩენია (აკი ცრემლი მადლია სულიწმიდისა).

თანაღმობით, ტკივილით ისმენს დიაცის გოდებას:

„სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში, კვნესა რად ისმის ჩვენითა?  
როდემდის უნდა ვსტიროდეთ, მინა ვასველოთ ცრემლითა,  
ან მინა რად არა ძლება დამდნარის გულის წვენითა?!“

სანათას ამონაკვნესი თავად კვირიას სატკივარცაა. ათრთოლებული ხმით გამოჰკითხავს ქალს თავსდამტყდარი უბედურების შესახებ.

ხატის წყალობად აღიქვამს „ბერი (მოხუცი) დიაცი“ მამაკაცის საჯარეში გამოჩენას. ხატისავ წყალობას უსურვებს კვირია სანათას, დედაშვილობის მადლს დააფიცებს და სთხოვს, აუხსნას, „საჯარეს დიაცს რა უნდა“.

გულჩათუთებული ისმენს სანათას მონათხრობს და შემდეგ, დანვრილებით მოუთხრობს თავის თავგადასავალსაც.

„ბევრი ჭირი“ უნახავს, თხრობისას რეტი ესხმის (რარიგ ჰგავს ეს პასაჟი ტარიელის განცდებს ჭირთა თხრობისას) :

„ოცს წელს სრულ სხვიშვილადა ვარ, სამშობლო გამიწირია,  
მათურელი ვარ ძირადა, სახელად მქვია კვირია“.

მაღალთა თავმდაბლობით იტყვის: „ჩემფერა უკეთურები ყუნჭებიც ბევრი ჰხირია“ (ჩემსავით უსარგებლო „კუნძიც ბევრი გამოხირულაო“).

ფშავს „უბინადროდ“ დარჩენილი, ბედის საძიებლად წასულა, „მეტისმეტი ტანჯვა“ უნახავს, „ობლობა-ბეჩაობის ობი“ სდებია. „ორ-კვირაობით მშიერ-მემცივნი გდებულა“... გაჭირვების გამო ნაადრევად დასდებოდა დროული კაცის იერი...

ოც წელიწადს მწყემსად ყოფილიყო თუშეთში.

ტკივილით ჰყვებოდა, მაგრამ ლამაზად:

„...ფშავის ხევის სტუმარსა მარტო ვხედავდი მთვარესა.  
საბაროდ გადმამავალთა ამბავს ვკითხავდი წეროთა.  
რა წერილობას გაგვინვეს, თოვლზე ამბავი ვწეროთა?!  
ოც წელს მინა მაქვ ლოგინად, ცა მახურია საბნადა,  
ავდარში შავი ნისლეები ტანზე მეხვევა ნაბდადა“.

თოვლზე ნანერი ამბავით როდი „დამდნარიყო“ ნანახ-განცდილი...  
რას დაებრუნებინა კვირია მშობლიურ ფშავში? თუშთ იარალი აესხათ სპარსელთაგან იავარ-  
ქმნილი კახეთის სახსნელად, მათურელი ფშაველ- ხევსურთა შესაყრელად წარმოეგზავნა ზეზვას.  
კვირიას თანამოძმეთათვის უნდა ეუნყებინა განსაცდელში მყოფთა დანაბარები:

„მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ, გაუტეხელნო გულითა!  
უბაროდ, განა არ იცით, მთანიც რო ვერა გვარობენ?  
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო, ბარზე თათრები ხარობენ.  
ჩვენის საყდრების ტრაპეზთან ეხლა მოღები გალობენ“.

ქვეყნის იავარქმნის უსაზარლეს მეტაფორად მოლას „გალობას“ წარმოაჩენს კვირია (თავად ვაჟა) („სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“ (“მამული”), – „საუკუნეთა მღვრიე მრავლობის“ მიღმა შეეხმიანება გალაკტიონი...).

ჭეშმარიტი ერისკაცის გულისტკივილით მოუთხრობს კვირია სანათას კახეთის გასაჭირის შესახებ:

„მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილა-მოხდილ ქალადა.  
არა სჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამომყრელი ჯავრისა,  
კაცი არ ჩნდება შამყრელი და წინ გამძლოლი ჯარისა“.

კვირია მამულისათვის ბრძოლაში დაღუპულთ შეჭნატრის და უცნაური წინათგრძნობით ამბობს, იქნებ, ორიოდ კვირაში „შავხვდე შავეთის კარზედაო“ („შავეთის“ როდი, სასუფევლის „კარზე“ შეხვდება...).

სანათას უყვება, მაგრამ, თითქოს, უფრო მრწამსს განიმტკიცებს, დაიდასტურებს:

„მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ, ბევრად სჯობს, ვიყნეთ ცდაზედა,  
როცა დრო მოვა ... დე, გაქრეს ბედის ვარსკვლავი ცაზედა! (შდრ. „ბრძენი სჯერა მოწვენად-  
სა..“).

ცოცხალს კი უნდა ეხუროს ვაჟკაცსა ქუდი თავზედა;  
სიცოცხლეს აუგინასა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა („სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი  
სახელოვანი“).

როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება, ჩემი ცოლი და შვილები,  
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს, მე თვითონ გავიგმირები“.

კვირიას სიბრძნე საუკუნეთა სიღრმეებშია ფესვგადგმული, ნასაძირკვლევია – ზოგადქართულია, ნამდვილქართული (ამადაც ეხმიანებიან საქართველოს დიდი მესიტყვენი (შოთა და ვაჟა) ერთურთს ასწლეულთა უმორესი სამანებიდან).

ჩქარობს კვირია, ზეზვას დანაბარები გადასცეს ფშაველ-ხევსურთ. სოფლები კარდაკარ უნდა დაიაროს. გაბედნიერებული სანათა არ დააყოვნებს, არ დააბრკოლებს, გზას დაულოცავს, ქადაპურებს უსაგზლებს და უფლის წყალობას უსურვებს.

...ხმაურობს, ბრძოლას ეშურება შეყრილი ლაშქარი. მხოლოდ კვირია დგას დაფიქრებული, სახემწუხარე (კვლავ – „მგლოვარე გულითა“), ჯოხს დაყრდნობილი (იოანესავით – უფლის მკერდს მიყრდნობილი.....).

„რას ფიქრობს ობოლ კვირია, ამის გამგები ვინ არი?  
არა მელავნდება გულიდამ ფიქრები ამამდინარი“.

პურსა და არაყს აძალებენ დაღონებულს, განმარტოებულს მხედარნი.

ბერი ლუხუმი აგულიანებს, თუ ცუდი სიზმარი ნახე, მოგხსნი წერასაო.

დიდხანს ვერას დააცდენინებენ რას, მერე ყასიდად დაემუქრებიან, „ჩამოგყრით დროშის ქერასაო“. კვირიაც უნადინოდ მოჰყვება ავ ზმანებას: ტრიალ მინდორზე მიჰქროდა თურმე, ქარით სწრაფ ცხენზე ამხედრებული, თავმოძნონე.

უეცრად სამი სანთელი დაენტო ხმლის ვადაზე, „შუქი ციური ჯვარადა (გამოესახა) ფარზედა“ (პასაჟი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: „ნეტარი მამაი გრიგოლ თვისით აგარაკით მარტოი შთამოვიდოდა ხანძთას... სვეტი ნათლისაი ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული ჰფარვიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯვარი თვალთშეუდგამი გარემო მისსა ცისსარტყელისსახედ, შუენიერად რაი გამოჩნდის ჟამსა წვიმისასა“; „აბოს წამებაშიც“ წმინდანის წამების ალაგს განაბრწყინებდა ვარსკვლავი, „ვითარცა ელვაი ცეცხლისა“, „განსაკვირვებელი ნათელი“ გამოსცა წყალმა და, „უკეთუ ხორცთა მათ განხრწნადთა ესოდენი პატივი აწვე აჩვენა, რავდენ უფროის უხრწნელად აღდგომასა მას მართალთასა დიდებითა და პატივითა გვირგვინოსანი იხილონ შორის ანგელოზთა!“).

ტრიალ ველზე არა ჩანდა რა, „ხშირი ყოილის“ (ყვავილის) მეტი. შავი, ცეცხლისმსროლელი ვეშაპი „მოჰლოკდა“ ყვავილს (სპარსი ცეცხლითა და მახვილით სრავდა კახეთს, სრულიად საქართველოსაც დაჰღირებოდა), კვირიასაც დაეღირა, მაგრამ ხმლით გაუპო თავი მათურელმა. „ბოროტი სისხლი“ შეაფრქვია უხსენებელმა, ცხენი წაუქცია, თავად მხედარიც უგრძობლად დასცა ძირს.

გონს რომ მოეგო, ქათქათა ლოგინში იწვა კვირია, ჭადარი ჩრდილს ჰფენდა, ქედანი დაჰლუღუნებდა.

წამით ამობრწყინებულმა მზემ დაჰხედა, ობოლი სხივი დაუტოვა (კვირიასთვის „განირა“) და გაბრუნდა (ეს სხივი წმინდანის შარავანდად შემოექსოვებოდა სასუფეველში წამებულს).

მკლავზე მიეძინა მიქანცულ კვირიას...

*„ენყინა ლუხუმს სიზმარი, ცრემლები მოსდის წყვილადა,  
– კეთილად ახდეს! – მაინც სთქვა გულ-აჩუყებით, რბილადა“.*

კვირია ლელა ბაჩლელს გაანდობს გულისნადებს, ძმობას შეჰფიცებს („თუნდა მიმიღე მამადაო“, ეტყვის), ვინაობას აუწყებს მათურელი გივის შვილი.

აღუწერს ქალს ბახტრიონის ციხეს (ლამის ქაჯეთის ციხის აღების წინ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის თათბირს მიემსგავსოს ბახტრიონის ბჭეთა განხვნის კვირია-ლელასეული გეგმა).

ულამაზეს ლელას ყენისათვის ნაბოძებ ქალად უხმობს და ციხე-სიმაგრის კარს შიგნიდან გაუღებს ფშაველ-ხევსურ-თუშთა ლაშქარს.

*„ოლომც ეშველოს ჩვენს ჯარსა, ორსვე სიკვდილი სწადიან“.*

ეს შეგნებული, გააზრებულ-გაცნობიერებული მსხვერპლია, საუფლო, მაღალი, აღსრულება სახარებისეული სიბრძნისა: „რომელმან წარინყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი“ (მათე 10, 39).

მსხვერპლი იმისთვის გაიღება, თავს იმისთვის გასწირავენ კვირია და ლელა, „ჩვენის საყდრების ტრაპეზთან“ მოლებმა რომ ველარ „იგალობონ..“

მაგრამ მანამდის ეჭვის ჩრდილი მაინც ადგება მომავალ წმინდანს – კვირიას გაუჩინარება შეაფიქრიანებს ლაშქარს:

*„ვინ იცის, ნათრევ კაცია, არ იყოს ლალატიანი,  
დუშმანი არ გაგვიფრთხილოს, საქმე ქნას ნახლართიანი“.*

„ნათრეობა“ და „ლალატიანობა“ სინონიმებად აღუქვამს მთიელთა შეურყვნელ ბუნებას. სოფლის (წუთისოფლის) ეჭვს ხევისბერი გაფანტავს (ჯანღს – მზის შუქი...) – ლუხუმი დაამოშმინებს ავად გაღიზიანებულ მხედართ:

*„არ რადმე მეჭაშნიკება სიტყვა კოჭლი და ლუგუმი.  
კაცს მაგის მეტად ვერ იცნობთ, მაგის მეტ არ გაქვთ შნოება?“*



ლალატს რა უნდა ჩვენშია, როგორი გვადგა დროება?!“

(საუფლო სიბრძნის დამმარხველია ხევსბერი: „რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად (ამაოდ, ტყუილუბრალოდ, უმიზეზოდ), თანა-მდებ (ღირსი) არს სასჯელისა“ (მათე 5, 22)).

ხევსბრის მრწამსით, „კოჭლია და ლუგუმი“ განკითხვის სიტყვა.

როდესაც ბახტრიონს თათრის შვილებს შავი დღე გაუთენდებათ, ბორბალაზე გადმოდგება თავისუფლების მთვარე, „სახელიანთაგან“ პირველს ობოლ კვირიას მოიხსენიებენ მხედარნი, „სახე აქეს ნათელიანი“.

ციხე-სიმაგრის კარის გამლებს, ლელა ბაჩლელთან ერთად კართანვე აკაფულს, ფშავში მის-ვენებს დანალვლიანებული სპა:

*„მძიმეა თავის ქვეყანა, თავის წყალ-ჭალა ძლიერა,  
მინაც ტკბილია მშობლური, გულს რომ ეყრება ფხვიერა“.*

ოც წელინადს „სხვის შვილად“ მყოფი ყარიბი მწყემსი (უფლის თანამოსახელე – მწყემსი კეთი-ლის მკერდს მიყრდნობილი) „სახე ნათელიანი“ „დაბრუნდა“ ფშავს...

თოვლზე როდი, ერის სულში ჩაინერა ამბავი...

### **თამაზ ჩხენკელი, მშენიერი მძლევარი, თბ., 1989**

კვირიას სიზმარში გმირის ღვთაებრივი გარდაცვალების სურათია მოცემული. კვირიას გონი ზესკნელშია წასული... დიდი ჭანდარი იგივე ცხოვრების ხეა, ბერი ქედანი – ამირანის სამზეოზე ამომყვანი ფასკუნჯის სახენაცვალია. ეს არის მითოსური სამყაროს სამოთხე – მზის საუფლო, ზესკნელი.

ქვესკნელში მიძინებული გმირის გონმა უკვე იხილა მომავალი აღორძინების საუფლო... (გვ. 193).

### **ზურაბ კინაძე, „ბახტრიონის“ დასასრული, უფრნ. „ბალავერი“ №1-6, 1989**

ვაჟას „ბახტრიონი“ გამარჯვების პოემაა, ხოლო სადაც გამარჯვებაა, იქ მსხვერპლი გარდაუვა-ლია. ამ ტრაგიკულ ქვემარტებას თავისი პიროვნული ბედით აცხადებს ობოლი კვირია, მაგრამ ის მსხვერპლია არა როგორც ერთ-ერთი დაცემულთაგანი ბრძოლაში, არამედ საკუთარი ნებით თავის მიმტანი სამსხვერპლოზე მრავალთა ხსნისათვის. ამიტომაც ატარებს ამ სახელს – კვირია – „უფლისა“, „საუფლო“..., ზვარაკის სახელს. მისი საბედისწერო უპირატესობა ლაშარის გორაზე შეკრებილთა შორის ჯერ მის სახელშია დამარხული და მისი მატარებლისათვის დაფარულია.... გარეგნული სიბეჩრავე მარხავს შინაგანს, რაც მალე გაბრწყინდება...

ომში მიმავალი კვირია ატარებდა წინათგრძნობას, რომ დაილუპებოდა („იქნება, ამ ორს კვი-რაზე შავხვდე შავეთის კარზედა“), მაგრამ არ იცოდა, როგორ გამოიხატებოდა თავგანწირვა, ვი-დრე სიზმარეულმა ხილვამ და ქალწულის გამოჩენამ არ გაუხსნა გზა, რომელსაც გამარჯვება უნდა მოეტანა, მხსნელი კი დალუპულიყო.

თუ ქადაგის ხილვა მთელი ლაშქრის, საყმოს საზოგადო ხილვად იქცა, კვირიას სიზმარეული ჩვენება მხოლოდ მას ეკუთვნის, სიზმარში ის მარტო იყო შავი გველეშაპის წინაშე და, რაც ლაშ-ქარს უნდა აესრულებინა ცხადში, მან სიზმარში მარტოდმარტომ აღასრულა. კვირია არ შესწრებია საყოველთაო ჯვარჩენას. როცა ჯვარმა ცისკიდურზე გადაიარა, ბახტრიონისაკენ მიმავალმა, რათა იქ დახვედროდა ლაშქარს, კვირია, თავისი წინასწარმეტყველური სიზმრით ატანილი, გაედევნა ლელა ბაჩლელს, რათა მისთვის გაენდო ბახტრიონის გატეხვის გეგმა. მისი სიზმარი ნამდვილად წინასწარმეტყველური და საბედისწერო იყო, მან თავისი თავი იხილა წმინდა მხედრად, რომლის უმთავრესი ღვანღია გველეშაპის მოკვლა... კვირია გველეშაპის პირიდან ამონთხეულმა „ბოროტმა სისხლმა“ იმსხვერპლა.

სიზმარეული სურათი აპოკალიფსური იყო, თითქოს უკანასკნელ დღეს შეესწრო კვირია: „დღე იყო მეტად მრისხანე, ცა მოღრუბლვილი, მჭეხარი..“

ცა მრისხანებს, რადგან აივსო ბოროტების თასი, მთელი ქვეყნის სიავე „შავ ვეშაპშია“ მოქ-ცეული. ეს არის უკანასკნელი მტერი.

პირქუში ცის ქვეშ ყვავილებით მოფენილი გზაა, „ყოილი, ხშირი ყოილი დაფენილიყო გზა-ზედა“.

„ყოილით“ მოფენილი გზა რჩეულთა სავალია, მათი შინაგანი დიდების გამოხატულება, შეიძლება, სიკვდილის გზაა, უკანმოუქცეველი, მაგრამ, იმავე დროს, ეს სამოთხისდარ სამშობლოზე გამავალი გზაცაა, რომელიც კვირიას უნდა გადაეღობა გველეშაპისთვის (გალაკტიონი იტყვის: „სიკვდილის გზა არაა არის, ვარდისფერ გზის გარდა“ – ნ.კ.).

კვირია იმასაც გრძნობდა, რომ კოსმიური გამარჯვების ზეიმის მონაწილე ვერ იქნებოდა, მაგრამ იხილავდა მზეს ახალი ცხოვრებისა, რომლის დადგომაშიც ლომის წილი ჰქონდა: „მზეც ამობრწყინდა, მეჩვენა..“ კვირიას დაენახებოდა მზე, როგორც დასტური ახალი დღის გათენებისა, მაგრამ ვერ დატკბებოდა მისი ჭვრეტით, ვერ მოესწრებოდა მის გაძლიერებას შუადღისას.

კვირიას მკლავი, როცა ის გველეშაპს უტევდა, უფლის ხელმა გააძლიერა, ღმერთი შეეწეოდა მას და ნიშანსაც აძლევდა გამარჯვების სასოვ: „შუქი ციური ჯვარადა გამომესახა ფარზედა“

კვირია მიმხვდარიყო, რომ სიზმარი უეჭველად ახდებოდა, სიზმარი მთლიანად, და არა მხოლოდ მისი სასიკეთო ნაწილი – თუ აცხადებოდა გველეშაპის ძლევა, მძლეველის დალუპვაც უნდა აცხადებულიყო. უფალი ჯერ თუ შეეწეოდა მტრის ძლევაში, გამარჯვებულს მიატოვებდა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევებ მე?!“ – ეს ფიქრი თუ გაიელვებდა კვირიას სიზმარეულ გონებაში.

„რას ფიქრობს ობოლ კვირია, ამის გამგები ვინ არი?“ – კითხულობს ავტორი... კვირიასთვის ცხადი გახდა, რომ ის მსხვერპლად იყო განირჩეული უფლის მიერ, სწორედ ის, ობოლი, უსახლკარო. უთვისტომო, უშვილძირო, თითქოს არაამქვეყნიური სული, საიდანლაც შემოხიზნული, გლახაკი სულითა, რომელიც არაფერს მოითხოვს ამ ნუთისოფლისგან, რომლის უბატო გარეგნობის მიღმა („ჩამოგლეჯ-ჩამონენილი, ერთი ყარიბი, უშნო რამ“) ქრისტეს მხედრის დიდება იმალებოდა.

სიზმარმა ჩააგონა კვირიას კადნიერი აზრი, რომ მას ჰქონდა საკუთარი გზა, უნდა გარიდებოდა ლაშქარს, თუნდაც მოლაღატის სახელი დაეგდო („თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა..“ – იტყოდა ილია – ნ.კ.), სიზმარმა აჩვენა მას ობლობის დანიშნულება და განწირულება – ნიშანი რჩეულობისა...

აჰა, მოდის ქალწული თავისი სიზმრით და ლაშქარი ისმენს ამ სიზმარს, მაგრამ მხოლოდ კვირიას შეუძლია, ჩასწვდეს მის აზრს... მხოლოდ კვირია მიხვდებოდა, რომ ლელას სიზმრისეული „კაცი რამ კუპრივით“ სხვა არავინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა თავად კვირიასეული სიზმრის შავი ვეშაპი. ღვთისმშობელი – „დიაცი მზისა ფერია“ – ქალწულს აკისრებდა შურისგებას.

ლაშქარი თავის თავზე იღებს შურისგების ტვირთს და შეუბრალებლად ისტუმრებს უკან ქალწულს...

თუ ძველი მითოსის გველეშაპის მსხვერპლად განირჩეულ ქალწულს გამოიხსნის გმირი, „ბახტრიონში“ თავად გმირს, რომელიც ქალწულის მსხნელი უნდა ყოფილიყო, თავისი ხელით მიჰყავს იგი მსხვერპლად გველეშაპისთვის, რათა მისი მშვენიერაც და სიცოცხლეც უფრო მაღალი ღირებულებისათვის გაინიროს.

ქალ-ვაჟი შედის ხახაში იმ ვეშაპისა, რომელიც ვაჟის სიზმარში „ყოილთან მიწას მოჰლოკდა ცეცხლის მსროლელის ენითა“... მათ იმავე ხერხით უნდა სძლიონ ბახტრიონის ციხეს, როგორც პრეისტორიული გმირები ძლევენ გველეშაპს: მარდუქი, ამირანი, ინდრა, ჰერაკლე, იასონი, ვიდრე გაიმარჯვებდნენ, ჯერ შთაინთქმებიან, გველეშაპის მუცელში მოხვდებიან, რათა შიგნიდან გაკვეთონ იგი... გველეშაპი გარედან უძლეველია, ის შიგნიდან უნდა გაიპოს. „ჯერ შასვლა არი საჭირო, რომ კაცმ იხმაროს დანაო“, ამბობს კვირია, თითქოს გულისხმობდეს ამირანის დანას, რომლითაც გველეშაპის ფერდი გაიკვეთა (გვ. 116-119).

## აღუდა ქეთელაური

ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1985  
(კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი)

„აღუდა ქეთელაური“... არის აშენებული სრულიად უბრალო მარტივს ამბავზე, უბრალო შემთხვევაზე. აღუდა ქეთელაურს ქისტებმა ცხენი მოჰპარეს. ქურდებს მდევრად გამოუდგება, ერთს მათგანს თოფით მოჰკლავს, ხოლო მოკლულის ამხანაგი ვაჟკაცურად დაუხვდება, თუმცა ესეც მსხვერპლი ხდება აღუდასი, მაგრამ მოხიბლავს მას თავის ვაჟკაცობით და, როცა ჩამოვარდება საუბარი მუცალის მოკვლაზე, ხანდახან შესანდობარს დაჰლევს აღუდა ქისტისას – ლუდს ან არაყს.

მარჯვენის მოჭრა-მოუჭრელობაზე ზეპირგადმოცემა არაფერს გვეუბნება.  
ხალხური თქმულებისა მთელი თავი და ბოლო ეს არის (გვ. 736).

\*\*\*

### ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები

ფშაველების ჩვეულებითი სამართალი არ არის მრავალმუხლოვანი და რთული... ფშაველების სამართალს ის ხასიათი აქვს, რომ ყოველი საქმე ადგილობრივ გაირჩეოდა, სოფელს, თემს... არ გასცილდებოდა... სასჯელს დამნაშავესათვის მთელი თემი, სოფელი დაადგენდა.

სასჯელი ორნაირი იყო: 1) ფიზიკური (ჩაქოლვა); 2) ზნეობრივი (მოკვეთა, საზოგადოებიდამ გაძევება).

ჩაქოლვას გამოიწვევდა ხატისა და თემის მოღალატეობა, ქალისა და კაცის სიყვარული, როდესაც ამ სიყვარულის ნაყოფი გამოჩნდებოდა...

საზოგადოება მოიკვეთდა თავის წევრს ქურდობისათვის, ხატის წესის დაკლებისათვის, თემის პირის გატეხისათვის, ანუ უპირობისათვის, მაყვდრობისათვის. მოკვეთილს სახლში აღარავინ შეუშვებდა, აღარცავინ იმასთან გაივლიდა; მოუკვდებოდა ვინმე – ძველის ჩვეულებისამებრ აღარავინ მიჰხედავდა, თემი არაფრით შეენეოდა, წისქვილიცა და სამჭედლოს კარებიც დახშული იყო მოკვეთილისათვის; ხატში, ყრილობაში აღარ გაატარებდა ხალხი მოკვეთილს.

სოფლისაგან მოკვეთილი ხატისგანაც მოკვეთილი იყო: ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა, სახვენარს არ „დაუდიდებდა“, წყალობას არ გამოსთხოვდა ხატს.

მოკვეთილს... ეძლეოდა საშუალება თემთან შერიგებისა... უნდა მიეყვანა ხარი და ცხვარი ხატში, სოფლისათვის შეენირა ისინი და შეჰხვენოდა სოფელსა, დაედო პირობა, ფიცი – შემდეგისათვის გაფრთხილებულიყო და აღარ ჩაედინა სამარცხვინო საქმე... ყრილობის თამჯდომარე იყო ხევისბერი.

### ძველი და ახალი ფშაველების პოეზია

იგივე საქმე, რასაც დღევანდელი მოხელები მრავლისაგან-უმრავლესნი აკეთებენ დიდის ვაივაგლახით, აურზაურით, დავიდარაბით, მაშინ უბრალოდ კეთდებოდა: გქონდა საჩივარი ვიზედმე, იქვე მეზობლებიც იყვნენ; დაუძახებდი ორ-სამ კაცს, „დაჰსხამდენ“ კაცებს და საქმეს ხელად გაარჩევდნენ (გვ. 624).

### გივი ხორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 1987

ილია წერდა ვაჟას შესახებ: „რუსთველის შემდეგ ჩვენ ასეთი პოეტი არა გვყოლია“.

არც რუსთველი და არც ვაჟა არ იძლევიან პერსონაჟთა პორტრეტულ აღწერას... არ აქუცმაცებენ თავიანთ იდეალურ გმირებს... რაიმე ერთი მოქნიული ფრაზით, „გენიოსური კალმის მოსმით“ (ილია) აღწევენ გაუგონარ შთამბეჭდაობას...

როცა ვაჟა ერთ-ერთი თავისი საყვარელი პერსონაჟის, აღუდა ქეთელაურის მიმართ იტყვის, „კაცია დავლათიანიო“, თვალწინ წარმოგვიდგება ღმერთთან წილნაყარი, დინჯი ვაჟკაცი, წარმოგვიდგება თავისი ხასიათითაც და გარეგნობითაც.

გარეგნულ დაუკონკრეტებლობასთან ერთად, ვაჟას გმირები შინაგანადაც არ არიან კონკრეტულნი. მიუხედავად დიდი სოციალური ტკივილებისა, მისი გმირები არ არიან სოციალურნი. ისინი არ არიან ჩვენთვის ნაცნობი კონკრეტული ეპოქისა და საზოგადოებრივი ფენის შეხედულებათა



მატარებელნი, ეს კი მათ თითქოს დროისა და სივრცის მიღმა აყენებს და მონუმენტურ ზოგადად-მიანურ ხასიათს ანიჭებს“, – ნ. ნათაძის მოსაზრებას იმონებს გ. ხორნაული (გვ. 125) (ნ. ნათაძე, ვაჟა-ფშაველას წარსული და მომავალი, „ცისკარი“ №7, 1961).

\*\*\*

### **გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957**

„მკლავის მოჭრა არ წარმოადგენს ადათობრივი სიმართლის ნორმას. თვით თემსაც ალუდა იმიტომ არ გაუძევებია, რომ მან მკლავი არ მოსჭრა მუცალს. ალუდას გაძევება ამ ნიადაგზე არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ ალუდას ქცევამ, მისმა მოქმედებამ სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლა – სარწმუნოებრივ სიბრტყეზე...“

მკლავის მოჭრა არაა ნორმა, მისგან გადახვევა შესაძლებელია, ეს არ იწვევს სასჯელს საერთოდ და არც კერძოდ ალუდას მიმართ გამოუწვევია. მეტიც,... არის შემთხვევები, როდესაც ამ ჩვეულებისაგან გადახვევა პიროვნების ღირსებათა სიმაღლესაც კი აღნიშნავს.

მაგალითად, „ივანე კოტორაშვილის ამბავში“ ვაჟა ასე ახასიათებს ივანე კოტორაშვილს: „... მეტად ლამაზად იცოდა წესი და რიგი ომისა.“

მას არა ჰქონდა წესადა მტრისად მოეჭრა მარჯვენა.

მტერს რო მოკვლიდის, იტყოდის: „ველარა ვჯიჯგნი, მრცხენია,

მკვდარს რო მარჯვენა მოვაჭრა, რა ჭკვაში მოსახდენია!

რა ბიჭობაა, უსულოს ლემს კიდევ სისხლი ვადინო“... (გვ. 64)

„ნამდვილი პიროვნება ცხოვრების ყველა მოვლენისადმი თავისი დამოკიდებულების გარკვეულ-ლობით სხვებსაც გარკვეულობას აიძულებს“ (გვ. 66).

„ალუდა ქეთელაურში“ ალუდას მომავალს განსაზღვრავს მუცალის ვაჟკაცობა. პომის ცნობილი ადგილი, სადაც ალუდასა და მუცალის პირისპირ შეხვედრა და მუცალის სიკვდილია გამოცემული, შეესატყვისება ამ მოტივის ხალხურ ლექსებში განსახიერებას... მთელი პოემა ვაჟამ დააფუძნა იმ მუდარის ძალაზე, რაც ხალხურ ლექსში ასეა გადმოცემული:

„ივანე თოფსა ჩაუჯდა, გულზე დაჰხვია ალია,

ნაიქცა ქალუნდაური, ირემმა დასხნა რქანია.

ხელსა ნუ მამჭრი, ივანე, სახელი მაინც შენია.

მხარზეით თოფსა ნუ მამხდი, – ჭიუხში ჯიხვთა მტერია;

წელზეით ხმალსა ნუ შამხსნი – ხევსურთად კაის მქნელია“...

ერთი ხალხური ლექსი ლუხუმზე ასეთ სტრიქონებს შეიცავს: „არ შაშინდების ლუხუმი, ფერი დაიდო მგლისაო“... მტერი მოხიბლა, გააოცა ლუხუმის ვაჟკაცობამ: „არ გინდ, ლუხუმო, არ მოგ-კლავთ, ბრალია კაის ყმისაო“... (გვ. 171).

### **იუზა ევგენიძე, ვაჟა-ფშაველა, თბ., 1989**

„მუცალის სულიერი ძალებისადმი ალუდას თავყვანისცემა იმდენად დიდია, რომ ეს გრძნობა არღვევს ყველაზე შეუვალს – სხვადასხვა რწმენის მატარებელ ადამიანთა შორის აღმართულ რელიგიურ კედელს“ (გვ. 278).

### **აკაკი განერელია, რჩული ნანერები, ტ. II, თბ., 1965**

„ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ ვაჟამ გვიჩვენა თავისი საყვარელი გმირების ზნეობრივი მარტოობა თანამომეტა შორის (გვ. 186).

### **აკაკი ბაქრაძე, ვაჟას მრწამსი, „განთიადი“ №2, 1989**

ზნეობრივად ალუდა მართალია, მაგრამ მართალია საზოგადოებაც – იგი იცავს დადგენილ წეს-ჩვეულებას.. ეს წეს-ჩვეულება გარკვეულ ისტორიულ პერიოდში საზოგადოების ერთიანობის, სიმტკიცისა და ძლიერების საფუძველია. ამიტომ საზოგადოება ვერ დაუშვებს, რომ ყოველი პიროვნება, რარიც მართალიცა და ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, იქცეოდეს ისე, როგორც მის გუნება-განწყობას მოესურვება. ამგვარი თავისუფლების დროს საზოგადოების ერთიანობა-მთლიანობა დაიშლება და ქაოსი გამეფდება. ქაოსი კი დალუპვით დაემუქრება როგორც პიროვნებას, ასევე

საზოგადოებას. ამას კარგად ხედავს და გრძნობს თვით ალუდაც („ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ“), მაგრამ მას არ ძალუძს, მოერიოს თავს და დაჰმორჩილდეს საზოგადოების მიერ მიღებულ წესს.

„ალუდა ქეთელაურშიც“ ორი სიმართლე უპირისპირდება ერთმანეთს – სიმართლე პიროვნებისა და სიმართლე საზოგადოებისა. აქაც საზოგადოება იმარჯვებს და პიროვნება მარცხდება... საზოგადოება იმარჯვებს ხორციელად, მაგრამ მარცხდება სულიერად... საზოგადოებას შეუძლია მოიკვეთოს, გააძევოს ალუდა ქეთელაური, მაგრამ არ ხელენიფება მისი დამორჩილება, დამონება... ახალი სიმართლე, რომელიც საზოგადოების ცნობიერებას ცვლის, პიროვნებას მოაქვს (გვ. 198-199).

\*\*\*

**თამაზ ჩხენკელი, მშვენიერი მძღვეარი, თბ., 1989**

ჯერ კიდევ ლექსში „დევების ქორწილი“ შემზარავი მისტერიის მონაწილე განიცდის ძმის ხორციით ძლომის საშინელებას. ამ ლექსით ეზიარა ოცდახუთი წლის ვაჟა სამყაროს ტრაგიკული პირველდასაბამის, სიკეთისა და ბოროტების დიონისურ საიდუმლოს. ვაჟასავ „ეთერშიც“ კაციჭამიური ზეიმია წარმოჩენილი.

„დევების ქორწილში“ „ძმის ხორცი როგორა ვჭამო“, – კივის „ვინმე ყმა“ და ეს ვინმე ყოველ ადამიანში დავანებული სინდისია. ამ კითხვაშია მოქცეული ადამიანის პიროვნული მეობის, მისი კაცური ღირსების, მისი, როგორც ადამიანის, ყოფნა-არყოფნის ალტერნატივა. ამ თავზარდამცემ შეძახილშია კონცენტრირებული ვაჟას „დევების ქორწილის“ იდეური დვრიტა.

ეს „დაუსრულებელი“ კვილი თუ კვნესა ტრაგიკულ ექოსავით ისმის ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. „დევების ქორწილის“ ხმეირებიდან იღებს სათავეს ვაჟას ქვესკნელური ვიზიონები (ხილვები), რომლებიც თავისი შემზარავი სიცხადით დანტეს ჯოჯოხეთის სისხლიან ჩვენებებს გვაგონებს.

ვაჟასეული „ძმა“ ქრისტიანულად მოაზრებული მოყვასია, რომელიც ისევე უნდა გიყვარდეს, როგორც თავი თვისი.

ვაჟას „დევების ქორწილის“ მითოსური არქეტიპი (კაცის ხორცის ჭამა) „ალუდა ქეთელაურის“ მხატვრულ-იდეურ სტრუქტურაში პიროვნების შინაგანი გარდაქმნის ალმნიშვნელ მასალად არის გამოყენებული (გვ. 74).

ვაჟას პოემებს შორის პიროვნების შინაგან ფერისცვალებას, გარდაქმნასა თუ ზნეობრივ ახლად შობას ყველაზე ღრმად და სრულად „ალუდა ქეთელაური“ გამოხატავს. ალუდას სახე „შორეულად ავტორის სულიერ მიდრეკილებათა ანარეკლი და მისი ხასიათის ორეულია“ (სიმონ ჩიქოვანი).

პოემაში მკვეთრად საჩინოვდება ორი პლანი – ფაბულური და სიღრმისეული... პოემაში გამლილი მოქმედებისა და კოლიზიების შინაარსის გაგება მხოლოდ ამ ორი პლანის სწორი ურთიერთშეპირისპირების შემდეგ ხდება საცნაური.

ალუდას მოქმედება გაუგებარია ფაბულური პლანის ფარგლებში, რაკი მისი ფესვი ალუდას ქვეცნობიერებაშია დაფარული, რაც პოემაში ვიზიონითა და სიზმრით არის პროექცირებული. „ალუდა ქეთელაურის“ შინაგან ცენტრს სწორედ ეს ადგილები წარმოადგენს (გვ. 87).

ვაჟა-ფშაველა თავისი პოეტური მიზნების შესაბამისად მოდიფიცირებულ თემს გვიხატავს, თემს, რომელიც ... გაცილებით უფრო არქაულია, ვიდრე ვაჟას თანადროული ფშავ-ხევსურეთის საზოგადოება იყო.

„ალუდა ქეთელაურში“ გამოხატული თემი საკრალური საზოგადოებაა, რომლის „შუაგულს“ სატომო ღვთაება – გუდანის ჯვარი წარმოადგენს.

გუდანის ჯვარი ხევსურთა უზენაესი მფარველია ისევე, როგორც ფშაველ-თათვის – ლაშარის ჯვარი, მოხვევთათვის – სამების ხატი, ხოლო მთიულთათვის – ლომისის ხატი (საკუთრივ შატილიონთა მფარველი ანატორის ჯვარია) (გვ. 89).

შატილიონთა თემის თითოეული წევრი ხატის, ღვთისშვილის ანუ ბატონის წინაშეც თანასწორია. ბატონის წინაშე თავიანთ ერთიანობას ხევსურნი ხატობაზე გამოხატავენ... ბატონს (ხატს) და ყმას (ადამიანს) შორის შუამავალი ხევისბერია... შატილიონთა თემის რელიგიური კანონი სტატიურად დახშული და შეუვალია – იგი ვერ იტანს ხელყოფასა და სახეცვლილებას.

პოემის მიხედვით, საკრალური საზოგადოების უპირველესი დოგმა კაცობრიობის „რჯულიანად“ და „ურჯულოდ“, „მონათლულად“ და „მოუნათლავად“ დაყოფაა. „რჯულიანია“ ... ხევსურთა ქრისტიანი ტომი, კერძოდ, გუდანის ჯვრის უზენაესობით გაერთიანებული შატილიონთა თემი,

„მოუნათლავი“, „ურჯულო“, და „რჯულდალია“ მთელი დანარჩენი კაცობრიობა, რომელიც პო-  
ემაში ქისტების სახითაა დაკონკრეტებული.

შატილიონთა თემის ცნობიერებაში „ურჯულო“ განასახიერებს სამყაროს ბნელი, ბოროტი ძა-  
ლების სახეს – ეშმაკს, ალს, დევს („არა ვართ ხევსურთ შვილები ყმანი ეშმაკის, ალისა“).

თემურ საზოგადოებაში უცხო ტომის კაცი ისეთივე მტრული და თითქმის გაუსულიერებელი  
ან ბოროტების განმასახიერებელი ძალაა, როგორც ბუნების სტიქიური ძალები... შატილიონთათვის  
მტერი არაკაცი და „რჯულდალია“, იმთავითვე ცოდვიანი და „კუპრში მიელის ქმენანი“.

„მაგრამ ტრადიცია ჩვენგან ფარავს სწორედ იმას, რასაც იგი, ერთი შეხედვით, საყოველთაოდ  
გასაგებსა ხდის, რაკი საყოველთაოდ გასაგებია სწორედ დაფარული... ის, რაც ყველასთვის გას-  
აგებია, ცალკეულად არავისთვის არაა გასაგები. ის, რაც ყველასათვის ხელმისაწვდომია, არავის  
შინაგან მონაპოვრად არ იქცევა. ტრადიცია სტერეოტიპულ, სტანდარტულ პასუხებს იძლევა კითხ-  
ვებზე, რომლებსაც თითოეულმა კაცმა თავისი პასუხი უნდა გასცეს“ (ჭაიდეგერი)...

„აღუდა ქეთელაურში“ სამი, ერთმანეთთან მიზეზობრივად დაკავშირებული, დიდმნიშ-  
ვნელოვანი ნაწილი შეიძლება გამოიყოს: ბრძოლა, სიზმრის გამოცხადება და ხატობა.

ბრძოლაშია ფესვი აღუდა ქეთელაურის ფერისცვალებისა,  
სიზმარშია ნაჩვენები ამ ფერისცვალების შინაარსი,  
ხოლო ხატობაზე – მისი შედეგი.

მუცალთან ბრძოლიდან დაბრუნებული, „ბუნებაგადაბრუნებული“, შინაგანად ფერშეცვლილი  
აღუდა თანდათან უახლოვდება შატილს, მაგრამ შატილი ისევ ისეთია, როგორც აღუდას ბრძო-  
ლად წასვლამდე იყო. მას „ცა ახურია კლდისა“ და არ უშვებს „შუადლის მზეს“... იმედას ქავის  
(ადამიანთა საცხოვრისის) სიმბოლო მზის მწველი სხივებით დამდნარი მტრის მოჭრილი მარჯვე-  
ნაა...

ანტიკურ ზნეობრიობას (შურისგებას) უპირისპირდება ქრისტიანული (მიტევება)... მხოლოდ  
ცოდვის გამოსყიდვით შეიძლება აღიხოცოს თავდაპირველი ცოდვა.

იმის გაგება, რომ შურისმაძიებელი მკვლელი მართალი არ არის, უძნელესი რამაა. ამის გამგებს  
ჯვარს აცვამენ. ამის გაგება სურს კაცთა მარადი მტრობის მორევში ჩათრეულ აღუდას.. „შენ  
რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ, მტერს არ შარჩენს გვარია“ – ეს დახშული წრე უნდა გაარ-  
ღვიოს ქეთელაურმა, რაკი ხედავს, რომ დაბადებიდან სიკვდილამდე სისხლში დგას, სისხლსა სვამს  
ღვინოდ და სისხლსა სჭამს პურად კაცისმკვლელი კაცი, რაკი გრძნობს, რომ ასეთი კაცის ხვედრი  
მარადი სისხლისღვრა და ბოლოს მტრის ხელით მიღებული სიკვდილია (გვ. 111).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თემის ტრადიციულ, საყოველთაოდ აღიარებულ რელიგიურ  
ჭეშმარიტებაში აღუდას დაეჭვება ღვთის, ანუ გუდანის ჯვრის ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში დაე-  
ჭვებას არ გულისხმობს.

ღვთისადმი სრული რწმენის (და არა მისდამი დაპირისპირების) საფუძველზე უარყოფს ქეთე-  
ლაური მანამდე მისთვისაც გაშინაგანებულ თემის რელიგიურ თვალთახედვას (გვ. 112).

აღუდა გუდანის ჯვრის ნებისა და ჭეშმარიტების გათვალისწინებით, მისდამი რწმენის საფუძ-  
ველზე და ამ რწმენით გულავსილი მოითხოვს ხევისბერისაგან მუცალისათვის სამხვეწროს დაწყა-  
ლოვნებას... აღუდას არა მარტო ისა სწამს, რომ გუდანის ჯვრისათვის „ურჯულის“ შახვენებაა  
შესაძლებელი, არამედ ისიც, რომ ხევისბერი, როგორც ღვთის ნების აღმასრულებელი, თანადგო-  
მას გაუწევს...

გუდანის ჯვარი, როგორც ქრისტიანული ღვთაება, სხვადასხვანაირად ესმით ხევისბერსა და  
აღუდას: ბერდიასათვის გუდანის ჯვარი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ტრადიციული ღმერ-  
თის გაქვავებული სახეა, აღუდასათვის – უშუალოდ წვდომილი ცოცხალი ღმერთი.

აღუდა ეზიარა იმ უნივერსალური ღმერთის ჭეშმარიტებას, რომლისთვისაც არ არსებობს  
მტრად და მოყვრად, რჯულიანად და ურჯულოდ, ცოდვილად და უცოდველად გათიშული კა-  
ცობრიობა. ყოველივე ერთი და იგივეა და ყოველი ერთიანი ღმერთის საუფლოშია შეყვანილი...  
მზისებრ ამომხდარი მახვილით ქეთელაური ანგრევს შატილის თავზე დამხობილ... „კლდის ცას“,  
რათა დაანახოს თვისტომთ უსასრულო, მარადიული ცა ქრისტიანული ღმერთისა (გვ. 132).

პიროვნებები წარმოადგენენ უკუნის გამარღვეველ სინათლის სხივს... მას შემდეგ, რაც ასეთი  
კაცი გაივლის ჩვენ წინაშე, ჩვენ მეტად აღარ შეგვეძლება, ისეთნაირები ვიყოთ, როგორებიც მა-  
ნამდე ვიყავით – ალი ყოველთვის ცეცხლსა შობს.

პიროვნება შეკუმშული, დაწურული სახით მოცემული საზოგადოებაა და პიროვნების ზნეობა  
საზოგადოების შინაგანი საწყისია.

ამდენად, პირველის შინაგანი მონაპოვარი, ადრე თუ გვიან, მეორის მონაპოვრად იქცევა. „ცოდვას“ პოემაში მხოლოდ ალუდა ახსენებს, სხვა გმირებს მარტო „ანდერძი“ აგონდებათ.

\*\*\*

**ვაჟა ხორნაული, „საფიხნოს თავში დაჯდების“... მინდია, გაზ. „ლიბო“ №4, 1997, გვ. 2**

ალუდას დედა გრძნობს, „სხვაკანაც დავინყევითაო“.

ალუდა ქეთელაურს ყველგან ისეთი სასჯელი მოეღოს, ჯერ შატილში, შემდეგ გუდანის სალოცავში რომ გამოუტანეს: ვაჟკაცური საქციელისთვის ლაჩრობას დასწამებენ, დიდი სიყვარულის გამო რჯულის ამგდებად და მოლაღატედ გამოაცხადებენ, „ძნელად სათქმელი“ ტანჯვისთვის გაიმეტებენ, ერთი კუთხიდან მეორეში გააძევენ, მაგრამ ალუდას სიბრძნის მარცვალი და ნაკვალევი ყველგან დარჩება, ყველგან აღმოჩნდება თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც ჯერ იგრძნობს, ხოლო შემდეგ გაითავისებს შატილიონის არსებაში დიდი ფერისცვალების შედეგად დაბადებული რწმენისა და ტკივილის სიღიადეს.

კაცობრიობის მარადიული გზა და ბედისწერაა გააზრებული „ალუდა ქეთელაურში“.

\*\*\*

**თამაზ ვასაძე, გამაერთიანებელი ტანჯვა, „არილი“, 1 ივნისი, 1996, გვ. 2**

ადამიანის სულიერი ფერისცვალება, რომელიც ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურში“ წარმოსახული, უცნაურია თავისი რადიკალურობით – გამოცდილი, მრავალი მტრის მომკვლელი მეომარი, მტრული ეთნოსის და სარწმუნოების მიმართ ფანატიკური სიძულვილითა და ზიზლით გაჟღენთილი კაცი, მორიგი მხედრული ფათერაკის შემდეგ უცაბედად იმსჭვალეა ადამიანთა მოდგმის ერთიანობის შეგნებითა და უნივერსალური რელიგიურობით, შეიძაგებს ცხოვრების აგრესიულ წესს, სისასტიკეს, სისხლისღვრას, რაც მანამდე არა მარტო სრულიად ბუნებრივი იყო მისთვის, არამედ სიქველედაც კი ეთვლებოდა და მკაცრი ტრადიციებით, დოგმებით შემოსაღტული, ერთსახოვანი საზოგადოების ორგანული ნაწილი დამოუკიდებელ, ჰუმანურ პიროვნებად გარდაიქმნება...

რალაც განსაკუთრებული იმპულსია აუცილებელი იმისათვის, რომ მკვლელს მოკლული, „ურჯულო“, ისე ძლიერად შეებრალოს და შეუყვარდეს, „თავის ლამაზ ძმად“ მიიჩნიოს იგი.

იმის გარდა, რომ ალუდა და მუცალი ერთნაირად ძლიერი, უშიშარი და შეუპოვარი მებრძოლები არიან, ისინი ერთნაირ შეურიგებლობასა და მძულვარებას იჩენენ მონინალმდგმის სარწმუნოების მიმართ. ამ ნიშნით მათი პარადოქსული მსგავსება იმდენად სრულია, თითქოს ერთმანეთის ორეულებად აქცევს მტრებს. ერთი და იმავე სიტყვით გამოხატავენ ერთნაირ, შეუწყნარებელ და ზიზლიან დამოკიდებულებას მტრის რელიგიისადმი – „რჯულ-ძაღლო“. ეს საშინელი სიტყვა ტყვიასავით ზუზუნებს და ტყვიების მოძრაობას სდევს თან.

მუცალთან ორთაბრძოლის შემდეგ ალუდას მსოფლხედვაში მომხდარი გარდატეხის შინაარსს, უპირველესად, იმის შეცნობა შეადგენს, რომ ადამიანების გამიჯვნა რჯულიანებად და ურჯულოებად, ღმერთის მადლით მოსილება და ღვთისაგან მოძულეებულებად, სრულფასოვნებად და არასრულფასოვნებად არასწორია. ალუდა ამ დასკვნას აკეთებს იმის საფუძველზეც, რომ მისი და მუცალის დამოკიდებულება ერთმანეთის რელიგიისადმი სავსებით მსგავსია: მუცალი ისევე სასტიკად იცავს თავისი სარწმუნოების უპირატესობას და სძულს მტრის რელიგია, როგორც ალუდა იცავს თავის ერთადერთ ჭეშმარიტ რჯულს და სძულს მუცალის რელიგია.

მუცალის უჩვეულო, სასონარკვეთილი ჟესტი – ბალახის მოგლეჯა და ჭრილობაში ჩაფენა – სულისშემძვრელია, ერთბაშად ხდება თვალსაჩინო სიცოცხლესთან განშორების ტკივილის განუზომელი სიღრმე.

ეს არაჩვეულებრივად მეტყველი, ტრაგიკული ჟესტი დაანახვებს ალუდას, პირველად სიცოცხლეში, რა საზარელია სიკვდილი, სიცოცხლესთან გაყრა, იმასაც, რა საშინელებაა, სიცოცხლე წაართვა სხვა ადამიანს, იყო მკვლელი...

მტრობაზე, აგრესიაზე, სისხლიან შურისძიებაზე დამყარებული ცხოვრებისადმი ალუდას ზიზლი ვლინდება მის კომმარულ ხილვებში.

სიზმარში ალუდამ ხელმეორედ უნდა ჩაიდინოს ის, რაც ასე აწამებს – ხელახლა მოკლას მუცალი, რომლის აგონიაც, სულთმობრძაობის ტანჯვაც თითქოს უსასრულოდ გრძელდება, აღარ მთავრდება („მინდა სიკვდილი, არ ვკვდები“).

სიზმარში ნანახი მუცალი არსებითად განსხვავებულია ნამდვილისაგან. რეალობაში „მუცალს



არ სწადის სიკვდილი“, სიზმარში – თვითონ ეძიებს, რათა ხეცსურებს დაუტოვოს ეს სამყარო – სისხლისღვრის ასპარეზი.....

ალუდა არა მარტო თვითონ განიცდის კათარზისს, მუცალსაც აკეთილშობილებს, ამაღლებს – არა ღირს ისეთ სიცოცხლეს გამწარებით მოჭიდება, ისეთ სიცოცხლესთან განშორების გამო ტანჯვა, რომლის არსიც „ლაშქრობით, ხმლების ქნევით ძღომაა“, კაციჭამიობა – ასეთია მუცალის სიზმრისეული მეტამორფოზის აზრი. მუცალი აქ ალუდას ორეულია, რომელიც მის ყველაზე იდუმალ სათქმელს ამბობს, მისი შინაგანი სამყაროს საუკეთესო ნაწილს განასახიერებს. ისინი ერთნი არიან, ერთ სამყაროს ქმნიან.

ასე ახლობელი გახდა მუცალი ალუდასათვის მისი სასიკვდილო ტანჯვის თანაზიარობამ.

(შდრ. გოდერძი ჩოხელი, „ქისტთა ბელადი“;

რიჩარდ ოლდინგტონი, „ფიქრები გერმანელი ჯარისკაცის საფლავთან“ – ნ.კ.).

ალუდა შინაგანად განიცდის მუცალის კვდომას, შინაგანად შეიგრძნობს იმას, რაც არ შეიძლება ფიზიკურად შეიგრძნოს ან დაინახოს....

ალუდა მტერს თავისივე მსგავსს, სრულფასოვან ადამიანად აღიარებს. ისიც ისეთივე ღვთის-შვილია, როგორც ალუდა.

ვაჟა-ფშაველა წერს: „ბუნებას თავისი კანონი აქვს, კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული...

მთელი კაცობრიობა, ჩვენი პლანეტის მცხოვრებნი, რამდენიმე მოდგმად განიყოფიან, ხოლო მოდგმანი – ერებად. ყოველივე ერთი შესდგება ადამიანებისაგან, რომელნიც განირჩევიან ისევე ერთი-ერთმანეთისაგან სახიერებით, გონებრივი და სულიერი თვისებებით.

საერთო თვისებას სუფევს მათ შორის... შეგვიძლიან, ვუპოვნოთ საერთო რამ – სიყვარული სიცოცხლისა და მნუხარება სიკვდილისა გამო“.

ამ, მთელი კაცობრიობისათვის საერთო, ფენომენებთან შეხებით აღმოაჩინეს ალუდა „ურჯულო“ მტერში ადამიანს, ადამიანთა ერთიანობას, ყველასთვის ერთ, კაცთმოყვარე ღმერთს, რაც მას შინაგანად თავისუფალ, სულიერად ღრმა პიროვნებად აქცევს.

\*\*\*

**ლალი ცერცვაძე, ალუდას სიზმარი, „არილი“ №16 (108), 21-27 მაისი, 1998, გვ. 2**

ალუდა არღვევს რიტუალის სტრუქტურას, არღვევს სწორედ იმ მიუღებელი ნორმების გამო, რომელთა არაადამიანურობას თანდათან აცნობიერებს.

კურატის მსხვერპლშენიერვის განხორციელებით იგი უკანასკნელ რგოლს ჭრის, რომელიც ძველ სამყაროსთან აკავშირებდა. ესოდენ დიდი მოვალეობის თავის თავზე აღება მიმართულია სულიერი ღირებულების დამკვიდრებისკენ, ახალი ღირებულების დასადგენად. სწორედ ამ კონტექსტში იქნება გასაგები, მსხვერპლშენიერვის განხორციელებისას რატომ გასხივოსნდა ალუდას ხმალი („ხელი გაიკრა ფრანგულსა, შუქი ამოხდა მზისაო“).

სიზმრისეული უკან დაბრუნებითა და რიტუალის ნამდვილობის ნგრევით ალუდა წყვეტს კავშირს სამყაროსთან, მითის დანგრევით ახალ ღირებულებებს ამკვიდრებს.

## ალუდა ქეთელაურის ფერისცვალება

„ჯერ-არს თქუნდა მეორედ შობაი“ (იოანე 3, 7)

ალუდა ქეთელაური შატილიონია, თემში გამორჩეული, პატივდებული ხეცსური.

„ალუდა ქეთელაურს“ სწორედ ამ პიროვნების წარმოჩენით იწყებს ვაჟა-ფშაველა:

„ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი,

საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი;

ბევრს ქისტს მათაჟრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი;

ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.

ალუდას „დავლათიანობა“ მხოლოდ მატერიალურ სიმდიდრეს როდი გულისხმობს, უპირველესად – სულიერს. ალუდა „სიტყვაგზიანი“ (კაი ყმას, უპირველესად, მოეთხოვება „სწორს ფიქრს

აძლევედეს თემ-სოფელს“ („კაი ყმა“), საფიხვნოს (თემის საკრებულოს) თავში (!) ზის. სიტყვაგზიანს ფრანგულიც უჭრის.

კარგი რომ არის, მტერიც იმად ჰყავს მრავლად.

რაშიც გამორჩეული ჰყავს, „ფთიანი“ (ტატოს მერანივით მხედრის „ბედის სამძღვრის“ მიღმა გარდამტარებელი).

ასეთს წარმოაჩენს ვაჟა ალუდას პოემის დასაწყისში.

ქეთელაური ტრადიციის ერთგულია: „ბევრს ქისტს მათქრა მარჯვენა“.

ერთ დღესაც, სწორედ „ფთიანი“ (სოფლის რემასთან ერთად) მოსტაცეს ქისტებმა (მუცალმა და მუცალის ძმამ) ალუდას. ქეთელაურმა ჯერაც არ იცის, რომ ეს დღე საბედისწეროა მისთვის; სწორედ ამ დღეს ხდება ის, რაც მის სულს ფერისცვალებას განაცდევინებს.

ალუდა დაედევნება გამტაცებლებს, ერთს უმაღვე გამოასალმებს წუთისოფელს. მეორეს დიდხანს ესროდა, ერთმანეთს „რჯულდალოდ“ უხმობდნენ. გული გაუნადოდა ქეთელაურის ნასროლმა „ლილველს“.

სიკვდილს არ ეპუებოდა მუცალი, არცა სწადა, წყლულს ბრძამს (მთის ბალახს) „იფევდა“, მგლის ფერს არ კარგავდა. როდესაც სიკვდილის გარდუვალობა იგრძნო, ღირსეულ მეტოქეს – ალუდას გადუგდო თოფი, შენი იყოს, მტერს ხელთ არ ჩაუვარდესო.

*„ალუდას თოფი არ უნდა, ატირდა, როგორც ქალიო,  
არ აჰყრის იარაღებსა, არ ეხარბება თვალიო“.*

ქალივით ატირებული ალუდას სულში იწყება დიდი ფერისცვალება. ტირილი, ცრემლი – ნიჭი და მადლი სულნიმდისა განწმენდს სულს (ცრემლს „თვალის წყლად“ განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი). ცრემლით განწმენდილი თვალი ალაფს ვერ დაჰხარბდება.

ჯერ ცრემლია, შემდეგ – გადანყვეტილება:

*„მარჯვენას არ სჭრის მუცალსა, იტყოდა: „ცოდვა არიო;  
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო!  
მკლავზედავ გებას მარჯვენა, შენზედ ალალი არიო!  
შენ ხელ შენს გულზედ დამინდეს, ნუმც ხარობს ქავის კარიო!“*

მტერი მტერს იბრალებს, ცოდვაა, ღმერთმა გაცხონოსო, მიმართავს მოკლულს.

ტრადიციას პირველად ლალატობს ალუდა, პირველად ებრალება ხელის მოსაკვეთად მტერი, რადგან ვაჟკაცმა ვაჟკაცი შეიცნო მოსისხლეში, რჩეულმა – რჩეული.

სოფელს დაბრუნებულს მოკლულზე ფიქრი აჰკვიატებია, არ ეხსნება ჭრილობაში ბრძამფ-ჩაფენილი მუცალის აჩრდილი („სტუმარ-მასპინძელში“ ვკითხულობთ: „კაცის კაცურად სიკვდილი გულიდამ არა ჰქრებოდა“).

თემს გამოუტყდება ფერნაცვალი (ჯერ ბოლომდის არცა აქვს გაცნობიერებული ეს ფერისცვალება):

*„იმ ცხონებულსა მუცალსა რკინა სდებიყო გულადა,  
...მით ვაქებ ვაჟკაცობასა, არ იყიდება ფულადა“ ...*

თითქოს თავისთვის ფიქრობდეს, თანაც, თემს აფხიზლებდეს, იმავდროულად:

*„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,  
მარტოთ ჩვენ გვზ(რ)დიან დედანი,  
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ  
კუპრში მიელის ქშენანი...  
ამის თქმით ვწარა-მარაობთ“ ...*

მტრისა ვაჟკაცობა ხიბლავს ალუდას, სიკვდილის საზარ წამსაც ღირსების შენარჩუნების უნარი. ქეთელაური აცნობიერებს ტანჯვის უნივერსალურობას (თ. ვასაძემ რომ „გამაერთიანებელ

ტანჯვად“ მონათლა), სიკვდილის გარდუვალობას, იმას, რომ თავად შეიძლება აღმოჩენილიყო მუცალის ადგილზე; უბრალოდ, ბედისწერამ ინება, თავად გადაერჩინა, მეტოქე კი გაენირა. ბედისწერისაგან განირიული ღირსეული კაცი აღმოჩნდა და ამ ღირსეულობამ შეძრა შატილიონი (მკლავი მუცალს არ მოსჭრა, თორემ „ტახტაზე დაუკიდებავ მუცალის ძმისა მკლავია“).

შეძრული ხევსური აქამდის განუცდელს განიცდის, არნაფიქრს ფიქრობს:

*„ვისაც მტერობა მასწყურდეს, გაალოს სახლის კარია,  
სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითანაც შიგვე მდგარია.  
ღვინოდაც იმას დაჰლევდეს, პურადაც მოსახმარია;  
პირჯვარი დაინეროდეს, მითამ საყდარში არია.  
სისხლშია ჰქონდეს ქორნილი, იქ დაინეროს ჯვარია,  
დაიპატიჟოს სტუმრები, დაამწკრიოდეს ჯვარია,  
სისხლში დაიგოს ლოგინი, გვერდს დაინვინოს ცალია,  
ბევრი იყოლოს შვილები, ბევრი ვაჟი და ქალია,  
იქვე საფლავი გათხაროს, იქ დაიმარხოს მკვდარია“.*

ალუდა მუცალთან მიმართებით ოდენ გონებით კი არა, უპირველესად, გულით მოქმედებს. მოხუც უშიშას გამოუტყდება:

*„ვერ გავიმეტე მუცალი მარჯვენის მოსაჭრელადა,  
გ უ ლ ი გამინყრა, არა ჰქნა, რაც საქნელია ძნელადა:  
დაე, დააკლდეს სახელსა, მე გირჩევივარ მრჩეველადა“.*

ალუდამ იცის, რომ, თუ მტერს მარჯვენას არ მოჰკვეთს, „სახელს დააკლდება“, თემს ვერ დაარწმუნებს, რომ მართლაც სძლია გადამთიელს.

მართლაც, „ხევსურთა ახალ-უხლები გადაიქციან ტყემლადა...“

*გამოჰქცევიხარ ქისტიშვილს, გადუქცევიხარ ქალადა.*

*მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკვენ მისდევდი მა რადა?“*

ქეთელაური თემის წინაშე თავის გამართლებას არც ცდილობს, გულს ირჩევს მრჩეველად.

ფერნაცვალი, გულნაცვალი გზნებს, რომ ვერვის აუხსნის, ვერვის აგზნებინებს მიზეზს ფერისცვალებისა (იქნებ, ბოლომდის თავადაც არა აქვს გაცნობიერებული...).

დედასლა გამოუტყდება, „გული შამეკრა რადამეო“ და თავის საზარ სიზმარს მოუთხრობს. ქეთელაურის სულის განწმენდაში, თითქოს, ზენაარი ძალებიც ჩაერევიან და შემძრავ ხილვა-ზმანებას მოუვლენენ.

ალუდა გრძნობს, რომ მკვლელობა, კაცის განირვა იგივე კაციჭამიობაა. „რით განსხვავდება თოფითა და ხმლით შეიარაღებული მკვლელი ველურისაგან?!“ (თ. ვასაძე). ვილაც წარმოთქვამს სიზმარში შემზარავ სიტყვებს:

*„კიდევ მიმირთვით ალუდას ნვენ-ხორცი გაცხელებული!“*

*მიმატეს კაცის უღვაშით ნვენ-ხორცი შანელებული...“*

*სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ გუნება-აღელვებული“.*

ერთადერთ თანამდებობელზეც, მინდიაზეც განაწყენებულია (მინდია, სოფლის დასარწმუნებლად, მუცალის მოკვეთილი მარჯვენა ამოიტანა. მინდია ჯერაც ვერ ბედავს, წინ ალუდგეს თემის ნებას. მოგვიანებით, როცა შატილიონნი ქეთელაურს მოიკვეთენ, „მინდიას მაუნყლიანდის თვალები“ – მისი სულიც განიცდის ფერისცვალებას...).

„მუცალამდე ათი კაცი ჰყავს მოკლული ალუდა ქეთელაურს. მათი მკლავები საკუთარი ღირსების საბუთად აქვს ქავის კარზე გამოკიდული. არც მუცალის მოკვლას მოუხდენია მასზე ისეთი შთაბეჭდილება, რომ მსოფლმხედველობა შესცვლოდა. იგი ღირსეულ მეტოქედ ცნო, მაგრამ მისი მოკვლა დიდ ცოდვად არ განუცდია. მაგრამ, სიზმრებმა რომ დატანჯეს, იწყება ალუდას მეტამორფოზა. გავიხსენოთ „კრიზისული სიზმრის“ ალუდასეული „პირველსცენა“, როდესაც



ალუდამ მკვლელობა, როგორც კაციჭამიობა, გაიცნობიერა. ამ ტრავმული ფაქტის გაცნობიერების შემდეგ ალუდა ქეთელაურის მსოფლმხედველობა იცვლება. იწყება სახეცვლილი ალუდას საზოგადოებასთან ურთიერთობის დრამა“ **(გ. გაჩეჩილაძე, ვარიაციები თემაზე: ალექსანდრე ყაზბეგი და კობა-სტალინი, „ჩვენი მწერლობა“, 19-25 სექტემბერი, 2003, გვ. 3).**

„ალუდა ქეთელაურის გაღვიძებულმა გულმა იგემა საშინელება კაციჭამიობას შემსგავსებული მტრობისა და ტანჯვითა და წვალებით განვლო ბჭენი ჯოჯოხეთისანი, რათა მეტად აღარასოდეს მიბრუნებოდა მათ“ **(თამაზ ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ., 1989, გვ. 119).**

„ვაჟასთან, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ფერისცვალების სულიერი საფუძველი დიდი სულიერი შერყევაა, როცა ამოქმედდება ზეცნობიერი... ზეცნობიერი ხილვით ადამიანი უახლოვდება ღმერთს. ხდება ისე, როგორც ვაჟა ამბობს: „უფლისა მსგავსად იქცევა, მით უფალს გაუჩენია“ („გამამერია ჭალარა“) და რასაც ითხოვს მახარებელი: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე 5, 48) **(აკაკი ბაქრაძე, ვაჟას მრწამსი).**

ალუდას გადარწმუნებას ამაოდ ცდილობს მინდია:

*„წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა.  
ვაი, ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა“.*

ცოდვა-ბრალით მონათლული სამართლით ველარ იმოქმედებს ფერნაცვალი ალუდა. იგი გრძნობს, რომ თემი არ მიუტევებს, უკვე, ლამისაა, ჯიბრში ჩაუდგეს სოფლის სასტიკ (და მაინც თავდაცვით!) კანონებს.

მინდიას გაენდობა კიდევ: „მტერს მოკვლავ, კიდევ არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა“.

საგულისხმოა, რომ ქეთელაური მტრის მოკვლაზე კი არ იღებს ხელს („სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა!“ („ბახტრიონი“)), არამედ მტრისათვის ხელის მოკვეთის აბსურდულ ტრადიციას უარყოფს (ხმლად, ფარად თუ თივის კავად გამოიყენებს მოკვეთილ მარჯვენას?!).

თემსა და ალუდას შორის დაპირისპირება მაშინ მწვავედება, როდესაც ხევისბერს ქეთელაური შავ კურატს მიჰგვრის და მოკლული ქისტის დამწყალობებას სთხოვს. ამაოდ ცდილობს ბერდია, გადაარწმუნოს შატილიონი:

*„მამით არ მოდის ანდერძი, პაპითა-დ' პაპის-პაპითა,  
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა!...  
როგორ ვახვეწო უფალსა ძალლი, ძალლების ჯიშისა?!...  
ფერი ედება ბერდიას, ფერი სხვა-რიგის შიშისა“...*

ნისლივით თეთრი, გაფითრებული ალუდა თავად კლავს საკლავს, არღვევს თემის კიდევ ერთ ტრადიციას (საკლავის შეწირვის უფლება მხოლოდ ხევისბერს ჰქონდა).

მძაფრდება ბერდიას „სხვა-რიგი შიში“ და „ჯაგარაშლილი“ ხევისბერი „გაკადნიერებული“ შატილიონის მოკვეთისაკენ მოუწოდებს თემს:

*„დაჯარდით, ხევსურთ შვილებო, ყველანი – დიდნი, მცირენი,  
სამართლიანი ვქნათ, ვუმტვრიოთ ალუდას სახლის დირენი!  
ნუ დაინანებთ, ექმნენით ცოლ-შვილის ამატირენი!  
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შანამზირები!“*

თვალეზმონყლიანებული, გულხელდაკრეფილი მინდია ვერას შევლის ყალყზე მდგარი თემის სამიზნედ ქცეულ შატილიონს. თემის სისასტიკეს განსაკუთრებით უსვამს ხაზს დეტალი: ბაღლის მიერ ამოტანილ მკლავს მუცალისას ძალღს რომ მიუგდებენ, საბრალობელ ყმუილს მორთავს მყეფარი („ღმუილი ბრალისა“ – სიბრალეულსაც იმარხავს და ადამიანთა ბრალეულობის განცდასაც). ესეც ვერ მოაგებს გონს ავად გაღიზიანებულთ, პირიქით, გაიცინებენ, „ძალლი ძალღის ძვალს არ სტეხსო“.

ქისტის მარჯვენას „ბაღლები დაბლა ათრევენ კავითა“...

თემის მძვინვარებას ბუნების მრისხანებაც ერთვის – თოვლი ბურავს მიდამოს, ქარი ბობოქრობს. ნამქერსა და ზვავს დაუფარავს „ვინრო სავალი გზებისა“ – ალუდას გზანწერილი (ალუდა,

ფერისცვალების განმცდელი, შარაგზით ვერ ივლის. ვინროა სასუფევლისკენ სავალი გზა). ოჯახი, დედა-ცოლ-შვილი, სიცივით „აბოჟირებული“, შესტირის ქეთელაურს. გამწარებული მოხუცი მშობელი გოდებს:

*„ვაჰმე, რა უგ ზოდ დავდივართ, ვაჰმე, როგორა ბნელაო!  
ნეტავ არ დასჭირდება ხევსურთა შენი შველაო?!  
ვის რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს, სად რა-რა დავილევიტა?  
უბინო, უსახ-კარონი სხვაკანაც დავინყევიტა“.*

აღუდა აჩუმებს აწრიალებულთ. მისი დიდი სიმშვიდე უფლის წინაშე სიმართლის წინასწარი გზნებიდან მოდის.

ქეთელაურმა იცის, რომ მართალია ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე:

*„მოდით, მომყევით, ვიდინოთ, ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა.  
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ“...*

თემისგან მოკვეთილსაც არ დასცდება თემის საყვედური. „წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს... თხრილი აღარ ჩანს კვალისა“...

აღუდა წინმავალი მგზავრია, გზის გამკვალავი.

ნაკვალევს ქარი და თოვლი შლის („თხრილი არა ჩანს კვალისა“). სოფელ-თემში მინდიაღა დარჩა თვალანყლიანებული, სხვა – არავინ. იქნებ, ოდესმე ისიც მოიკვეთონ, ეზედმეტოთ...

თემი ზრდის ბალებს, რომელნიც კავით ათრევენ მოკვეთილ მარჯვენას...

\*\*\*

### **ვაჟა-ფშაველა, რა არის თავისუფლება? თხზულებანი, თბ., 1985**

თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს, საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ... უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად...

თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია...

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა... (გვ. 758).

### **მინდია**

მინდია, აღუდა ქეთელაურივით, შატილიონია. იგი ოდნავ გვიან ჩნდება „აღუდა ქეთელაურ-ში“, როდესაც მუცალის მკვლელი უკვე სოფელსაა დაბრუნებული, ღირსეული მტრის სიკვდილით შეძრულ-შეფიქრიანებული, თემს კი არ სჯერა ქისტის სიკვდილი, რადგან დასტურს – წარკვეთილ მარჯვენას – ვერ ხედავს.

ჩნდება ფიქრი: მინდია რომ სოფელში ყოფილიყო, მარტოს არ გაუშვებდა აღუდას ქისტთა სადევნად, თავადაც ეახლებოდა. ჩანს, იგი არ იყო შატილს, და, როდესაც დაბრუნდა, მოსახდენი უკვე მომხდარიყო.

მინდიას ცხენი – „ნითლაი“ – ზერდაგია (ნითელ-ოქროსფერი), აღუდასი – „ფთიანი“ (ამ დეტალებითაც ვაჟა თითქოს ხაზს უსვამს, რომ მინდია ჯერაც მინისაა, თემისა, აღუდა – უკვე თითქმის ცისა).

წელს ფრანგული არტყია მინდიას, ფარი აქვს. იგია „თორმეტის ქისტის მამკლავი შუბითა ტარიანითა“.

მინდია რომ ღირსეული კაცია, ნათლად წარმოჩნდება, როცა შატილიონნი აღუდას აუგს ეტყვიან „ენითა შხამიანითა“ (უნასის, უხსენებლის შხამთან იგივედება წამქეზებლის ბოროტი სიტყვა).

აღუდას აუგმა გული ატკინა მინდიას (დღეს თუ აღუდას წირავს თემი, ხვალ მინდიას ჯერი დადგება), „ინყინა, შუბლი დაკეცა ნაოჭით ზარიანითა: „ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს ენითა ქარიანითა!“

შეჰპირდა თემს, სიმართლეს იოლად შევიტყობ, ალუდას ნაკვალევს მივყვები, გზა-კვალი არ ამერევა, ერთი დღის საგზაღს ვიკმარებ, „მრავალათა (ვარსკვლავთა) დაბრძანებამდის“ დავბრუნდებიო.

მინდია რომ განსაკუთრებულია, ამ საქციელმაც წარმოაჩინა. სხვა შატილიონთა მსგავსად, „გულითა ნარიანითა“ (ეკლიანით) არ გაუწირავს ქეთელაური, გულჯავრიანს ზურგი არ შეუქცევია, „ტყემლად არ გადაქცეულა“, სხვებივით არ დაუმცირებია, მატყუარად არ მოუნათლავს, ხმალი დიაცთ გადაუგდე „ცხემლად“, დამბაჩა – თითისტარადო, არ წამოუძახნია და გესლიანად არ უთქვამს „დავლათიანი“ და „სიტყვაგზიანი“ კაცისთვის:

„გამოჰქცევინებარ ქისტშივილს, გადუქცევინებარ ქალადა.  
მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევი მა რადა?!“

დანაპირები აასრულა მინდიამ, სისხლაფუებულ „ახლებს“ (ჩანს, თავად არცთუ ახალგაზრდაა) უსაყვედურა:

„სჭრითა და ჰკერავთ გულითა,  
გულს ათრეინებთ გონებას, თავს აჭრეინებთ ცულითა,  
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა მის ვაჟკაცურის რჯულითა.  
ერთურთს ნუ დააჩავგვრინებთ, გული-დ' გონება ძმანია...  
ენა ქარქაშში გეჭიროსთ, ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,  
ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე, „არა ვარგაო!“ – იმასა“.

მინდია, ალუდას სიმართლეში დასარწმუნებლად, სოფელს მოკლული ქისტის მარჯვენას ჩამოუტანს. იწყენს ქეთელაური, მკლავის მოკვეთა რომ მნდომოდა, განა თავად ვერ მოვახერხებდიო; უსაყვედურებს: „ვერ გიქნავ კარგად, მინდია, საქმე მოგიერთავ ავადა“. რაში გამოვიყენებო მოკვეთილ მარჯვენას – არც ხმლად გამოდგებო, არც თივის კავად.

ტკივილით ეტყვის კეთილისმყოფელს:

„ნაილე, თუ გნამ უფალი, ნულარ მაჩვენებ თვალითა!  
კაი ყმის მარჯვენა არი, გული მენვება ბრალითა“.

უკვირს ალუდას, რად სწყრებიან ხევსურნი, რად იბოლმებიან. მინდიას გამოუტყდება: „მტერს მოვკლავ, კიდეც არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა“.

მინდია, ჯერაც თემის წესთა მონა, ცდილობს, გადაარწმუნოს: „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.

ალუდა სწორედ მინდიასთან გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საზარი წესის მიმართ: „ვაი ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“ გრძნობს, რომ თანასოფელთაგან მინდია თუ ჩასწვდება მისი ტკივილის სიღრმეს.

როდესაც ჯაგარაშლილი ბერდია თემს მძვინვარედ მოუწოდებს, „სამართალი“ გააჩინონ, სახლის დირენი დაუნდობლად უმტვრიონ ადათთა დამრღვევს, ურჯულოს დამმწყალობებელს, შესანიშნავი კურატის თავად დამკვლელს, მხოლოდ მინდიას ეწურება გული, „მაუნყლიანდის თვალები, ველარასა ჰშველს ალუდას. გულზე გადინყვის მკლავები“.

ეს სასონარკვეთის შესტია, ვერაფრით გამოხატავს ღირსეული ვაჟკაცი ღირსეული ვაჟკაცის თანადგომას, თემისა ეკრძალვის, საკუთარი უილაჯობა აძრწუნებს.

(იქნებ, აქ მინდია დაახლოებით იმავს ფიქრობს, რასაც ზვიადაურის მკვლელობის მაცქერალი აღაზა: „ხალხზე უკანა დგებოდა, მიშველებასა ჰლამობდა... ფიქრობდა ბრაზმორეული: ნეტავი, მომცა ცულიო, ... რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას გავაფრთხოვინო სულიო“ („სტუმარ-მასპინძელი“)).

განყრა მინდია, როდესაც ბაღლმა კავით მოათრია მუცალის მარჯვენა, თავად მინდიას მიერ მოტანილი სოფელში – თემისათვის ალუდას სიმართლის დასადასტურებლად. ნუხილით გაიხსენა, მკლავი „მი მივუტანე ალუდას, ფერი დავადევ წყენისაო“. შემდეგ ხევში გადაეგდო...

მინდია სხვისი ტკივილის თანამლმობელია, გრძნობს, რომ გული ატკინა ალუდას, როცა მისი

სიმართლე „მკლავით“ დაადასტურა. მან, ალუდასაგან განსხვავებით, ჯერ არ იცის, რომ სიმართლეს დადასტურება, თემის ბეჭედი არ სჭირდება („ჭემმარიტებამ განგათავისუფლოთ თქვენ“ – მაცხოვრისეული დამოძღვრა).

ალუდასაგან განსხვავებით, მინდიას ჯერ არ შეუძლია, წინ აღუდგეს თემს, როცა ის რჩეულს უსამართლოდ მოიკვეთს.

ჯერ...

მინდიას სულშიც, ალბათ, დანყებულია ის დიდი ფერისცვალება, რაც ალუდამ განიცადა. თუკი ალუდასათვის მუცალის სიკვდილი იქცა ფერისცვალების მიზეზად, მინდიასათვის, ალბათ, ალუდას განკვეთა იქცევა უმნიშვნელოვანეს ტკივილად, კათარზისის, ფერისცვალების დასაბამად.

„წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს“ ალუდა. ვინ იცის, ეგებ ოდესმე, მინდიაც ალუდას კვალს გაუყენოს ხშირად უმადურმა, ხშირად სასტიკმა თემმა?!

(თუმცა, რა თქმა უნდა, თემსაც აქვს თავისი სიმართლე – იგი ადათის განუხრელი დაცვით თავისი შეუვალობასა და თვითმყოფადობას იცავს...).

\*\*\*

### **ვაჟა ხორნაული, „საფიხვნოს თავში დაჯდების“... მინდია, გაზ. „ლიბო“ №4, 1997**

ალუდა ქეთელაური გაძევებულია. შატილში აღარაა პიროვნება, ურომლისოდაც სოფელი ღონიერი ვერ იქნება...

სოფელი ერთი კაცის იმედითაა. სოფელი გულგრილი და დაუნდობელია – მან ალუდა ქეთელაური სასიკვდილოდ განირა, როდესაც მარტოდმარტო გაუშვა ქისტებთან საბრძოლველად.

ნუთუ შატილში არ არსებობს მეორე კაცი, რომელიც ალუდა ქეთელაურთან ერთად გაედევნება ქისტებს?!

არსებობს შატილში ასეთი კაცი. ეს კაცი მინდიაა.

პოემის დასაწყისში მინდიას „სხვაგან ყოფნის“ მიზეზი მხოლოდ მთავარი გმირის მოქმედებისთვის აუცილებელი პირობაა (ალუდა მარტო უნდა შეეხებას ქისტებს). მინდია არც მაშინ ჩანს, როცა შატილში მაცნე მოვარდება და არც მაშინ, როდესაც სოფელი ბებერი უშიშას პირით ჰკითხავს „ალუდას ამბავს ცდისასა“. არც ისაა შემთხვევითი, რომ ქისტთაგან მოპარულ ცხენებში არ ურევია მინდიას „წითლაი“.

ვაჟა-ფშაველასათვის (და მკითხველისათვისაც) მინდია „სხვა“ არის – ალუდაზე ნაკლები, ხოლო დანარჩენებზე – მეტი. მაცნის გამოჩენისას რომ მინდია სოფელში ყოფილიყო, ქისტებს ალუდასთან ერთად დაედევნებოდაო, ფიქრობს მკითხველი და, მართლაც, ძნელი წარმოსადგენია მინდია იმ ხევსურთა შორის, მოუთმენლად რომ ელიან ალუდა ქეთელაურისა და საკუთარი ცხენების დაბრუნებას.

როცა გუდანის სალოცავში ალუდას სასტიკი განაჩენი გამოუტანეს, „თორმეტი ქისტის მამკლავ“ მინდიას „მაუნყლიანდის თვალები“...

მინდია ცრემლით გველაპარაკება. მისი ცრემლი, ალუდა ქეთელაურთან ერთად, მუცალსაც ეკუთვნის, რადგან ალუდა მუცალის გარეშე წარმოუდგენელია...

„ალუდა ქეთელაურში“ არ ჩანს, მაგრამ გონიერ მკითხველს არ გაუჭირდება წარმოდგენა იმისა, თუ როგორ გაიტანჯება მინდია, როდესაც ალუდას სახლ-კარს დაუქცევინ და მრავალთავის უხილავ სიმაღლეებს ზიარებული შატილიონი თოვლიან აღმართს აუყვება ოჯახთან ერთად....

ალბათ, ალუდა ქეთელაურის ნაცვლად, „საფიხვნოს თავში დაჯდების“... მინდია.

ალბათ, არც ის იქნება მოულოდნელი, თუ ერთ მშვენიერ დღეს მინდიასაც მოიკვეთს თემი – მხოლოდ იმიტომ, ღმერთს რომ სხვებზე მეტად მიუახლოვდა.....

მერე კი.....

„წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს“... (გვ. 2).



## „სტუმარ-მასპინძელი“

„სტუმარ-მასპინძელი“, ტრაგიკული და ლამაზი პოემა ვაჟა-ფშაველასი, მარადიულ „წყევლა-კრულვიან საკითხავზე“ დააფიქრებს მკითხველს. მრავალია ეს „საკითხავი“: თემისა და პიროვნების ურთიერთმიმართება, მტრობა და დანდობა, ტრადიცია და გამონაკლისი, ვაჟკაცობა და სისასტიკე.

1893 წ. დაწერილი პოემა მარადისობისათვისაა შექმნილი, რათა ადამიანებმა გააცნობიერონ უფლის მაღალი სიბრძნე: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი“; ის, რომ მიტევება შურისძიებაზე მაღალია.

„ლამის წყვდიადში ჩაფლული, გამტკნარებული“ ქისტეთის აღწერით იწყებს პოემას ვაჟა, და ლამეული ფონი, სიბნელე აქ სიმბოლურ დატვირთვას იძენს, ბნელსავ ხევში მყეფარი მდინარეც – შებინდების, თუ უკუნი ლამის სიბნელე ვერც შეედრება ადამიანთა სულში ჩამდგარ წყვდიადს, რომელიც სხვაგვარი მადლით გასხვივსნებულთ იწირავს.

„სტუმარ-მასპინძელში“ აღწერილი მიდამო ქისტეთისა ისეთივე ბნელია, როგორც „აღუდა ქეთელაურში“ დახატული შატილი (ქისტეთი „ლამის წყვდიადშია ჩაფლული“, შატილს „ჯერ არ ჩასწდომია შუქი შუადლის მზისაო,.. ცა ახურია კლდისაო“). ორივეგან ბრმანი აღმოჩნდნენ, სხვისი ღირსების ვერდამნახველნი და ორსავ თემში მხოლოდ თითო პიროვნება განწმიდა ბედისწერულმა შემთხვევამ, რაც, რა თქმა უნდა, უფლისმიერი კანონზომიერებაა.

მონადირე მონადირეს მიიწვევს შინ; უძველესი ადათის თანახმად, გამარჯვებული ხელმოცარულს ნაალაფარში შეიზიარებს.

ქისტმა, ჯარეგელმა ჯოყოლა აღხასტაისძემ ჯერაც არ იცის, რომ სტუმარი ქიელი ნუნუა კი არა, ბისოელი ზვიადაურია, ის, ვინც „ქისტებს ბევრს სისხლი ავალა“.

მთის ტრადიციისამებრ, სტუმრის წვევას ღვთის წყალობად მიიჩნევს ქიტი. ულამაზეს მეუღლეს, ციდან მოცლილი ვარსკვლავით მშვენიერ აღაზას წვეულის საკადრისად გამასპინძლებას უბრძანებს. იმდენად მოეწონება მასპინძელს სტუმარი, მეორე დღეს მასთან ძმად გაფიცვას განიზრახავს, მაგრამ...

ვაჟა მომჭირნედ ჰყვება ტრაგიკულ ამბავს: ჯოყოლას ოჯახში სტუმრად მყოფი დროული ქიტი ზვიადაურში მოსისხლეს შეიცნობს, თემს აშლის, მზირი ხევსურის სანოლ ადგილს დაინამდვილებს და ქისტები შურის საძიებლად დაჯარდებიან: „უნდა შასწირონ თავის მკვდარს ზვიადაურის თავია“.

ვაჟა-ფშაველა წარმოაჩენს დროული ქისტის დაოკებულ მრისხანებას („სტუმარი სხვის სახლში ვერ გაშლის ხათაბალასა“), მაგრამ, რასაც ვერ იკადრებს, თუ ვერ გაბედავს ერთი, გაბედავს და იკადრებს თემი: „თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა“.

თემი არათუ „ხათაბალას გაშლის“ ჯოყოლას სახლში, თავად ჯოყოლასაც კი ემუქრება „მთელი ქისტეთის ამომგდე“ ზვიადაურის მასპინძლობისათვის:

*„ამ გიაურის გულისთვის ძმებსაც ეპყრობი მტერადა,  
არ იცი, რომ შენი საქმეც დღეიდან წავა ცერადა?!“*

(თემის სათქმელს კვლავ მუსა ამბობს).

განსაკუთრებით დაუნდობელია თემი ზვიადაურის დარლასათვის (მოკლული ქისტისათვის) მსხვერპლად შეწირვისას. ქისტებს რომ უმალ მოეკლათ ხევსური, რომელმაც „ბევრს ქისტს მოაჭრა მარჯვენა, უდროდ საფლავში ჩალალა“, ეს გასაგებიც იქნებოდა („ბახტრიონშიც“ ვკითხულობთ: „სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა!“), მაგრამ თემი არ კმაყოფილდება მოსისხარის მკვლევლობით, მან ეს მოკვდინება მსხვერპლშეწირვის საზარ რიტუალად უნდა აქციოს.

ვაჟა ძირითადი სიუჟეტური ხაზიდან ლირიკულ გადახვევას აკეთებს, საკუთარ დამოკიდებულებას წარმოაჩენს სიკვდილისადმი:

*„სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვნადიან;  
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა, როგორ დიდს ცოდვას სჩადიან“.*

სანახაობა არ შედგა, „ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა“-ს მეტი, ვერა წამოაცდენინეს რა „წარბ-დაღრუბლულსა, ქედჩაქანგებულ მთასაო“ – ზვიადაურს.



*„სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, ზვიადური კვდებოდა,  
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა...  
დაკლულმა დაკლა მათ (მტერთა – ნ.კ.) გული და გაუცრუა ქადილი“.*

ისიც კი იფიქრეს, ცხედარი ხანჯლებით დაესერათ, ჯავრი ნეშტზე ეყარათ,

*„მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენინანთ: ცოდვას! – ყველა ჰფიქრობდა,*

*ხალხის გული და გონება სასინანულოდ მიჰქროდა.  
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდნენ, თავ-თავქვე ჩამოდინდნენ:*

*„ხომ მაგას არ მოვეუკლავდით მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?  
კარგი ვაჟკაცი ყოფილა, ყველა ალლაჰსა ჰფიცავდა, –  
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მინა-წყალს იცავდა.  
მაგრამ „მტერს მტრულად მოექცე“ – თვითონ უფალმა ბრძანაო,  
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით, გულში ჩავფურჭოთ დანაო“.*

სინანული ნამს ეყო, მტრობის მეტასტაზი უფრო ძალუმი აღმოჩნდა თემში. პიროვნების სულში კი პირიქით ხდება: მტრობის ბალღამი სულ წამით გადაენტხევა ჯოყოლას სულს, მაშინ, როდესაც თემი, ლამის ნიშნისმოგებით, რალაცნაირი ბოროტი სიხარულითაც თითქოს, აუნყებს, რომ მისი ძმის მკვლეელიც ზვიადურია.

ჯოყოლა თემისათვის გაუგებრად, მაგრამ, ზნეობის თვალსაზრისით, აბსოლუტურად გამართლებულად იქცევა. შემძრავია მისი სიტყვები თანასოფლელებთან:

*„დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,  
მითაც მე ვერ ვულალატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.  
როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა,  
ვის გაუყიდავ სტუმარი, ქისტეთს სად თქმულა ამბადა?...  
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ? სახლში ხართ, განა შარადა?!  
უიარაღოს აწვალვით, გული რასა ჰგრძნობს თავადა?“*

გული არაფერსა გრძნობს; თემის სინანული წამიერია. ზვიადურის ცხედარს ყვავ-ყორნების საჯიჯგნად დავაგდებთო, „თავმონონებით“ იძახიან ქისტები (აი, ალუდას კი, მუცალის მოკვლის, მტრის ვაჟკაცობისა და ღირსების გაცნობიერების შემდეგ, „არ ენონება თავია; პირს დასწოლია ნისლები, გულით ნადენი, შავია“ – აღნიშნული დეტალი წარმოაჩენს, რომ კათარზისი ინდივიდუალურია; ის, რაც ერთისთვის საბედისწეროა და საკრალური, მეორისათვის სულაც არაფერია...).

ჯოყოლასავით ნათელი და მაღალია ალაზა, წრფელი ცრემლით რომ დაიტირებს უჭირისუფლო ვაჟკაცს, ღვთისა და თემის გარდუვალი რისხვით წინასწარ შეძრწუნებული. თემის შიში – „ეს ფიქრი გონებისაა, გული თავისას შვრებოდა, კაცის კაცურად სიკვდილი გულიდან არა ჰქრებოდა“.

სასაფლაოზე ადევნებული ღრუბელ-აჩრდილნი ალაზას შემფოთებული სულის წარმოსახვის ნაყოფია. „აჩქარებული ღრუბელნი ცის პირზე გადმოდინდნენ!“ – შეძრწუნებული ქალის გულის-ცემას ეპასუხებოდნენ თითქოს...

დამამშვიდებელია ჯოყოლას ტკივილიანი ნუგეში:

*„იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა?  
დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.*

ჯოყოლა, თავადაც „კარგი ვაჟკაცი“, მარტოდმარტო შეებრძოლება ხევსურეთს ზვიადურის ცხედრის წასასვენებლად ჯარეგას შესეულ ბისოელთ, თავსაც შეაკლავს, მაგრამ თემი მაინც ვერ (თუ განგებ არ!) დაინახავს, „ვინ ერთგულია, ვინ არა“...

უმადურია და დაუნდობელი თემი თავისი ღირსეული შვილისადმი:

*„მოჰკლან, თუ მოჰკლეს, ახია!  
ეხლაც მასხარად აგვიგდო, წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,  
სოფლისა გადრა ინდომა,  
ჩვენ კი ტალახში გაგვრია“.*

(იქნებ, მომხდარი სულაც არ იყო ჯოყოლასა და თემს შორის პირველი წინააღმდეგობა. „წინად ხომ ბევრჯელ აგვრია“ რას უნდა ნიშნავდეს?!).

თავის რჩეულ შვილს, მარტოდმარტო რომ შეერკინა და შეაკვდა ხევსურთ, გაღმა შეედავა თემი, „თავის თემობის წესითა“ ყოველთვის „მართალი“.

„სხივმიხდილი ვარსკვლავი“, ალაზა, თავისი „ცოდვის“ გამაცნობიერებელი („ცოდვა“ მხოლოდ ისაა, რომ „უცხოთვის“ ცრემლი ღვარა – ის „უცხო“ ჯოყოლას „სხუაი ჩემი“ – „ალტერ ეგო“ იყო, როგორც მუცალი – ალუდასი), მგზნები იმისა, რომ ქისტეთში ერთგული კენჭიც კი არ ეგულვის, თავს მდინარეში დაიხრჩობს, ლამსა და ქვიშას შეერევა...

მაგრამ ლამსა და ქვიშას ვერ შეერევა ხსოვნა კავკასიის მთებში ოდესღაც მომხდარი ტრაგიკულ-მშვენიერი ამბისა...

ერთუროს ხვდებიან ლამლამობით აჩრდილნი ზვიადაურისა და ჯოყოლასი. მოწყენილი, სახემნუხარე ალაზა ჯიხვის მწვადებით უმასპინძლდება.

ღირსეულნი, გამორჩეულნი „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთუროთის დანდობისასა, სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და და-ძმობისასა“.

(ვაჟასთვის „ვაჟკაცობა“ და „დანდობა“ სინონიმური ცნებებია – დანდობის მაღალი ნიჭი მხოლოდ ვაჟკაცთ მიჰმადლებიათ).

დიდებულ სახილველს უშავესი ჯანლი დაეფინება და „წერა-მწერელის წერიტა“ (ბედისწერის მსახვრალი ნებით) გადაფარავს. ბურუსს ვერც შემლოცველი გაფანტავს, ვერც კვერი დაამტვრევს...

და მაინც – ვაჟა ნკვარამში, „კურუმად შავის ფერის“ ჯანლში როდი გვტოვებს – „უფსკრულს დასცქერს პირიმზე მოღერებულის ყელიტა“.

### **ჯოყოლა და ზვიადაური** („სტუმარ-მასპინძელი“)

ჯოყოლა ალხასტაისძე და ზვიადაური ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟები არიან. პოემა მათ სახელს ატარებს და სათაურშივეა წარმოჩენილი სტუმრისა და მასპინძლის საკრალურ-ბედისწერული ერთობა.

შეხვედრაც საკრალურ-ბედისწერულია: „მაშ, თუ ეს ასე არ არის, რად შამეფეთე ამ დროსა?“ – ჰკითხავს ხევსურს ქისტი და ხელმოცარულ მონადირეს, მონადირული ადათისამებრ, არა მხოლოდ ნანადირევში შეიზიარებს, შინაც ისტუმრებს.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციას რომ უდიდეს პატივს მიაგებს, ეს ჯოყოლას სიტყვებით წარმოჩნდება, „ციდან მოცლილი ვარსკვლავის“ სადარ მეუღლეს რომ ეტყვის : „აი, სტუმარი მოგვარე, ღ ვ თ ი ს ნ ყ ა ლ ო ბ ა ა ჩ ვ ე ნ ზ ე დ ა“.

და ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ლხინის ჟამს იოლად წარმოთქმული, ჭირშიც დასტურდება. ჯაგარაშლილ თემს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის უზენაესობას შეახსენებს ჯოყოლა: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, მითაც მე ვერ ვუღალატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა“.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციის საკრალურობას სხვანიც გზნებენ. ჯოყოლას, ზვიადაურთან ერთად რომ ბრუნდება ჯარეგაში, შინ სტუმარი დაუხვდება, დროული ქისტი.

*„სტუმრად მოსული უცნობი სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,  
ფეხზე ადგომა წესია, წესს ვერ დაარღვევს მთისასა“.*

თუმც ზვიადაურში მოსისხლეს შეიცნობს, „სტუმარი სხვის სახლში ვერ გაშლის ხათაბალასა“. მაგრამ, რასაც ვერ იკადრებს, თუ ვერ გაბედავს ერთი, იკადრებს და გაბედავს თემი, რომელიც თავადვე არღვევს მრავალსაუკუნოვან ადათს:

*„მოსისხლე სტუმრის გულისთვის ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?!...  
თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა“.*

თემი სტუმრად ვერ აღიქვამს „მთელი ქისტეთის ამომგდეს“ და მხოლოდ ჯოყოლა რჩება ტრადიციისა და დანდობის უზენაესი მადლის ერთგული.

ჯოყოლა მასპინძელია, ზვიადაური – სტუმარი. მასპინძლის არსებობა სტუმრის არსებობითაა განპირობებული (და პირიქით).

პოემის დასაწყისში არც ერთია სტუმარი და არც მეორე – მასპინძელი. ისინი ერთურთს გვიან ლამით, კლდეებში ხვდებიან. აქ, თემისაგან შორს, პიროვნების პიროვნულობა უფრო ნათლად წარმოჩნდება, მონადირე მონადირეს გაეცნობა და ჯერ ორივესათვის უცნობია, რაოდენ ბედისწერულია ეს ლამეული შეხვედრა.

ჯოყოლა სახლთან უფრო ახლოსაა – „გაღმა სჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდესავითა, საამო არის საცქერად დიაცის უბესავითა“. ხევსურ ზვიადაურს კი, „ჭიელ ნუნუად“ რომ გაეცნობა ქისტს („რა ჰქნას? მის სახელს იცნობენ, ქისტებს ბევრს სისხლი ავალა“), გზა აჰზნევია.

მასპინძლობას ჯოყოლა გასწევს, ჯარეგამი, თავის ციხე-გალავანში მიიწვევს სტუმარს:

*„ამალამ ჩემთან წამოდი, მე გაგიძღვები თავადა,  
თუ კარგად არ დაგიხვდები, არც დაგიხვდები ავადა...  
ზოგს მე გიამბობ ჩემს დარდასა, ზოგიც შენ გამიზიარე...  
აი, ეს ჩემი ოჯახი, ჩემი ციხე და სახლია;*

*მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან – ნათლია“* (არა მხოლოდ ხორციელ, სულიერ ნათესაობასაც სთავაზობდეს თითქოს).

წკვარამში, ლამის სიბნელებში, უგზობაში, კლდეზე გაკლაკნილ ვიწრო ბილიკზე ორი ნათელი კაცი ხვდება ერთურთს, განგების ნებით.

სული თითქოს სულსა სცნობს, თორემ პირველსავე შემხვედრს არავინ ეტყვის, „ზოგს მე გიამბობ ჩემს დარდასა, ზოგიც შენ გამიზიარე“.

იქნებ, ხევსურის მოკრძალებამ მოხიბლა ქისტი, „საცა არ მიხნავ, ძმობილო, იქ ვმკო, ეს სადაურია“, ნანადირევში როგორ შეგეზიარებო, უფრო მეტად კი, ალბათ, ნდობამ, სტუმრობაზე თანხმობამ.

ეს ის ჟამია, როცა ქისტეთი „დაჰმლერდა გმირობისასა, მამა-პაპათა ცდისასა, როგორ არბევდნენ ფშავ-ხევსურთ, სისხლს არ არჩენდნენ ძმისასა“. ამავე სიმღერას მღეროდა დროული ქისტი, შინ რომ დაუხვდა ჯოყოლას.

ალხასტაისძისათვის ზვიადაური ჯერაც ჭიელი ნუნუაა, პატივით მიღებული სტუმარი, დროული ქისტი კი უმაღვე შეიცნობს წვეულს, შხამიანი ენით დაგესლავს და ააბოხოქრებს სოფელს. ჯოყოლა კი მეორე დღისათვის ახალგაგაცნობილ ხევსურთან ძმად გაფიცვას ფიქრობს, თავის ლაჭანსაც უთმობს.

წამით დაეჭვდება სტუმარში, როდესაც ლამეული ხმაური ჩაესმის („გვლალატობს ჩვენი სტუმარი, ძმობით და მეგობრობითა შემოგვაპარა ლაშქარი!“).

როგორც კი სტუმრის უდანაშაულობაში დარწმუნდება, ჯოყოლაში ღირსებაშეღებულ მასპინძლის თავმოყვარეობა იღვიძებს, მრისხანედ მიმართავს „ჯაგარაშლილ“ თანასოფელთ, ტყლაპივით რომ თელავენ ალხასტაისძის ღირსებას: „რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?“

სტუმარმასპინძლობაა „საუფლო წესი“.

ამაოდ ცდილობს თემი, შეაგნებინოს ჯოყოლას, რომ სწორედ ჯოყოლას სტუმარი „ეტევე-ბოდათ“ მგლურად, მუდამ ქისტთა გაჟღერის მსურველი; რომ ალხასტაისძის ძმის მკვლელებს ზვიადაურია, ამაყად რომ ჩამოჰკიოდა თავის სახელს დარბეულთ, ქისტთა ცხვარ-ძროხას რომ ხევსურეთს ერეკებოდა.

თავს რად იმურტლავო, უკიჟინებს თემი ჯოყოლას, მაგრამ ღირსებას არ უღალატებს ქისტი, მოსისხლე მტერსაც ვერ განირავს, რაკი თავად იწვია:

*„როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა.  
ვის გაუყიდავ სტუმარი, ქისტეთს სად თქმულა ამბადა?...  
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ, სახლში ხართ, განა შარადა!“*

ჯოყოლას დიდბუნებოვნებას, მაღალ სულიერებას ადასტურებს თემისათვის თქმული: „უიარაღ-  
ლოს აწვალბობთ, გული რასა ჰგრძნობს თავადა?“

ჯოყოლა წინააღმდეგია პიროვნების, თუნდ მოსისხარის, შეურაცხყოფისა, დამცირებისა. იგი  
თემს უპირისპირდება, როდესაც ბრბო ადამიანის ღირსებას ამცირებს;

მაგრამ როდესაც ხევსურნი ქისტეთს მოეჯარებიან, დაკლული თანამოძმის ცხედარი რომ შინ  
წასვენონ, ჯოყოლა, მთელი სოფლის დასანახად, მარტოკა შეებრძოლება მტერს, რათა სოფელმა  
წახოს, „ვინ ერთგულია, ვინ არა“. მოლაღატედ მიჩნეულს საფლავის ქვა ცოცხლად დასდგმია  
გულს.

ბრმა (გულით!) თემი მაინც ვერ (თუ განგებ არ) აცნობიერებს ჯოყოლას ერთგულებას, მისი  
დალუპვა უხარია კიდევ:

*„მოჰკლან, თუ მოჰკლეს, ახია!  
ეხლაც მასხარად აგვიგდო,  
წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,  
სოფლისა გადრა ინდომა, ჩვენ კი ტალახში გაგვრია“.*

რჩეულს სწორედ რჩეულობას ვერ „შეუნდობს“ თემი.  
განსაკუთრებით აღამაღლებს ქისტს აღაზასათვის თქმული:

*„იტირე?! მაღლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა?  
ღიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.*

თემში მხოლოდ აღაზამ იცის ჯოყოლას სიმაღლე, მიტომაც „ეკერებოდა გულ-მკერდზე ქმარს  
მარგალიტის ღილადა“...

აღაზავე აცნობიერებს სრულად ზვიადაურის სიმაღლეს. უიარაღო ტყვე არ უდრკება ჯაგა-  
რაშლილი ბრბოს მრისხანებას. „ძალდ იყოს თქვენის მკვდრისადა!“-ს მეტს, ვერას წამოაცდენინე-  
ბენ ხევსურს.

*„რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლულსა, ქედ ჩაჟანგებულ მთასაო...  
სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, ზვიადაური კვდებოდა,  
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა“.*

თემს იმედი გაუცრუვდა, თავის მკვდარს ვერ შესწირა მოსისხარი. ავად გაღიზიანებულს, ეწა-  
და, ხანჯლებით დაესერა მიცვალებულის ნეშტი, მაგრამ შერცხვა, ვერ გაბედა. თითქოს, სინანუ-  
ლიც იგრძნო, მაგრამ მაინც გაიმართლა თავი:

*„ხომ მაგას არ მოვეუკლავდით მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდნენ?  
კარგი ვაჟკაცი ყოფილა, – ყველა ალლაჰსა ჰფიცავდა, –  
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მინა-წყალს იცავდა.  
მაგრამ „მტერს მტრულად მოექეც“, – თვითონ უფალმა ბრძანაო,  
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით გულში ჩავეურჭოთ დანაო“.*

ზვიადაურის ვაჟკაცობის აღიარების მიუხედავად, თემი საფლავს არ გაუჭრის მიცვალებულს,  
შელახულ თავმოყვარეობას (თუ პატივმოყვარეობას) იმით იკმაყოფილებს, რომ ყვავ-ყორანთა სა-  
ჯიჯგნად დააგდებს ცხედარს.

აღაზალა დაიტირებს უპატრონო ცხედარს.

*„ერთ მხრივ, ხათრი აქვს თემისა, მეორით – ღმერთი აშინებს.....  
ეს ფიქრი გონებისაა, გული თავისას შვრებოდა,  
კაცის კაცურად სიკვდილი გულიდან არა ჰქრებოდა“.*

თავის „ცოდვას“ აცნობიერებს აღაზა: „მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს, უცხოთვის ცრემლი  
ვღვარია“.



თავის მიცვალებულს სხვის მინაზე როდი ტოვებენ ფშაველ-ხევსურნი, ჯარეგას დაარბევენ, ცხვარ-ძროხას ნაასხამენ...

ბისოს ნაასვენეს ზვიადაური, „ცით ჩამოსული სვეტადა, ფშავ-ხევსურეთის ფარ-ხმალი“. გული დაუმშვიდეს შვილმკვდარ დედას. ფრინველთაგან ნაჯიჯგნი, გაფანტული ძვლები მოასვენეს...

სტუმრისა და მასპინძლის აჩრდილები ზვავისგან „ნაგალ“ გორაზე ჰხვდებიან ერთურთს. სასა-ფლაოდან ამოსულ ფარხმლიან ზვიადაურს გულ-ხელი დაუკრეფია, მდუმარედ ესალმება ძმობილს. ალაზა ჯიხვის მწვადებს სთავაზობთ.

აჩრდილნი „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა,

სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და და-ძმობისასა“.

დანდობის ნიჭი მხოლოდ ვაჟკაცთ მიჰმადლებიათ.

„კურუმად შავი ფერის“ ჯანლი გადაფარავს მშვენიერ სახილველს. ვერც შელოცვა ფანტავს, ვერც კვერი ამტრევს ჯადოსავით მძიმეს და ბნელს.

და მაინც... „უფსკრულს დასცქერს პირიმიზე მოღერებულის ყელითა“ (როგორც „ალუდა ქეთელაურში“ შუადღის მზე – კლდით დაფარულ ცას შატილისა).

**გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957.** ვაჟას პერსონაჟებს გააჩნიათ უნარი, წინააღმდეგენ პირველ მოზღვავებას თავიანთი სულისას, გზა შეუცვალონ ინსტინქტთა მიმართულებას...

ჯოყოლას დაკვირვებულ თვალს „ვერ დაემალვის იმ გრძნობის ნაკვალევია“, რომელსაც ზვიად-აურის დატირებით გამოწვეული ალაზას ვარდისფერი მორცხვობა ფარავდა... ალაზას სიტყვებს: „ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისადა“ ჯოყოლამ ისეთი აზრი შეაგება, რომელიც მას ათავისუფლებს შავი იჭვისაგან და მორალური სიდიადით ანათებს მის მაღალ პიროვნულ სახეს: „იტირე?! მაღლი გიქნია“... (გვ. 67).

\*\*\*

### **იუზა ევგენიძე, ვაჟა-ფშაველა, თბ., 1989**

ვაჟას თავდაპირველი მიზანდასახულობით, ძირითადი დატვირთვა ზვიადაურის პიროვნებაზეა გადატანილი. ამას მონიშნავს თუნდაც ის ფაქტი, რომ ვარიანტში პოემის სათაურია არა „სტუმარ-მასპინძელი“, არამედ „ზვიადაური“. ეტყობა, თავისი პოეტური ჩანაფიქრის წინასწარი შეფასების საფუძველზე ვაჟა ზვიადაურისა და ჯოყოლას მხატვრულ სახეთა განონასწორების ახდენს. შემდგომ უკვე ემოციური თვალსაზრისით ეს სახეები ტოლფასოვანნი არიან, რაც ასახულია კიდევ პოემის საბოლოო სათაურში „სტუმარ-მასპინძელი“ – მით უმეტეს, რომ ემოციური დაძაბულობის სათავე სწორად სტუმარმასპინძლობის ამბავს ემყარება, მისგან მომდინარეობს... (გვ. 365).

### **თემისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხისათვის**

(„ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით)

თემი და პიროვნება, მთელი და ცალკეული, „ჩვენ“ და „მე“ – მარადისი ერთიანობა, მარადისი დაპირისპირება. თემი ადამიანებისაგან შედგება, მაგრამ ადამიანთაგან ყოველი როდია პიროვნება.

უპიროვნებოდ თემი უსახურია, უფერული. პიროვნება ქმნის თემის სახეს, სახიერებას, სახელს. იქნებ სწორედ პიროვნების სახიერება, რჩეულის გამორჩეულობა აღიზიანებს თემს და მოიკვეთს მას, ვისშიც შუქია?!

პიროვნება ღვთიური სახიერების დამმარხველია, სახე და ხატი უფლისა, ვისზეც იტყვის მახარებელი: „ცხორება იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ენია... სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა. თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეიწყნარეს“ (იოანე 1, 4... 10-11).

„წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს“... – ჰყვება ვაჟა ალუდა ქეთელაურზე და სწორედ ეს „წინ-მავლობა“, გზის გამკვალავობა ბედისწერა პიროვნებისა.

თემისა და პიროვნების საკრალურ-ბედისწერული ერთობა და დაპირისპირება სიტყვის ბიბლიური მომჭირნეობით აღწერა ვაჟა-ფშაველამ „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“, წარმოაჩინა, რომ, ეროვნების მიუხედავად, თემი ხშირად ერთნაირად მკაცრია (რომ არა ვთქვათ,



დაუნდობელი) თავის გამორჩეულ შვილთა მიმართ.

ალუდაცა და ჯოყოლაც თემის უნათლესი შვილები არიან, ხევსურეთსა და ქისტეთში გამორჩეულნი.

*„ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი,  
საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი;  
ბევრს ქისტს მათაჟრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი;  
ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი!“*

ალუდას „დავლათიანობით“, „სიტყვაგზიანობით“ ხაზგასმულია ქეთელაურის გამორჩეულობა, ის, რომ იგი თემში ჭკუისსაკითხავი კაცია (ცხენიც კი განსხვავებული ჰყავს – „ფთიანი“ – ტატოს მერანივით „ბედის სამძღვრის გარდამტარები“).

ჯარეგელი ქისტი ჯოყოლა აღხასტაისძეც „დავლათიანია“. აქვს „ქავი და ციხე კარადა... ეტყო-ბა თავმოწონება საუბარშია“, თავმოყვარეა, ტრადიციათა მცველი (ალაზას ეტყვის: „აი, სტუმარი მოგვგვარე, ღვთის წყალობაა ჩვენზედა“...).

შატილიონი ალუდაცა და ქისტი ჯოყოლაც თემში რჩეულნი, ტრადიციათა ერთგულნი, თემის ინტერესთა უპირველესი დამცველნი არიან. მეტიც, ალუდა სხვა რჯულის აღმსარებელ მუცალს „რჯულ-ძალად“ უხმობს, როგორც ყოველი ხევსური. ქეთელაურის ქავზე (ციხე-გალავანზე) „ხე-ლებ ჯღრდესავით ჰკიდია, ზოგი ლეკისა, სხვა – ქისტის“.

ჯოყოლასაც არასოდეს დაერღვია ქისტთა ადათი.

მაშ, რალა ხდება, რად იქცევიან თემის რჩეულნი, „სიტყვაგზიანნი“, თემისთვისვე „საშიშ“ პიროვნებებად, ლამის საძულველ ადამიანებად, მოსაკვეთად განწირულებად?

ალუდასა და ჯოყოლას ფერისცვალების მიზეზი (მიზეზი მათი ნამდვილი, შინაგანი ბუნების წარმოჩენისა) ხდება ბედისწერული, განგებისმიერი შეხვედრა ასევე რჩეულთან, განსხვავებულთან: ალუდასი – ქისტ მუცალთან, ჯოყოლასი – ხევსურ ზვიადაურთან.

ეს არის რჩეულის შეხვედრა რჩეულთან, განსაკუთრებულისა – განსაკუთრებულთან, სულიერი ტოლობის შეგრძნებით გამოწვეული მაღალი ფერისცვალების მიზეზი, განგების მაღალი ნებით.

(საგულისხმოა, რომ მუცალის ძმის მკვლელობას სულაც არ შეუძრავს ალუდა. მკლავიც ჩვეუ-ლებრივ წამოიღო ქავის კარს მისაკრავად).

ალუდა აცნობიერებს, რომ მისგან მოკლული ქისტი ვაჟკაცია, ღირსეულია, სიკვდილის საზარ ჟამსაც გაუტეხელი, გულგანაძობებულიც, ალუდას ტყვიით გულდაფლეთილიც ბრძამს რომ „იფ-ვედა“ და ფერს არ კარგავდა მგლისასა.

გააცნობიერა თუ არა სიკვდილის გარდუვალობა, თოფი მკვლელს გადაუგდო, სხვის ხელში აღარ ჩავარდეს, რჯულძალდოო – სიკვდილის ჟამსაც ღირსეული, აღიარებს მტრის ღირსება-ღირსეულობასაც – ალუდას ანდობს თავის იარაღს.

*„ალუდას თოფი არ უნდა, ატირდა, როგორც ქალიო,  
არ აჰყრის იარაღებსა, არ ეხარბება თვალიო“.*

ჯერ თემთან დაპირისპირებისა არაფერი ჩანს, მაგრამ ქეთელაურის სულში უკვე დაწყებულია ფერისცვალება, ცრემლი ჩამორეცხავს სისხლს.

ცრემლი – „თვალის წყალი“ (საბა) – ნიჭი და მაღლი სულიწმიდისა – ნიშანია სულში მომხდარი ძვრისა.

ალუდას თვალი, „სულიდან მზირალი“, ველარ დაჰხარბდება მუცალის იარაღს...

თვალს ცრემლი დასდინდა, სული გადასხვაფერდა. შატილს დაბრუნებული, გაენდო მოხუც უშიშას:

*„ვერ გავიმეტე მუცალი მარჯვენის მოსაჭრელადა,  
გული გამიწყრა, არა ჰქნა, რაც საქნელია ძნელადა:  
დაე, დააკლდეს სახელსა,  
მე (გული – ნ. კ.) გირჩევივარ მრჩევლადა!“*

ჯოყოლას მრჩეველიც გულია, როდესაც ზვიადურის მოსაკლავად აზვირთებულ თანასოფელეთ, რომელნიც უსისინებენ, შენი ძმაც მაგან მოკლაო, მშვიდად, ტკივილით ეტყვის:

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, მითაც მე ვერ ვუღალატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა... უიარალოს ანვალებთ, გ უ ლ ი რასა ჰგრძნობს თავადა?“

პიროვნებას ძალუძს, იფიქროს გულით, დაჰყვეს ნებას გულისას, მაგრამ თემი (შატილიცა და ჯარეგაც) გულს ვერ (თუ არ) დაემორჩილება, იგი გონის მორჩილია. გონი უკარნახებს: „მოსისხლე სტუმრის გულისთვის ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?!“ ან: „ნესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანიოა“.

თავისი სიმართლე აქვს თემს, თავისი – პიროვნებას.

ცალ-ცალკე, თითქოს, ორივე მართალია: თემი თავის შეუვალობას, შეურყვნელობას იცავს; პიროვნება გრძნობს, რომ ამ „დაცვისას“ რალაც იზარება, არის რალაც აუხსნელი სისასტიკე შეუვალობის დაცვაში.

და მოდის ტკივილიანი, მტანჯველი ფიქრი:

„ვისაც მტერობა მასწყურდეს, გაალოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითანაც შიგვე მდგარია. ღვინოდაც იმას დაჰლევედეს, პურადაც მოსახმარია. პირჯვარი დაინეროდეს, მითამ საყდარში არია. სისხლშია ჰქონდეს ქორნილი, იქ დაინეროს ჯვარია, დაიპატიჟოს სტუმრები, დაამწკრიოდის ჯვარია, სისხლში დაიგოს ლოგინი, გვერდს დაინვინოს ცალია“...

„მტერობის“ შემზარავ აბსურდულობას საოცარი სიმძაფრით წარმოაჩენს ვაჟა. მალღამხედის ტკივილითა და სინანულით იტყვის ალუდა:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი, ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ კუპრში მიელის ქშენანი... ამის თქმით ვწარა-მარაობთ“...

ზვიადურის მოკვდინებისას აღტკინებული ბრბოს აღწერისას იტყვის ვაჟა: „სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვნადიან;

კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა, როგორ დიდს ცოდვას სჩადიან“.

ქისტის მუცალი, თითქოს, ალუდას „ალტერ ეგოა“ (მეორე მე, ორან-ორეული), ზვიადური – ჯოყოლასი.

რომ არა საკრალური შეხვედრა, არც ალუდას, არც ჯოყოლას კონფლიქტი არ ექნებოდათ თემთან, მაგრამ უფალი ბედისწერული განსაცდელით წარმოაჩენს შატილიონისა და ქისტის სიმალღეს, თემისაგან ალუქმელს.

„თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა“.

შატილიონთა „თემობის წესი“ მოკლული მტრის მარჯვენის ქავის კარს მიკვრას ბრძანებს, ქისტებისა – მტრის მოკლულის საფლაგზე დაკვლას.

„ვაი, ეგეთსა სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითაო“, სინანულით იტყვის ალუდა.

თემს არ სწადია, გაიცნობიეროს, რომ „ვაჟაკობა არ იყიდება ფულადა“. შატილიონნი არ ანებებენ ალუდას, უფალს „ახვენოს (მუცალი), ძალი, ძალების ჯიშისა“; ქისტები, თუმც იხიბლებიან ზვიადურის უდრეკობით, დაუნანებლად სჭრიან ყელს („თავ-თავექვე ჩამოდიოდნენ“ – ესეც სიმბოლურია!) თითქოს თავს იმართლებდნენ ფიქრით: „ხომ მაგას არ მოვუკლავდით მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდნენ?“

გრძნობდნენ:

„კარგი ვაჟკაცი ყოფილა, – ყველა ალღაჰსა ჰფიცავდა, – იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მიწა-წყალს იცავდა.“

*მაგრამ „მტერს მტრულად მოექცე“ – თვითონ უფალმა ბრძანაო,  
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით, გულში ჩავუჭრეთ დანაო“.*

თემი ვერ მალდებდა „გიყვარდეს მტერი შენი“-ს სინათლემდის, განსხვავებით პიროვნებისაგან. თემი მოიკვეთს ალუდას, განირავს ჯოყოლას, მაგრამ არც ალუდა, არც ჯოყოლა არ განუდგებიან, არ შეიძულებენ გამწირველს.

ალუდა გულში როდი ჩაიხვევს ჯაგარაშლილი ბერდიას მონოდებით განცდილ წყენა-ტკივილს („სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ ალუდას სახლის დირენი! ნუ დაინანებთ, ექმნენით ცოლ-შვილის ამატირენი!“), დედასა და ცოლ-შვილს თემის წყევლას უკრძალავს:

*„მოდით, მომყევით, ვიდინოთ, ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა.  
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ“...*

ჯოყოლაც დაადასტურებს თემისადმი ერთგულებას, როცა მარტო შეაკვდება ხევსურთა ლაშქარს. მაინც იგესლება გაღიზიანებული თემი: „ეხლაც მასხარად აგვიგდო, წინად ხომ ბევრჯელ აგვრია, სოფლისა გადრა ინდომა“.

თემი ვერ (თუ განგებ არ) გზნებს მალალთა სიმალლეს. ალუდას ვინაობას ხევსურთაგან მხოლოდ „თვალებმონწყლიანებული“ მინდია აცნობიერებს; ჯოყოლასას – ქისტთაგან – ოდენ ალაზა.

„ალუდა ქეთელაურის“ უკანასკნელი პეიზაჟი თოვლიან-ნამქერიანია, „სტუმარ –მასპინძლისა“ – ჯანდიანი. პირველში ნაკვალევი, „თხრილი არა ჩანს კვალისა“... (ნუთუ ამოდ იარა ალუდამ?!); მეორეში „უფსკრულს დასცქერს პირიმზე“...

პირიმზე – პიროვნებასავით მონყვლადი, მაგრამ პიროვნებასავით მშვენიერი...

## **„გადარებთ მზესთანა“**

*ქალთა სახეები ვაჟა-ფშაველას პოემებში*

„ვაჟას შემოქმედებაში ქალი შარავანდედით არის მოსილი,... ვაჟასთვის ქალი აღტაცების საგანია: „თქვენ რომ არ გყვანდეთ, ქალებო, რა იქნებოდა ქვეყანა?! ვისაც რა უნდა, ისა სთქვას, მე კი გადარებთ მზესთანა“ („ქალებს“)...

არა მგონია, რომელიმე პოეტს ქალის ნაწნავები შეეძარებინოს იმ სანთლებისათვის, რომელთაც ქვესკნელში გზა უნდა გაუნათონ მამაკაცს, „შავეთში კელაპტრად მინდანო“ („მწყემსის ანდერძი“) (აკაკი ბაქრაძე, ვაჟას მრწამსი).

ვაჟა-ფშაველას პოემებში („ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“) ქართველ (და არა მხოლოდ) ქალთა უმშვენიერესი სახეებია წარმოჩენილი – სანათა, ლელა, ალაზა – „სამოთხის ყვავილთა“ დარნი.

*„ყველაზე მალალი დედაა სანათა, ბალახის ღერი“ (ლ. გულისაშვილი).  
ფშაველთა სალოცავში, ხატის დღეობაზე*

*„მარტოს აუნთავ სანთლები და ხატიც უდიდება,  
მარტოს დაუკლავ საკლავი, თვითონვე უტყავებია,  
მარტოდ-მარტოკას დიაცსა ხატ-ღმერთი უხსენებია“.  
ვაჟა თავადვე იკითხავს, „საჯარეს დიაცს რა უნდაო“.*

სანათა აფხუშოური იმ „გორის“ ქალია, ვაჟა-ფშაველას დიდი თანამოსაგრე, ილია, „დედა-კაცად“ რომ უხმობს: „სიტყვა „ქალი“ განა იმოდენს გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“? სად ქალობა და სად დედაკაცობა! ქალი შესანახია და არა შემნახველი, ბარგია და არა ჭირნახული, პეპელაა და არა ფუტკარი... ქალი უფარ-უხმლო დედაკაცია, დედაკაცი ფარხმლიანი ქალია. ვაი, რომ დედაკაცნი წავიდნენ, აღარ გყვანან და მარტო ქალებილა დაგვრჩენ... აქ არის, სხვათა შორის, სათავე ჩვენის უბედურებისა“ („პატარა საუბარი“).

დადარდიანებული სანათა, „ბერი დიაცი“ ემდურის ხომარელთა ბედისწერას, ხატს შესტირის:

*„სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,  
კვნესა რად ისმის ჩვენიოთა?  
როდემდის უნდა ვსტიროდეთ, მინა ვასველოთ ცრემლითა,  
ან მინა რად არა ძლება დამდნარის გულის წვენიოთა?!“*

წუხს სანათა, რომ ფშავ-ხევსურეთს მცველნი გასწყდომია. ჯოხს დაყრდნობილი, ხანხალით მოარული, კვირია მათურელს უამბობს თავის გასაჭირს: ხოშარისგორი ფშაველ-ხევსურთა ძვლებით გასუქებულა, თათრებს აუკლიათ მთა, მამრის სახსენებელი გაუქრიათ. დახოცილთა დატირებულა დარჩენიათ ქალებს.

აფხუშოდან ხოშარს გამოთხოვილი ქალი ყოფილიყო სანათა, ბერიძის ქვრივი. ურჯულო თათრებს ერთ დღეს შეჰკვდომოდა მისი შვიდი შვილი, მეუღლე. ხოშარისგორზე გაეჭრა საფლავეები ქალს, ორ კვირას ეთხარა სამარეები. ტირის სანათა:

*„რად გვინდა დედებს შვილები, რაზე ვსწვალდებით ნეტავი?  
გაჰზდი, გალაღებს ვაჟკაცი, ლამაზი, გორის მდრეკავი;  
გალაღებს, მაგრამ ტყუილად, დღეს მრთელი, ხვალე მკვდარია,  
მოვა, წაიღებს უეცრად სისხლისა ნიაველვარია.“*

სანათა მამრის საქმეს იკისრებს. უწყის, რომ ეს ადათის დარღვევაა, მაგრამ სჯერა:

*„უკაცურთ კაცობა გვმართებს, მანამ სული გვჩრავ პირშია,  
ხატიც შავგინდობს ცოდვასა, რო გვნახავს გასაჭირშია.“*

როგორ ბედნიერდება სანათა, როდესაც შეიტყობს, რომ „ერთს პირზედ დამდგარი“ თუშ-ფშაველ-ხევსურნი კახეთის სახსნელად აპირებენ გალაშქრებას. გახარებული ეტყვის კვირიას:

*„ეგებ, ინებოს ბატონმა (ხატმა), გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა,  
თუ ამას გავიგონებდი, არ ვიტირებდი მკვდრებზედა;  
იმავე დღეს, შვილო, დედილამ, ჭრელს ჩავიცომდი კაბასა,“*

ალარც ვიტირებდიო შვილებს: ჯულურას, საბას, ივანეს... „თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა, შვილთ არც კი მოვიგონებდი“, კარდაკარ ვივლი, ყველას შევთხოვ, გამოვიდეს ურჯულოებთან საბრძოლველად, თითოეულ ოჯახს შევემუდარები; „მე თუ რვა სული შევწირე, თითოს ვერ გაიმეტებენო“.

ლაშარის ჯვარს შეავედრა სანათამ თუშ-ფშაველ-ხევსურნი:

*„ჩაუძველ, ლაშარელაო, ტანზე შაიბი ხმალია,  
გვიჭირს და გამოგვაყენე შეუმუსრავი ძალია!“*

მხნეობასა და გამძლეობას რწმენა ანიჭებს სანათას. ნამგზავრ-ნატანჯ კვირიას ქადა-პურებს მისცემს და გზას დაულოცავს იმედიანი.

სანათასნაირ დედებს ეძღვნება ვაჟას ულამაზესი სტრიქონი: „ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“ („საახალწლოდ“) (ვაჟა-ფშაველა, თხზ. 2 ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 230).

სანათასავე „გორისა“ „ბახტრიონის“ უმშვენიერესი პერსონაჟი, ლელა ბაჩლელი.

ამხედრებული, მამისათვის მოპარული შუბით შეიარაღებული გამოეცხადება იგი ფშაველ-ხევსურთა ლაშქარს, სამოთხის ყვაველივით მშვენიერი, ხორცშესხმული სიყვარულის დარი. ჯერ მოჩვენება ეგონა სპას, სანამ სულისშემძრავ მონათხრობს მოისმენდა: ბაჩლელი შანშეს ასულს დიდი უბედურება დასტყდომოდა თავს – თათრებს ძმები დაეხოცნათ მისთვის, დედა შეეპყროთ, ბახტრიონს გამოეკეტათ; დაჭრილი მამა ლოგინს ჰყავდა მიჯაჭვული.

შეემუდარება ლაშქარს, ქალობით ნუ დამინუნებთ, ხმლის ქნევით ვერ გაგაკვირვებთ, მაგრამ უკან არ დავიხევო: „თათრებთან ომი მწადიან, მინდა, რო ჯავრი ვიყარო, ბევრს სამ (რამ) ავს საქმეს



სჩადიან, – იკლებენ საქართველოსა, ბუმბერაზობით (ვარიანტით – ბუმბარეზობით) დადიან“.

სუმელჯი დაამშვიდებს, ჩვენაც ვეყოფით თათრებსაო.

წუხს ლელა, ავი სიზმრებით გატანჯული: თურმე კუპრივით შავი კაცი სტუმრობს ზმანებაში, ძმათა სისხლიან მკლავებს უწყობს ღრეჭით წინ; მერე მზისფერი დიაცი ეცხადება და შურისძიები-საკენ მოუწოდებს განვალებულს.

განაცრებული, გულჩათუთქული, ატირებული, ლაშქარს გაეცალა ქალი, „ღელეს ჩავიდა მწუხარე ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი“.

კვირიას გეგმას დასთანხმდება, ყენისათვის ფეშქაშად ნაბოძებ ქალად გაასალებს თავს, „ოლომც დააბას ჩვენმ ჯარმა თათრები ვირის ბაგაზე“. ბახტრიონის ციხეში გამომწყვდეული დედის კალთაზე სიკვდილი ენატრება.

სახელიანი კვდება ლელა ბაჩლელი, „ქალი ხელ-ფარტენიანი“, კვირია მათურელთან ერთად ბახტრიონის ციხის კარი რომ გაუღო თუმ-ფშაველ-ხევესურთ და სპარსელებმა აკაფეს. თანამომძეებმა თავგანწირული ყმანვილი ქალის ცხედარი მთას წაასვენეს – „მძიმეა თავის ქვეყანა, თავის წყალ-ჭალა ძლიერა, მინაც ტკბილია მშობლური, გულს რომ ეყრება ფხვიერა“.

თუკი სანათა და ლელა ქართველი ქალები არიან, „სტუმარ-მასპინძლის“ ულამაზესი პერსონაჟი, ალაზა, ქისტია, ჯარეგელი ჯოყოლა ალხასტაისძის მიუღლე, ქმარივით დიდბუნებოვანი, მაღალი სულისა.

ჯოყოლას ოჯახში მისულთ, სტუმარსა და მიუღლეს გამოეგებება „ქალი ლამაზი, შავის ტანსაცმლით მოსილი, როგორაც ალყა ტანადა, ვარსკვლავი ციდან მოცლილი“. მშვიდობით მოსვლას უსურვებს ზვიადურს, აბჯარს ჩამოართმევს, შეიპატიჟებს.

საოცარი განცდა ეუფლება ულამაზეს, უნატიფეს ქალს, როდესაც ზვიადურის შეწირვის საზარ სურათს უმზერს ქისტთა სასაფლაოზე. იგზნებს, რომ ვაჟკაცის „გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა“.

საზარელი სცენის მზირალი

*„დიაცი ბნდებოდა, ცრემლებს ჰმაღავდა ლამაზი, ხალხზე უკანა დგებოდა.*

*მიშველებასა ჰლამობდა: „ნუ ჰკლავთ!“ – ეძახის გულიო.*

*ფიქრობდა ბრაზმორეული: „ნეტავი მომცა ცულიო,*

*ნეტავი, ნებას მაძლევდეს დედაკაცობის რჯულიო,*

*რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას გავაფთხოვინო სულიო“.*

*შეჰნატროდა ზვიადურის თანამეცხედრეს...*

უპატრონოდ მიგდებულ მკვდარს უჭირისუფლა ლამის თავადაც გონმხდლიმა, ლამით, როდესაც „სინათლეს სული ამოჰხდა“. დიდხანს დასტიროდა ზვიადურს, შუბლსა და მკერდზე წყალს ისხამდა, სულს იბრუნებდა.

*„ტიროდა, მაგრამ ტირილი არ იყო, ეხათრებოდა:*

*ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა, მეორით – ღმერთი აშინებს –*

*ქისტეთის მტრისა მოზარეს თავს რისხვას გადმოადინებს.*

*ეს ფიქრი გონებისაა, გული თავისას შვრებოდა,*

*კაცის კაცურად სიკვდილი გულიდან არა ჰქრებოდა“.*

აძრწუნებდა ფიქრი, „ვის ცოლი ვის ქმარსა სტირისო“. ლასლასით წამოვიდა შინისაკენ, წამოსვლისას თმა ააჭრა მიცვალებულს, „ბროლის თითებით თლილითა“ გამოჰხვია ჩიქილაში.

სინდისი აწუხებს, თითქოს, გაორებულია, შეძრწუნებულია. ეჩვენება, თითქოს მკვდრები საფლავთაგან ამოსდახიან, მაღალი ღმერთი გრისხავდესო.

ბუნების პირქუშობაც, ლანდთა რიალიც აძრწუნებს: „აჩქარებული ღრუბლები ცის პირზე გადმოდიოდნენ“. მთის „ბალახნი, ქვანი, ქვიშანი“ თითქოს წყევლა-კრულვას უთვლიან. მკვდარი ძმაც, ებარიც, ნაწყენია, „მაგით მიმტკიცებ დობასაო“...

ძალღს, ყმის ლემის საჯიჯგნად დაგეშილს, ქვით დააფრთხოვს. გულამოვარდნილი, შეძრწუნებული მივარდება შინ. სახეგამტკნარებულს ჰკითხავს ჯოყოლა, ხომ არვინ მოინადინა, გადაეგორე მკლავზეო. შორს დაიჭირა ქალმა:



„ვინ გამიბედავს მაგასა, რად მინდა ლეჩაქ-კაბანი?!“

იცრუა, ცხენს ვეძებდი ხევებში, დევებმა დამაშინესო. ვერ დაარწმუნა ქმარი ნამტირაღევმა და გამოუტყდა ნაზი, მთრთოლარე ხმით:

„ცრემლები შემინირია იმ შენის მეგობრისადა.  
ძლიერ შემბრაღდა ბეჩავი, რომ უცხოეთში კვდებოდა,  
არც ნათესავი, არც მოძმე, რომ ვისმე შეჰბრაღებოდა!...  
იქნებ, შენც გცოდე, ღმერთსაცა, მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!“  
ღირსეულ ქალს ქმარმაც ღირსეული პასუხი გასცა:  
„იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა?  
დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.

ჯოყოლას დაღუპვის შემდეგ „სხივიმიხილი ვარსკვლავის სადარმა“ ქალმა სიკვდილი არჩია, მორევში ჩაიქცა,

„ქისტეთში ჩემი ერთგული კენჭიც კი არსად არია...  
მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს, უცხოოსთვის ცრემლი ვღვარია...  
ნაიღო წყალმა ალაზა, ლამსა და ქვიშას შაჰრია“.

უმშვენიერესი ქალის აჩრდილი ზვავისგან ნაგალ გორაზე ჯოყოლასა და ზვიადურის ლანდებს მასპინძლობს, ჯიხვის მწვადებით უმასპინძლდება.

„ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა,  
სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და დაძმობისასა“.  
ალაზა იმ პირობებსავით მშვენიერია, უფსკრულს რომ „დასცქერს მოღერებულის ყელითა“.

„ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟია დედა ალუდასი, პოემის ფინალში რომ წარმოჩნდება. შემძრავია მწყრომარე დიაცის გოდება, დიაცისა, სახლ-კარს სამუდამოდ რომ გამოსთხოვებია და, დამზრალი, გაუკვალავ გზას ადგას:

„ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ, ვაჰმე, როგორა ბნელაო!  
ნეტავ, არ დასჭირდებაა ხევსურთა შენი შეველაო?! (მიმართავს ალუდას)  
ვის-რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს, სად რა-რა დავიღვევითა?  
უბინო-უსახკარონი სხვაკანაც დავინყვევითა...  
თავის მინა-წყლის განირვა ძნელი ყოფილა მეტადა,  
მომაკვდავს დავფერებივარ, გონი გამხდია რეტადა.  
მუხლებ არ მამდევეს, გულშია ბნელი ჩამიდგა სვეტადა“.

და მაინც, ვაჟას პოემათა პერსონაჟ ქალებს ნათელი სვეტად ჩასდგომიათ გულში.

ისინი ღირსეულ მამაკაცთა ღირსეული დედები, დები, მეუღლეები არიან, სულითა და სხეულით ლამაზნი, „სამოთხის ყვავილივით“ მშვენიერნი და მოწყვლადნი...